ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 აგვისტო პარასკევი 2013
№192(14 108) ფასი 80 თეთრი



დღეს 22:30 სერბეთი,
ხვალ 22:30 საფრანგეთი

↳11




# ევრობასკეტის ფავორიტებთან



სპეციალისტის აზრით

## იქ, სადაც რთული იყო დადებითის დანახვა

↳2

ყაზახეთი-საქართველო. გამოხმაურება





↳11

## ზესტაფონი აჟურშია, მეხუთე აჟურუა

## ხვისტანმა და ნანავამ ბრინჯაო გაინაღდეს, ახლა ოქროს ჯერია

↳11

# სად არის გურია?

საქართველომ და ესპანეთმა განაცხადეს

↳4 ↳6-7

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტის აზრი

# გია გეგუჩაძე: საქართველოს ნაკრები დაბალანსებული არ არის

**ქართულ** საფეხბურთო სამყაროში ისეთი რესპონდენტის მოძებნა ჭირს, კომპეტენტურად და საინტერესოდ რომ მიმოიხილავს ვითარებას, არადა, სპეციალისტის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს ახლა, როცა ქართულ ფეხბურთში საინტერესო და დამაფიქრებელი პროცესები ხდება...

ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა გუშინწინ ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო და არა მგონია, ეს შემთხვევითობა იყოს. ქართული გუნდების გამოსვლა წლევანდელ ევროსარბიელზე ერთობ დამაფიქრებელია, თუნდაც იმიტომ, რომ გამოჩნდა, საკლუბო დონეზე არცთუ ისე ბეჩავები ვართ, როგორც ზოგს ჰგონია.

ჩვენი რესპონდენტი გია გეგუჩაძე გახლავთ, თბილისის „დინამოს“, „ზესტაფონისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ვინც ამ ინტერვიუში ლიად საუბრობს როგორც ნაკრებზე, ისე წამყვან ქართულ კლუბებზე...


გია გეგუჩაძე

**- ყაზახეთთან მატჩით დავიწყოთ. რა პოზიტივები და ნეგატივები დაინახეთ?**

- რთული იყო დადებითის დანახვა. დიდი უპირატესობა გვქონდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, რაც ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში გამოიხატებოდა, ბევრი კუთხური მოვიპოვეთ, ბევრი იყო კარისკენ დარტყმა, ანუ სტატისტიკური მონაცემებით უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო. სხვა საქმეა, რამდენი სახიფათო მომენტი შევქმენით, რამდენად გააზრებული იყო ჩვენი პოზიციური შეტევები... საბოლოო ჯამში, ჩვენი სტატისტიკური მაჩვენებლები შედეგში ვერ ავსახეთ, უპირატესობის რეალიზაცია ვერ მოვახერხეთ, ჩვენს შეტევებს აკლდა სიმწვავე, იმის გააზრება, თუ საიდან და როგორ ჯობდა იერიშის განვითარება. მეტოქის საჯარიმო მოედნის მისადგომებთან და საჯარიმოში გვიჭირდა წინაღობების გადალახვა, ყაზახები კონტრშეტევებზე თამაშობდნენ და ამის საწინააღმდეგო იარაღი ჩვენ არ აღმოგვაჩნდა.

**- ეროვნული ნაკრების კონტინგენტზე რას გვეტყვით? ეს რესურსი რა შედეგს უნდა გასწვდეს?**

- ამ კონტინგენტით თამაში შეიძლება. თუმცა ნახეთ, რაშია საქმე - მწვრთნელმა გუნდი სრულად 13 აგვისტოს შეკრიბა, თამაში კი მეორე დღეს იყო...

**- გასაგებია, მაგრამ ყოველთვის ასეთ სიტუაციაში ხომ არ უწევს საქართველოს ნაკრებს თამაში? მხოლოდ ეს ხომ არ არის პრობლემა?**

- სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები დაბალანსებული გუნდის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. მოედანზე გაგვყავს სამი თავდამსხმელი, ოთხი-ხუთი შემტევი ნახევარმცველი, მაგრამ ურთიერთქმედებისა და მარგი ქმედების კოეფიციენტი მაღალი არ არის.

**- ყაზახეთთან მატჩისთვის არ იყო გამოძახებული ლევან ყენია. მას საკმაოდ ბევრი გაუცდა და როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპზე რამდენად საჭირო ფეხბურთელია ნაკრებისთვის?**

- როგორც კი ყენია გამოჩნდა, მაშინვე იმედისმომცემ ფეხბურთელად წარმოაჩინა თავი. მისი პოტენციალი გამოსაყენებელია. იმედია, ჩადგება ოპტიმალურ ფორმაში და ნაკრებშიც დაიმკვიდრებს ადგილს. ნაკრების მწვრთნელი ყველაზე ახლოს არის სიტუაციასთან, მისი უპირველესი მოვალეობაა, თვალყური ადევნოს ამა თუ იმ ფეხბურთელის მდგომარეობას. სელექცია და კონკრეტული მატჩისთვის სწორი შემადგენლობის შერჩევა - ნაკრებში მთავარი ეს არის.

**- საქართველოს ნაკრების დაცვაში მნიშვნელოვანი სისუსტეებია. დაცვის ცენტრი ხშირად მორღვეულია, ფლანგებიდან არ არის შემტევი აგრესია, გურამ კაშიას ფუნქციაც გაუგებარია, ზოგი მცველი უკვე ველარ თამაშობს ნაკრების დონეზე, სამაგიეროდ, დაწინაურდა გორის „დილას“ მცველი მამუკა კობახიძე... თქვენი აზრით, არის თუ არა ის საინტერესო ფეხბურთელი ეროვნული ნაკრებისთვის?**

- საერთოდ, გუნდურ თამაშს ვემხრობი. ნომინალური თავდამსხმელების სიუხვე არ ნიშნავს მაღალ შემტევ პოტენციალს. დაცვაში თამაშის დროსაც, ყველაფერი გუნდურად უნდა ხდებოდეს. ყაზახეთთან მატჩში ბევრი სახიფათო კონტრშეტევა მივიღეთ, მაგრამ ეს იერიშები მეტოქის ნახევრიდან იწყებოდა, ამიტომ, პრობლემების მოგვარება პირველ რიგში გუნდურ თამაშშია საჭირო. რაც შეეხება დაცვის კონტინგენტს, ალბათ, შეიძლება ცვლილებების შეტანა. ჩვენი პოტენციალი სრულად უნდა იყოს გამოყენებული, თუ რომელ ფეხბურთელებს შეარჩევენ ნაკრებისთვის, ზოგადად, ამაზე მწვრთნელი უნდა იყოს პასუხისმგებელი.

**- „დინამო“ და „დილა“ ევროსარბიელზე აგრძელებენ გამოსვლას. წინა შეხვედრებში მათ თამაშს როგორ მიმოიხილავდით?**

- „დილას“ ფონზე „დინამო“ უფერულად გამოიყურებოდა. შესაძლოა, „დილას“ უფრო სუსტი მეტოქეები შეხვდა, ვიდრე „სტიაუა“ იყო „დინამოსთვის“, მაგრამ „დილას“ და „დინამოს“ თამაშის ხარისხი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. მომეწონა „დილას“ სწორი და გააზრებული თამაში. „ჰაიდუკთან“ სტუმრად გამართული შეხვედრის ბოლოს გუნდს დაღლა დაეტყო, თუმცა მისთვის სასურველი შედეგით დაასრულა თამაში და საპასუხო მატჩისთვის საქმე გაიადვილა, თბილისში კი სანახაობრივად უკეთ ითამაშა. „დინამოს“ პოზიტივზე იმას ვიტყოდი, რომ რუმინეთში, მეორე ტაიმის დასაწყისში, კარგად ითამაშა, ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ მერე სად გაქრა და რატომ გაქრა ეს მუხტი, ვერ გეტყვით. ჩავთვალოთ, რომ ეს „სტიაუას“ დამსახურება იყო. ჩემი აზრით, „სტიაუა“ არ იყო დაუძლეველი ბარიერი „დინამოსთვის“. ვფიქრობ, „დინამოს“ უფრო ხარისხიანი ფეხბურთელები ჰყავს, ვიდრე „სტიაუას“. როცა ამას ვამბობ, მხოლოდ იმ ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ, რომლებიც მოედანზე იყვნენ. „სტიაუამ“ გუნდური, ორგანიზებული თამაშით აჯობა საქართველოს ჩემპიონს, „დინამო“ კი თავისი შემტევი ფეხბურთელების ინდივიდუალურ ოსტატობას ეყრდნობოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ „დინამოსთვის“ „ტოტენჰემის“ დამარცხება ურთულესი საქმეა, „დილას“ კი უკეთესი შანსი აქვს ევროპალიგის ჯგუფში შესასვლელად, რისი თქმის საფუძველსაც ამ გუნდის წინა თამაშები მაძლევს. ორივე ქართულ გუნდს გულით ვუსურვებ წარმატებას, მათი კარგი შედეგი განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნება მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის.

**- ნაკრების პრობლემა კი ალბათ უფრო საფუძვლიანად არის განსახილველი...**

- საქართველოს ნაკრები არ უნდა განვიხილოთ როგორც ცალკე მდგომი გუნდი, მას ბევრი შემადგენელი ნაწილი აქვს. ნაკრები არ არის მხოლოდ მწვრთნელი და ფეხბურთელები. ამ გუნდს ჰყავს ხელმძღვანელობა, გულშემატკივარი, ნაკრების პარტნიორია მასმედია და როცა არსებობს კომუნიკაციის დეფიციტი, ალბათ, ესეც მოქმედებს გუნდის შედეგზე. შესაძლოა, ეს ფაქტორი ყველაზე მნიშვნელოვანიც კი იყოს. შარშან ჩვენმა 17-წლამდელებმა ითამაშეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, წლეულს 19-წლამდელთა ნაკრებმა, ძალიან კარგი გუნდი ჩანს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც და ყველაფერი ეს ერთ სისტემაში უნდა იყოს მოქცეული. რისთვის არსებობს ნაკრები, რა მიზნები აქვს - ეს ყველაფერი გარკვეული უნდა იყოს და ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნულის წინსვლაში. როცა ამ პასუხისმგებლობას ყველა გადაინაწილებს და გაითავისებს, ეს გააადვილებს საერთო საქმეს. ცუდი შედეგის მხოლოდ მწვრთნელზე გადაბრალება არ არის სწორი...

> „როცა არსებობს კომუნიკაციის დეფიციტი, ალბათ, ესეც მოქმედებს გუნდის შედეგზე“

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს თასი

## სიურპრიზებს აქაც ველოდოთ...



გუშინ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის 1/16-ფინალის წილისყრა გაიმართა. ამ ეტაპზე უმაღლესი და პირველი ლიგის 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას და ორრაუნდიანი დაპირისპირების შემდეგ 12 წყვილში გამარჯვებული გუნდები მერვედფინალის საგზურებს მიიღებენ. ამ ეტაპის კიდევ ოთხი ადგილი კი თბილისის „დინამოს“, გორის „დილას“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და საჩხერის „ჩიხურას“ ეკუთვნით, როგორც, წლევანდელი ევროტურნირების მონაწილეებს. ვიდრე 1/16-ფინალისტთა წყვილებს გაეცნობით, მანამდე გაცნობებთ, რომ პირველი მატჩები 21-22 აგვისტოს ჩატარდება, საპასუხო კი - 17 სექტემბერს.

**1/16 ფინალი**

**21 აგვისტო**

ზუგდიდი-კოლხეთი (ხობი)
გურია (ლანჩხუთი)-საპოვნელა (თერჯოლა)
სამტრედია-მერანი (მარტვილი)
შუქურა (ქობულეთი)-სქური (წალენჯიხა)
ალგეთი (მარნეული)-ლოკომოტივი (თბილისი)
სიონი (ბოლნისი)-სტუ (თბილისი)
ლიახვი (აჩაბეთი)-ვიტ ჯორჯია (თბილისი)
სპარტაკი (ცხინვალი)-ჭიათურა

**22 აგვისტო**

მეტალურგი (რუსთავი)-გაგრა
სულორი (ვანი)-ზესტაფონი
დინამო (ბათუმი)-მერცხალი (ოზურგეთი)
სამგურალი (წყალტუბო)-კოლხეთი (ფოთი)

ზესტაფონი


ნამეკა აჟურუ

## ესეც მეხუთე ლეგიონერი

**სეზონი** უკვე დაიწყო, მაგრამ „ზესტაფონს“ დაკომპლექტების პროცესი არ შეუწყვეტია. მარგველებმა ნიგერიელი საყრდენი ნახევარმცველი, 26 წლის **ნაემეკა აჟურუც** დაიმატეს. აჟურუ მანამდე სერბული „ვოივოდინას“ ფეხბურთელი იყო. მის ტრანსფერზე მუშაობდა „ზესტაფონის“ სპორტული დირექტორი **მიხეილ ხუციშვილი**, რომელიც თავის დროზე სწორედ „ვოივოდინაში“ (2009-13) თამაშობდა და სერბულ საფეხბურთო წრეს კარგად უნდა იცნობდეს. „ვოივოდინამდე“ აჟურუ ასევე სერბულ „იავორსა“ (2004-09) და „მეტალაცში“ (2005-06, განათხოვრებით) თამაშობდა, პროფესიული კარიერა კი 2004 წელს, მშობლიური ქვეყნის კლუბ „ზამფარაში“ დაიწყო.

„ზესტაფონმა“ აჟურუსთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ნიგერიელი ახალ გუნდს მაშინ შეუერთდება, როგორც კი სავიზო ფორმალობებს მოაგვარებს.

ბოსნიელი მცველი **ბორისლავ ტერჟიჩი**, სერბი ნახევარმცველი **იგორ იელიჩი**, ბრაზილიელი შუახაზელი **რენე**, ესპანელი შემტევი **მოჰა...** აჟურუ „ზესტაფონში“ მეხუთე ლეგიონერია.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## მაქსიმე ქვილითაია:

# ათალონ ამ ბიჭებს ორი წელი და ძლიერი გუნდი ჩამოყალიბდება

### მიგინეიშვილის მოსწავლე ქვილითაია გულშემატკივრებისგან მხარდაჭერას ითხოვს

ქუთაისის „ტორპედო“ ყოველთვის გამოირჩეოდა საიმედო მეკარეებით - ზვიად სტურუა, ნუკრი რევიშვილი, ომარ მიგინეიშვილი... ყველა მათგანი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდა. ახლა ქუთაისელთა კარის უსაფრთხოებას 28 წლის მაქსიმე ქვილითაია იცავს, რომელიც „ტორპედოში“ უკვე სამი წელია ირიცხება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში თავის გამოჩენის შანსი ნაკლებად ეძლეოდა. მიგინეიშვილის წასვლის შემდეგ, ის გუნდის ძირითადი მეკარე გახდა და ჩემპიონატის პირველივე მატჩი შესანიშნავად ჩაატარა. ამის დასტურად, „ლელომ“ მაქსიმე ქვილითაია I ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა...

- ეს ამბავი მეგობრებისგან შევიტყვე, - გვითხრა ქვილითაიამ საუბრის დასაწყისში, - პრესისგან ყურადღება ძალიან გამიხარდა. ცოტა არ იყოს, არ ველოდი, თითქმის სამი წლის უთამაშებელი ვიყავი და არ მეგონა, თუ პირველივე მატჩში დამიფასდებოდა გარჯა.

**- ამ რთულ პერიოდში, ალბათ, გუნდის გამოცვლაზეც ბევრჯერ გიფიქრიათ. როგორც ვიცი სხვა გუნდებიდანაც გქონდათ შემოთავაზება და როგორ მოხდა, რომ ქუთაისურ გუნდს დღემდე შემორჩით?**

- ეს სამი წელიწადი ჩემს კარიერაში ძალიან რთული პერიოდი იყო. მართალი ხართ, უთამაშებლობის გამო გუნდის შეცვლაზე ბევრჯერ მიფიქრია, ჩემს განათხოვრებაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ საკუთარი ძალების რწმენით, ოჯახისა და მეგობრების გვერდში დგომით, სირთულეები გადავლახე და „ტორპედოში“ დავრჩი. სულ მეუბნებოდნენ, გუნდისთვის საჭირო ხარო, მაგრამ თამაში არ მიწევდა... უთამაშებლობა ძალიან რთულია, თან ისეთ ასაკში, როცა დროა, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინო. ახლა თავის გამოჩენის შანსი მომეცა და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენო. რა დასამალია და, ჩემპიონატის დაწყებამდე რუსთავის „ოლიმპისა“ და გორის „დილასგან“ იყო დაინტერესება, მაგრამ „ტორპედოდან“ ომარ მიგინეიშვილის წასვლის გამო კლუბის ხელმძღვანელობამ დარჩენა მთხოვა. ესპანელმა მწვრთნელებმაც ნდობა გამომიცხადეს... თანაც, „ტორპედოს“ კაპიტნად ამირჩიეს, რაც ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

**- თავდაპირველად, როცა „ტორპედოში“ მიხვედით, თქვენ და ომარ მიგინეიშვილი კარში მორიგეობით იდექით. რამაზ მუმლაძე ორივეს თანაბარ დროს გაძლევდათ. შემდეგ რა მოხდა?**

- მოხდა ის, რომ მწვრთნელი შეიცვალა და გია გიგატაძემ ომარ მიგინეიშვილზე გააკეთა აქცენტი. ომარი ღირსეულად თამაშობდა და მწვრთნელის ნდობას ამართლებდა. შესანიშნავ ფორმაში იყო გია გეგუჩაძის მწვრთნელობის დროსაც. მე და ომარი მეგობრები ვართ, ჩვენ შორის ყოველთვის ჯანსაღი კონკურენცია იყო. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ - მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე.

**- გასული სეზონის შემდეგ „ტორპედო“ თითქმის მთლიანად გადახალისდა. ახალი გუნდის მიმართ ბევრი სკეპტიკურადაა განწყობილი. რა პერსპექტივები აქვს დღევანდელ გუნდს?**

- კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა. პოტენციალი ნამდვილად არის, ჩვენი 10 ფეხბურთელი სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრია. ამ ბიჭებს ორი წელი რომ აცალონ, ძლიერი გუნდი ჩამოყალიბდება. მთავარია, ის პროგრამა, რაც ჩაფიქრებულია, ბოლომდე განხორციელდეს. ვიცი, რომ ამ ეტაპზე გულშემატკივრებს „ტორპედოსგან“ წარმატებული თამაშის იმედი არა აქვთ, მაგრამ ვეცდებით, მათი განწყობა მალე შევცვალოთ და გამარჯვებებით გავახაროთ. გულშემატკივრების გარეშე ფეხბურთი წარმოუდგენელია, ქუთაისელ ქომაგებს ვთხოვ, სტადიონზე იარონ და გვერდში დაგვიდგნენ. ჩვენც მალე გავამართლებთ მათ იმედებს.

**- „მეტალურგთან“ მატჩის შემდეგ გულშემატკივართა აზრი ორად გაიყო - ზოგი „ტორპედოს“ თამაშით უკმაყოფილო იყო, ზოგმა კი პოზიტიური ნიშნებიც დაინახა. თავად რას იტყვით ამ მატჩზე?**

- ერთი თვის შეკრებილი გუნდია და ჯერ ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი. ყველაფერს დრო სჭირდება. „მეტალურგთან“ ძალიან გვინდოდა მოგება, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ფეხბურთში ასეა - ხან გაგვიმართლებს, ხან არა. ვეცდებით, გულშემატკივრები მომდევნო მატჩებში გავახაროთ.

**- „მეტალურგთან“ მატჩში პირველი ტაიმის ბოლოს ექსტორპედოელ გიორგი ბერიაშვილს ძალზე რთული ბურთი აუღეთ. იმ ეპიზოდს როგორ გაიხსენებთ?**

- ბერიაშვილის თამაშის მანერა კარგად ვიცი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ბურთს გვერდით წაიღებდა, ასე ვარჯიშებზე ბევრჯერ გაუკეთებია. დარტყმამდე კუთხე დავუფარე და შემდეგ ნახტომიც მოვასწარი. ისე, გაშვებულ გოლზე კი მწყდება გული - კირკიტაძის დარტყმისას ბურთს კი შევეხე, მაგრამ ძალიან ახლოდან იყო, თან თავით დაარტყა და ვერ მოვიგერიე. ამდენი ხნის უთამაშებლობის შემდეგ ნელნელა ფორმას ვიბრუნებ. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო, მაგრამ სასურველ კონდიციებს მალე მივაღწევ.

**- მომავალ ტურში „ზესტაფონს“ ხვდებით. ბოლო წლებში იმერული დერბი ყოველთვის უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა, ახლა რას უნდა ველოდოთ ამ დაპირისპირებისგან?**

- „ზესტაფონი“ საკმაოდ ძლიერი გუნდია და მწვრთნელიც გამოცდილი ჰყავს, ამასთან, სეზონის წინ ძლიერი ფეხბურთელებიც დაიმატეს. „დინამოსთან“ კარგად ითამაშეს, მაგრამ არ გაუმართლათ. ახლა ჩვენთან შეეცდებიან ხასიათის გამოკეთებას, მაგრამ ჩვენი მიზანიც გამარჯვებაა. ვფიქრობ, ორივე გუნდს თანაბარი შანსები გვაქვს.

**- „ტორპედოს“ შესაძლებლობებს გადამეტებით ხომ არ აფასებთ?**

- „ზესტაფონი“ გამოცდილი ფეხბურთელებითა და ლეგიონერების სიმრავლით თუ გვაჯობებს, თორემ ტექნიკის მხრივ ჩვენი ფეხბურთელებიც ნორმალურად გამოიყურებიან და სირბილიც შეუძლიათ. უშანსოდ ნამდვილად არ ვართ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გულშემატკივრები გავახაროთ.

**- მიმდინარე სეზონში რა ჩაითვლება „ტორპედოსთვის“ წარმატებად და წარუმატებლობად?**

- ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი პირველ ექვსეულში მოხვედრაა, დანარჩენი მერე გამოჩნდება.

**- ჟერარდ სარაგოსაზე რას იტყვით?**

- დიდი გამოცდილების მწვრთნელი არ არის, მაგრამ ძალიან კარგი ვარჯიშები აქვს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს მეგობრულად ეპყრობა. პირადად ძალიან ვემადლიერები, ნდობა გამომიცხადა და თავის გამოჩენის შესაძლებლობა მომცა... ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მწუხარება გამოვთქვა დავით გვენეტაძის გარდაცვალების გამო, რომელიც ტყიბულის „მეშახტეში“ თამაშისას ჩემი მწვრთნელი იყო და მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან


მაქსიმე ქვილითაია ტორპედოს ძირითადი მეკარეა

პერსპექტივა

# კოლხეთით უცხოელები დაინტერესდნენ

## ქართველი მენეჯერი: ჩემი პარტნიორები სტარტზე არიან

**ფოთის „კოლხეთის“ გაჭირვების ამბავი არახალია. წინა სეზონში კლუბის ბიუჯეტი 300 ათასი ლარი იყო და შედეგიც ლოგიკური აღმოჩნდა - 100 წლის იუბილე კლუბმა პირველ ლიგაში გავარდნით „აღნიშნა“...**

მიუხედავად ამისა, „კოლხეთით“ დაინტერესდნენ უცხოური ბიზნესჯგუფები, რომელთაც უკრაინაში მომუშავე ქართველი მენეჯერი **სერგო ქუთათელაძე** წარმოადგენს. მისი მონაწილეობით რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა - თავის დროზე პრაღის „სპარტადან“ არნემის „ვიტესში“ **ვილფრედ ბონი** (ახლა „სუონსიში“ რომ გადავიდა) გადაიყვანა, „გალათასარაიში“ - **ტომაშ უიფალუში**, ლვოვის „კარპატიში“ - ბულგარელი მწვრთნელი **ნიკოლაი კოსტოვი**, ბოსნიის ნაკრების ფეხბურთელი **სემირ შტილიჩი**, საქართველოს ნაკრების წევრები - **ბუბა დაუშვილი** და **ლევან ყენია**, უჟგოროდის „ჰოვერლაში“ - **ლაშა ჯაკობია, აკაკი ხუბუტია** კი - თურქულ „სამსუნსფორში“ და ა.შ.

ქუთათელაძე ამბობს, რომ მიუხედავად ფოთის „კოლხეთის“ ჩავარდნისა, მაინც პერსპექტიულ გუნდად მიაჩნია და მისი აღორძინება სურს.

*„წლეულს „კოლხეთი“ 100 წლის გახდა და ნაცვლად იმისა, რომ გამორჩეული სეზონი ჰქონოდა, უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა. ვინმე რომ დაინტერესდეს, გუნდზე ინტერნეტში ბევრს ვერაფერს მოიძიებს, კლუბს საკუთარი ვებგვერდიც არ აქვს. სირცხვილია. არადა, საქმე ეხება საქართველოს უძველეს კლუბს და იმ ქალაქს, სადაც ჩვენი ფეხბურთის აკვანი დაირწა, საიდანაც მოგვევლინა ბორის პაიჭაძე და ძალიან ბევრი ნიჭიერი მოთამაშე. ეს იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც ამ მიმართულებით დამაფიქრა“,* - ამბობს ქუთათელაძე.




როგორც ქუთათელაძე ამტკიცებს, მის ინიციატივას გარკვეული უცხოური საფეხბურთო წრეები და ინვესტორები უჭერენ მხარს: *„დიდი ხანია, საფრანგეთსა და უკრაინაში ვსაქმიანობ და ბევრ გავლენიან ადამიანს ვიცნობ. მოხდა ისე, რომ ჩემს უცხოელ მეგობრებთან სწორედ ქართული ფეხბურთის სატკივარზე ვლაპარაკობდით და ერთ-ერთმა უკრაინელმა მითხრა, რომ „კოლხეთი“ მისთვის ძალიან საინტერესო კლუბი იყო - პოსტსაბჭოეთში ის ერთ-ერთი ყველაზე ძველი კლუბია და ცხადია, ეს ბევრს ნიშნავსო. მეც სწორედ ამიტომ დავიწყე ამ თემაზე ლაპარაკი. მათ ეს კლუბი პერსპექტიულად მიაჩნიათ და ჩვენი სურვილია, ფოთში ფეხბურთი აღორძინდეს. ამის შედეგია, რომ დიდი ხნის შემდეგ საქართველოში ჩამოვედი და მოლაპარაკება ფოთის მერთან დავით სარსანიასთან დავიწყე. მალე გვეცოდინება, არის თუ არა თანახმა კლუბის გასხვისებაზე. ეტყობა, დეტალებია შესათანხმებელი. თუ ეს მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება, სამ წელიწადში გუნდი ევროპალიგის ზონაში მოხვდება“.*

„კოლხეთიდან“ დაინტერესებულ მენეჯერს ინვესტიციის ოდენობაზეც ვკითხეთ: *„თავისთავად ცხადია, რომ კლუბის ასაღორძინებლად საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა - ამაში თანადგომას უკრაინული და ფრანგული მხარე გვპირდება და ვფიქრობ, საკმაოდ სერიოზული პროექტი განხორციელდება. გარდა ამისა, ინვესტიცია მხოლოდ ფულის დაბანდებას არ გულისხმობს. ჩვენ გვყავს კვალიფიციური მოთამაშეების ჯგუფი და თუ შეთანხმება შედგა, მათ „კოლხეთში“ ჩამოვიყვანთ - ქართველებსაც და უცხოელებსაც. ყოველი ახალი მიზნის შესაბამისად, გვეყოლება ის კონტინგენტი, რომელიც მზად იქნება ამა თუ იმ კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. ეს ფეხბურთელებიც ინვესტიციის ნაწილია - „კოლხეთში“ ისე მივიყვანთ, კლუბი ერთ თეთრსაც არ გადაიხდის... ასე რომ, ჯერ ფოთელების პასუხს ველით. თავის მხრივ, ჩემგან ელიან პასუხს უცხოელი მეგობრები, რათა კლუბის აღორძინებაში ყველანაირად გვერდში დამიდგნენ. მათგან მყარი გარანტიები გვაქვს, როგორც იტყვიან - სტარტზე არიან. ჯერ მათი ვინაობის გამხელას მოვერიდები, თუმცა გეტყვით, რომ სოლიდურ ხალხია: ერთი - პოპულარული უკრაინული კლუბის ხელმძღვანელია, მეორე კი - ბელგიურის. ამიტომ ვამბობ, რომ „კოლხეთის“ აღორძინება რეალურად მეჩვენება“.*

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

## რაოდენობამ არ დაგაბნიოთ...

როგორც ყოველთვის, „ლელო" ამჯერადაც წარმოგიდგენთ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადებს. მოგეხსენებათ, რომ ეს სატრანსფერო პერიოდი 31 აგვისტომდე გრძელდება და თვის ბოლომდე ამა თუ იმ ქართულ გუნდში კვლავაც უნდა ველოდოთ სხვადასხვა „დონის" ტრანსფერებს. ჰო, შესაძლოა, „ხმაურიანიც" გამოერიოს ერთი-ორი, შესაძლოა - „ჩვეულებრივი", მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს გუნდებში ტრანსფერებს კვლავაც ვიხილავთ. თუმცა, მანამდე სხვა რამის აღნიშვნა (თანაც, უკვე მერამდენედ!) გვინდა: უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი კი მონაწილეობს, მაგრამ დღეს თერთმეტის განაცხადია წარმოდგენილი.

მოკლედ, „გურიას" თემა აქტუალური სეზონის დაწყებამდეც იყო და სიტუაცია არც ახლა შეცვლილა: ამ კლუბის ხელმძღვანელობამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადი 8 აგვისტოს კი შეიტანა, მაგრამ იმ 23-კაციანი სიის გამოქვეყნებისაგან მაინც თავი შევიკავეთ. მიზეზი ყველასათვის ცნობილია: ამ 23 ფეხბურთელიდან გუნდში რამდენი დარჩება, ეს ხომ არავინ იცის! ყოველ შემთხვევაში, „გურიას" ოფიციალურ განაცხადში 6-7 ისეთი მოთამაშეა, ძალიან დიდი ალბათობით, სხვა გუნდებში რომ უნდა ვიხილოთ...

...მკითხველი იმასაც შეამჩნევდა, რომ გუნდებს სხვადასხვა რაოდენობის ფეხბურთელი ჰყავს განაცხადში შეყვანილი და ესეც არახალი ამბავია. მოგეხსენებათ, რომ დებულების თანახმად, გუნდის განაცხადში 30 მოთამაშე უნდა იყოს, ხოლო ყოველ დამატებულზე 500 ლარია გადასახდელი და ამიტომაც არის წლების განმავლობაში აპრობირებული ქვემოთ ნახსენები მეთოდი. ანუ, ასევე დებულებას თუ მოვიშველიებთ, ნებისმიერ გუნდს უფლება აქვს, თავის დუბლშემადგენლობაში თუ ფარმკლუბში ათამაშოს პირველი გუნდის არაუმეტეს 5 ფეხბურთელი.

ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ესა თუ ის კლუბი ძირითადი შემადგენლობის ახალგაზრდა ფეხბურთელებს პირველი გუნდის კი არა, დუბლების ან ფარმკლუბის განაცხადში შეიყვანს! სამაგიეროდ, ამით ძირითადი გუნდის განაცხადში ადგილი უთავისუფლდება და სეზონის განმავლობაში ახალ-ახალი ფეხბურთელების დამატების შემთხვევაში, - ზედმეტი 500-500 ლარის გადახდაც აღარ მოუწევს. ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში დუბლშემადგენლობათა განაცხადებსაც გაეცნობით და გვერწმუნეთ, ერთიმეორეზე საინტერესო ფეხბურთელებსაც შეხვდებით; ისეთებს, ვინც თავის გუნდში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, მაგრამ ასაკიდან გამომდინარე, დუბლის განაცხადშია:

**მამუკა კობახიძე, გიორგი ილურიძე, მიხაილ გორელიშვილი, გიორგი აბურჯანია („დილა"), თევდორე გრიგალაშვილი, გურამ სამუშია, ავთო ენდელაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე, ვახტანგ ჭანტურიშვილი, ნოდარ კიკნაველიძე** („ზესტაფონი"), **არჩილ ტვილდიანი, ლაშა პარუნაშვილი, ჯაბა უგულავა** (სამივე - „სიონი"), **ლაშა ჩაფიძე, ნიკა კვეკვესკირი** (ორივე - „სპარტაკი"), **ელგუჯა ლობჯანიძე** („ვიტ ჯორჯია"), **პაპუნა ფონიავა, ლევან გეგეჭკორი, აკაკი შულაია** (სამივე - „მერანი")...

დაბოლოს, კიდევ ერთ საკითხზეც; ეს განაცხადები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა მოგვაწოდა და მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. თუმცა იქნებ, მოვიდა იმის დროც, რომ უმაღლესი ლიგის ყველა კლუბმა განაცხადები „ადამიანურად" მიაწოდოს სფფ-ს საშეჯიბრო განყოფილებას და თითოეული ფეხბურთელის გასწვრივ მითითებულ უამრავ „დამახასიათებელ ნიშანს" (დაბადების თარიღი, პასპორტის სერია, მოქალაქეობა, სიმაღლე, წონა, ფეხის ზომა, გუნდში მიღების თარიღი, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონი) კიდევ ერთიც მიუმატოს - ამპლუა! ანუ, დღევანდელი განაცხადების ეს ფორმა „ლელოს" ვერსიაა და თუ რომელიმე ფეხბურთელის ამპლუა არასწორადაა მითითებული, ამაზე წინდაწინ ბოდიშიც შეგვიძლია მოვიხადოთ...

**გია ტუხაშვილი**

### დინამო (თბილისი)

| მეკარეები | |
|---|---|
| გიორგი ლორია | 27.01.86 |
| ომარ მიგინეიშვილი | 02.06.84 |
| თორნიკე ზარქუა | 01.09.90 |
| ლევან ტყეშელაშვილი | 10.05.93 |
| **მცველები** | |
| გივი კვარაცხელია | 05.11.79 |
| გიორგი სეთურიძე | 01.04.85 |
| დავით კვირკველია | 27.06.80 |
| უსტარიცი | 16.02.83 |
| გიორგი შაშიაშვილი | 01.09.79 |
| დავით ხურცილავა | 09.03.88 |
| დარკო გლიშიჩი | 23.09.91 |
| გიორგი გველესიანი | 05.05.91 |
| **ნახევარმცველები** | |
| ლევან ხმალაძე | 06.04.85 |
| გიორგი მერებაშვილი | 15.08.86 |
| ირაკლი ძარია | 01.12.87 |
| ელგუჯა გრიგალაშვილი | 30.12.89 |
| პეტერ გრაიციარი | 17.09.83 |
| დორინ გოგა | 02.07.84 |
| გიორგი მიქაბერიძე | 14.09.88 |
| გიორგი პაპავა | 16.02.93 |
| ირაკლი ლექვთაძე | 30.08.91 |
| **თავდამსხმელები** | |
| ჯაბა დვალი | 08.02.85 |
| ჩისკო | 05.09.80 |
| პატრიკ ვუო | 25.06.87 |
| დავით ხოჭოლავა | 08.02.93 |
| ლაშა შინდაგორიძე | 30.01.93 |
| მთავარი მწვრთნელი: დუშან უჰრინი | 11.10.67 |
| მწვრთნელის ასისტენტი: თამაზ სამხარაძე | 27.06.67 |
| მწვრთნელის ასისტენტი: დრაგოშ პიკუ | 29.04.76 |
| ფიზმომზადების მწვრთნელი: მიხაილ რუკავიჩკა | 22.09.85 |
| მეკარეების მწვრთნელი: გელა ჭანტურია | 10.04.63 |

### დილა (გორი)

| მეკარეები | |
|---|---|
| ნუკრი რევიშვილი | 02.03.87 |
| ბექა შეყრილაძე | 28.11.83 |
| **მცველები** | |
| კახა ალადაშვილი | 11.08.83 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | 26.06.81 |
| ალექსანდრე კვახაძე | 17.08.84 |
| გულვერდ თომაშვილი | 13.10.88 |
| თეიმურაზ ღონღაძე | 08.09.85 |
| გიორგი გურული | 31.07.88 |
| ერიკ გაბარაევი | 03.12.88 |
| **ნახევარმცველები** | |
| გრიგოლ დოლიძე | 25.10.82 |
| დავით ბოლქვაძე | 05.06.80 |
| ირაკლი მაისურაძე | 22.08.88 |
| ლაშა გვალია | 06.10.91 |
| რომან გოგინაშვილი | 23.01.84 |
| ნიკოლოზ სადალაშვილი | 10.10.88 |
| ვალტერ ხორგუაშვილი | 13.08.87 |
| პავლე ხორგუაშვილი | 13.08.87 |
| **თავდამსხმელები** | |
| ირაკლი მოდებაძე | 04.10.84 |
| რატი ალექსიძე | 03.08.78 |
| რომან ახალკაცი | 20.02.81 |
| მთავარი მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი | 08.07.72 |
| მეორე მწვრთნელი: გიორგი ტუღუში | 03.10.77 |
| დამხმარე მწვრთნელი: არჩილ ჩხაბერიძე | 24.08.71 |
| მეკარეების მწვრნთელი: რამაზ სოლოლაშვილი | 23.03.77 |

### ტორპედო (ქუთაისი)

| მეკარეები | |
|---|---|
| მაქსიმე ქვილითაია | 17.09.85 |
| ბაჩო მიქავა | 12.01.94 |
| დავით კუპატაძე | 06.06.91 |
| **მცველები** | |
| ნიკა ჭანტურია | 19.01.95 |
| გიორგი ხიდეშელი | 23.01.88 |
| ზაზა ჭელიძე | 12.01.87 |
| ომარ პატარკაციშვილი | 05.02.96 |
| ვაჟა ტაბატაძე | 01.02.91 |
| დავით მთივლიშვილი | 26.10.94 |
| გიორგი გაბაძე | 02.03.95 |
| რევაზ ჩიტეიშვილი | 30.01.94 |
| ნიკა სანდოხაძე | 20.02.94 |
| დავით უზილავა | 27.01.94 |
| **ნახევარმცველები** | |
| გიორგი კუხიანიძე | 01.07.92 |
| გიორგი გოროზია | 26.05.95 |
| ნიკა ფირცხალავა | 15.05.87 |
| მათე ცინცაძე | 07.01.95 |
| მერაბ გიგაური | 05.06.93 |
| **თავდამსხმელები** | |
| გიორგი ფანცულაია | 06.01.94 |
| ალეკო მზევაშვილი | 10.03.95 |
| თორნიკე კაპანაძე | 04.06.92 |
| რევაზ ბარაბაძე | 04.10.88 |
| ნიკა საბანაძე | 02.05.91 |
| ბექა ტუღუში | 24.01.89 |
| დავით ჯიქია | 10.01.95 |
| მთავარი მწვრთნელი: ჟერარდ სარაგოსა | 20.02.82 |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: დიმიტრი თოფურიძე | |
| ფიზმომზადების მწვრთნელი: ალბერტო ბეროვალ კორეა | |
| მეკარეების მწვრთნელი: კონსტანტინე გუგუნავა | |

### ჩიხურა (საჩხერე)

| მეკარეები | |
|---|---|
| გიორგი სომხიშვილი | 27.11.80 |
| რევაზ თევდორაძე | 14.02.88 |
| ზურაბ მწყერაშვილი | 13.04.86 |
| **მცველები** | |
| დავით ოდიკაძე | 14.04.84 |
| ლაშა ჭელიძე | 13.03.85 |
| გიორგი რეხვიაშვილი | 01.02.88 |
| შოთა კაშია | 22.10.84 |
| ვაჟა ლომაშვილი | 04.09.85 |
| ლაშა ჩიკვაიძე | 04.10.89 |
| გიორგი ძიმაძე | 11.02.92 |
| **ნახევარმცველები** | |
| გიორგი დათუნაიშვილი | 09.02.85 |
| გიგა ბეჭვაია | 09.08.86 |
| ჯაბა ჯიღაური | 08.07.92 |
| ნიკო ქვასხვაძე | 15.04.88 |
| ბესიკ დეკანოიძე | 01.03.92 |
| ალექსანდრე ივანიშვილი | 01.01.91 |
| დავით კაკულია | 05.02.90 |
| გუგუა იაკობაშვილი | 22.02.91 |
| **თავდამსხმელები** | |
| დიმიტრი ტატანაშვილი | 19.10.83 |
| რატი წინამძღვრიშვილი | 22.03.88 |
| გიორგი გაბედავა | 03.10.89 |
| ბადრი დემეტრაშვილი | 01.03.91 |
| გოგიტა გოგატიშვილი | 02.02.90 |
| მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე | 10.06.57 |
| მეორე მწვრთნელი: ვახტანგ თურმანიძე | 16.01.73 |
| ფიზმომზადების მწვრთნელი: ალექსი ალექსეევი | 04.04.47 |
| მეკარეების მწვრთნელი: ივანე თოდაძე | |
| მეკარეების მწვრთნელი: შალვა დოლაძე | 10.03.80 |

### ზესტაფონი

| მეკარეები | |
|---|---|
| როინ კვასხვაძე | 31.05.89 |
| კახაბერ მეშველიანი | 14.04.92 |
| **მცველები** | |
| გიორგი კაჭკაჭიშვილი | 08.08.90 |
| ბორისლავ ტერზიჩი | 01.11.91 |
| ილია კანდელაკი | 26.12.81 |
| **ნახევარმცველები** | |
| გიორგი ჭანკოტაძე | 06.05.91 |
| მიშიკო სარდალიშვილი | 19.09.92 |
| ლევან შარიქაძე | 16.07.89 |
| დავით რაჟამაშვილი | 20.10.88 |
| იგორ იელიჩი | 28.12.89 |
| ლევან კუტალია | 19.07.89 |
| რენე ფერეირა | 21.04.92 |
| ნაემეკა აჟურუ | 28.09.86 |
| **თავდამსხმელები** | |
| გიორგი ადამია | 10.03.81 |
| ირაკლი ძოგალია | 13.03.92 |
| საბა ლომია | 07.07.90 |
| მთავარი მწვრთნელი: რატკო დოსტანიჩი | |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: ნებოისა ტოპალოვი | |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: ლევან ბაჯელიძე | |
| მეკარეების მწვრთნელი: თამაზ ოდიკაძე | |

### ზუგდიდი

| მეკარეები | |
|---|---|
| ზურაბ მამალაძე | 10.02.82 |
| დავით კეკელიძე | 05.05.89 |
| ვახტანგ ჯომიდავა | 25.04.91 |
| **მცველები** | |
| როინ ონიანი | 14.06.75 |
| მაკარ აქუბარდია | 20.01.88 |
| დათა რიგვავა | 22.10.91 |
| გიორგი პაჭკორია | 29.05.89 |
| ნიკოლოზ აფაქიძე | 04.04.92 |
| კონსტანტინე ახალაია | 08.08.91 |
| ლევან აკობია | 11.02.80 |
| **ნახევარმცველები** | |
| ზვიად სიხარულია | 01.08.92 |
| ვალიკო ტყემალაძე | 14.11.87 |
| ლევან წურწუმია | 28.04.89 |
| ლუკა გუგუჩია | 10.12.91 |
| შოთა ლომია | 13.02.84 |
| ვილენ ჭრელაშვილი | 21.11.91 |
| **თავდამსხმელები** | |
| ირაკლი ეხვაია | 09.01.89 |
| მთავარი მწვრთნელი: ოთარ თუთბერიძე | 15.05.59 |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: კლიმენტი წიტაიშვილი | 10.01.79 |
| ფიზმომზადების მწვრთნელი: ბორის გუგუჩია | 10.12.52 |
| მეკარეების მწვრთნელი: დავით მიქავა | 07.12.84 |
| მეკარეების მწვრთნელი: ბაკურ როგავა | 10.04.85 |

### მეტალურგი (რუსთავი)

| მეკარეები | |
|---|---|
| გრიგოლ ბედიაშვილი | 07.02.80 |
| **მცველები** | |
| მიხეილ მახვილაძე | 22.07.78 |
| სერგი ორბელაძე | 01.05.82 |
| ლაშა ჯაფარიძე | 16.04.85 |
| ანზორ სუხიაშვილი | 27.10.88 |
| გიორგი გავაშელიშვილი | 31.10.89 |
| დავით მაისაშვილი | 18.02.89 |
| ლევან კაკუბავა | 15.10.90 |
| **ნახევარმცველები** | |
| ლუკა რაზმაძე | 30.12.83 |
| დენის დობროვოლსკი | 10.10.85 |
| გიორგი ქავთარაძე | 01.01.89 |
| რევაზ გეწაძე | 11.01.85 |
| გიორგი ვასაძე | 14.06.89 |
| გურამ გურეშიძე | 08.10.89 |
| დავით კირკიტაძე | 03.09.92 |



| თავდამსხმელები | |
|---|---|
| ლევან კორღალიძე | 21.02.80 |
| გოგა ფიფია | 04.02.85 |
| ირაკლი სიხარულიძე | 18.07.90 |
| გიორგი ბერიაშვილი | 10.09.89 |
| მთავარი მწვრთნელი: გელა სანაია | 07.07.78 |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: გია ჯიშხაძე | 04.03.75 |
| ფიზმომზადების მწვრთნელი: მილოვან მატიასევიჩი | 04.09.83 |
| მეკარეების მწვრთნელი: გიორგი გაბელია | 29.10.77 |

### ვიტ ჯორჯია (თბილისი)

| მეკარეები | |
|---|---|
| ნიკა დაუშვილი | 16.10.89 |
| ჯინო რეჭია | 10.06.91 |
| **მცველები** | |
| ლაშა კასრაძე | 26.07.89 |
| გურამ ადამაძე | 31.08.88 |
| გიორგი ბეთიაშვილი | 07.03.90 |
| ბადრი ტეტუნაშვილი | 09.02.90 |
| ოთარ ჯავაშვილი | 17.08.93 |
| გიორგი მჭედლიშვილი | 18.01.92 |
| **ნახევარმცველები** | |
| გიორგი ჯანელიძე | 25.09.89 |
| გიორგი კორიფაძე | 03.10.89 |
| ირაკლი ლიბრაძე | 26.10.91 |
| შოთა დავლაშელიძე | 25.03.93 |
| აკაკი წყაროზია | 02.08.88 |
| **თავდამსხმელები** | |
| ლევან კუხალეიშვილი | 24.02.92 |
| მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე | 1956 |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: რამაზ სვანაძე | 1981 |
| მეკარეების მწვრთნელი: არჩილ ლურწკაია | 1975 |

### მერანი (მარტვილი)

| მეკარეები | |
|---|---|
| ჯონი შეროზია | 09.09.90 |
| მიხეილ ხარშილაძე | 07.02.88 |
| **მცველები** | |
| გივი ძარძუსაშვილი | 20.09.86 |
| თეიმურაზ ფარულავა | 20.07.83 |
| გელა ხუბუა | 25.01.84 |
| ზვიად ლობჟანიძე | 27.02.87 |
| ლაშა ღონღაძე | 01.03.90 |
| **ნახევარმცველები** | |
| შოთა ბაბუნაშვილი | 17.11.80 |
| გიორგი მელქაძე | 24.11.84 |
| კიჟი მელიავა | 14.04.92 |
| შოთა კერძევაძე | 20.03.93 |
| **თავდამსხმელები** | |
| ლაშა კუჭუხიძე | 14.03.92 |
| კრის ბანეგა | 23.06.92 |
| შალვა კვანტალიანი | 26.03.91 |
| მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია | |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: გივი დიდავა | |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: გალაქტიონ ჭუბაბრია | |
| ფიზმომზადების მწვრთნელი: ბაგრატ ხელაია | |
| მეკარეების მწვრთნელი: ლევან აბაშიძე | |

### სიონი (ბოლნისი)

| მეკარეები | |
|---|---|
| ზურაბ ბათიაშვილი | 06.02.80 |
| მირზა მერლანი | 05.10.80 |
| **მცველები** | |
| დავით სვანიძე | 14.10.79 |
| რევაზ ძმოკლიძე | 18.03.79 |
| დაჩი ფოფხაძე | 27.01.84 |
| ლაშა თოთაძე | 24.08.88 |
| გიორგი ოქროპირიძე | 01.03.86 |
| გივი იოსელიანი | 25.10.90 |
| **ნახევარმცველები** | |
| ალექს. გოგოზერიშვილი | 22.07.77 |
| ვლადიმერ უგრეხელიძე | 24.11.85 |
| გიორგი ჩივაძე | 14.06.84 |
| ლევან ჩხეტიანი | 17.08.87 |
| გიორგი ცხადაია | 23.04.88 |
| გიორგი ბიბილეიშვილი | 29.05.89 |
| მანუჩარ ოქროპირიძე | 19.02.90 |
| გიორგი განუგრავა | 21.02.88 |
| ზვიად ლობჯანიძე | 19.04.90 |
| **თავდამსხმელები** | |
| კოკა მიკუჩაძე | 30.11.80 |
| ლადო ახალაია | 26.06.82 |
| მთავარი მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | 26.04.76 |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: გიორგი ლოლაძე | 19.10.80 |
| ასისტენტი: ჯონი ჯაგიდისი | 26.06.62 |
| მწვრთნელ-კონსულტანტი: იური გაბისკირია | |
| მწვრთნელ-კონსულტანტი: არმაზ ჯელაძე | |
| მეკარეების მწვრთნელი: დავით ასლანაძე | 16.11.76 |
| ფიზმომზადების მწვრთნელი: ვასილ პავლიაშვილი | 28.09.74 |

### სპარტაკი (ცხინვალი)

| მეკარეები | |
|---|---|
| გიორგი ნადირაძე | 14.03.92 |
| ვლადიმერ ზუხბაია | 31.01.86 |
| **მცველები** | |
| ლევან ჭაფოძე | 21.10.88 |
| ნიკა მგელაძე | 20.12.85 |
| ლევან თვალავაძე | 05.04.90 |
| ლევან ძურდაძე | 03.09.90 |
| **ნახევარმცველები** | |
| თეიმურაზ შონია | 28.05.90 |
| ვარლამ კილასონია | 09.01.93 |
| უჩა ბურძენაძე | 23.04.93 |
| გიორგი თექთურმანიძე | 17.09.90 |
| თორნიკე თუხარელი | 11.09.91 |
| **თავდამსხმელები** | |
| ზვიად მეტრეველი | 28.11.85 |
| ვახტანგ ფანცხავა | 08.10.89 |
| მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | 01.06.51 |
| მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: გოჩა ჩიქოვანი | 12.10.62 |
| მეკარეების მწვრთნელი: დავით გვარამაძე | 08.11.75 |

● არსენალი


თეო უოლკოტს მუხლის აწუხებს

# უოლკოტი იმედს არ კარგავს

## სანიას შემთხვევაში ოპტიმიზმის საფუძველიც არ არსებობს

ხვალ „ემირეიტსზე“ „არსენალი“ „ასტონ ვილასთან“ თამაშით 2013/14 წლების პრემიერლიგას იწყებს. „მეთოფეებს“ ამ შეხვედრაში ყველა წამყვანი ფეხბურთელი დასჭირდებათ. ეჭვქვეშ მხოლოდ **თეო უოლკოტისა** და **ბაკარი სანიას** თამაში დგას. 24 წლის გარემარბმა შოტლანდიასთან მოსამზადებელ შეკრებაზე უმნიშვნელო ტრავმა მიიღო, თუმცა მოედანზე გავიდა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო ინგლისელთა რიგებში. 75-ე წუთზე ის გვარიანად შესივებული მუხლის გამო შეცვალეს. უოლკოტი დარწმუნებულია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ის ბირმინგემელებთან თამაშს მაინც მოახერხებს. *„იმედია, შაბათისთვის ყველაფერი რიგზე იქნება. მუხლი დასივებული მაქვს და ყველაზე მეტად დასვენება მარგებს. ჩემპიონატის დაწყებამდე ბიჭებს მცირე ნერვიულობას ვატყობ. „არსენალისთვის“ ეს მნიშვნელოვანი წელიწადი იქნება,“* - აცხადებს უოლკოტი.

ოთხშაბათის სანაკრებო თამაშებს კიდევ ერთი არსენალელის ჯანმრთელობა შეეწირა. ბელგიასთან შეხვედრის პირველ ტაიმში კოჭი იტკინა ბაკარი სანიამ. **დიდიე დეშამს** ის არ შეუცვლია, რამაც ფეხბურთელის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ფრანგმა ჟურნალისტმა **ჟულიენ ლორენმა** „ტვიტერზე“ დაწერა, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ მან პირადად ინახულა სანია და ეჭვი ეპარება, რომ მან შაბათს „არსენალის“ შემადგენლობაში ითამაშოს. ასეთ შემთხვევაში სანიას **კარლ ჯენკინსონი** შეცვლის. ბელგიელებთან შეხვედრას უვნებლად გადაურჩნენ სხვა არსენალელები - **ოლივიე ჟირუ** და **ლორან კოშელნი**.

**ლევან ბიბილაშვილი**

● პრემიერლიგის წინ

# გედების გაზრდილი მოთხოვნები

ხვალ, 17 აგვისტოს „სუონსის“ „ლიბერთი სტედიუმზე“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ სეზონის პირველი რთული დაპირისპირება ელის. ფაქტია, რომ „გედები“ ამ ზაფხულს ყველა რგოლში გაძლიერდნენ. განსაკუთრებით ეს შეტევის ხაზზე ითქმის, სადაც კოტდივუარელი **ვილფრიდ ბონი** ითამაშებს. ინგლისის ჩემპიონები სერ **ალექს ფერგიუსონის** გარეშე დარჩნენ, რაც მათზე ზეწოლას განსაკუთრებით აძლიერებს. სწორედ ამ ფაქტორის გამოყენებას გეგმავენ პირველ ტურში მისი მეტოქეები. აი, რას ფიქრობს „სუონსის“ 29 წლის ჰოლანდიელი კარის დარაჯი **მიხელ ვორმი**:

*- მოიესმა ევროპალიგაზე „მალმოსთან“ ჩვენს შეხვედრას ტრიბუნებიდან ადევნა თვალი და ბუნებრივია, შესაბამისი დასკვნები გააკეთა. შოტლანდიელმა უკვე ნახა, რას წარმოადგენს განახლებული და გაძლიერებული „სუონსი“. მას ისიც ეცოდინება, რომ „იუნაიტედს“ ჩვენს სტადიონზე წინა წლებში რთული დღეები აქვს გადატანილი. „ევერტონში“ მუშაობისას მოიესმა რამდენჯერმე მძიმე მარცხი გვაწვნია, ასე რომ, მან იცის, როგორ უნდა ითამაშოს ჩვენ წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ეს ძველი „სუონსი“ უკვე აღარ არის. ფსიქოლოგიური წნეხი მარტო მოიესზე კი არა მის გუნდზეც მოქმედებს. რაც შეგვეხება ჩვენ, პრემიერლიგაში გატარებული ორი სეზონის შემდეგ ჩვენგან ამდენს არავინ ელოდა. ახლა კი დამოკიდებულება რადიკალურად შეცვლილია და რაღაც დონეზე უკვე სერიოზულადაც კი აღგვიქვამენ. ეს კი მეტ ზეწოლას ნიშნავს. ჩემი აზრით, ამ პირობებში თამაში უფრო საინტერესოა. ევროტურნირებზე უკვე ჩავერთეთ და დავამტკიცეთ, რაც შეგვიძლია. წარმატებული დასაწყისი „სუონსიზე“ დადებითად მოქმედებს.*

**ლევან ბიბილაშვილი**


მიხელ ვორმს ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ თამაში სიამოვნებს

## ამბები

### ბერი ვილაში არ წავა

„ტოქსპორტის“ ინფორმაციით, „ასტონ ვილამ“ უარი თქვა „მანჩესტერ სიტის“ შეთავაზებაზე, ერთწლიანი იჯარით წაეყვანა 32 წლის საყრდენი ნახევარმცველი **გარეთ ბერი**. მიზეზი „ვილას“ თავკაცი **პოლ ლამბერტია**, ვისაც ამ ეტაპზე ახალგაზრდა მოთამაშეებთან მუშაობა ურჩევნია. ფეხბურთელი ბირმინგემელთა რიგებში 12 წლის განმავლობაში თამაშობდა (1997/2009). კარიერის საწყის ეტაპზე ის მარჯვენა მცველად თამაშობდა და ამპლუა მოგვიანებით შეიცვალა. ევრო 2000-ზე ბელგია-ჰოლანდიაში გარეთი ინგლისელთა განაცხადში მცველად იყო შეყვანილი. **მანუელ პელეგრინის** ნახევარდაცვის ცენტრში **იაია ტურე, ხავი გარსია, ჯეკ როდუელი** და ახალწვეული **ფერნანდინიო** ჰყავს, ასე რომ, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს დარჩენის შემთხვევაში უთამაშებლობა ემუქრება.


გარეთ ბერი

### აგერი და შკრტელი მზად არიან


მარტინ შკტრელი და დანიელ აგერი

„სტოკ სიტისთან“ პრემიერლიგის პირველი ტურის შეხვედრამდე „ლივერპულს“ ორი ცენტრალური მცველი ჰყავს ტრავმირებული. ლაპარაკია **მარტინ შკრტელსა** და **დანიელ აგერზე**. თუკი სლოვაკმა და დანიელმა გამოჯანმრთელება ვერ მოახერხეს, სასტარტოში **კოლო ტურე** და **სებასტიან კოატესი** დადგებიან. რთული სიტუაციის მიუხედავად, „წითლების“ თავკაცი **ბრენდან როჯერსი** ოპტიმიზმს ინარჩუნებს. როგორც ჩანს, მისი შეგირდების მდგომარეობა უიმედო სულაც არ არის.

### მარტინესი: ფელაინი რჩება

**მარუან ფელაინის** „ევერტონთან“ ხელშეკრულება 2016 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. 25 წლის ბელგიელს კონტრაქტში საკომპენსაციო თანხის ოდენობა ჰქონდა განსაზღვრული, თუმცა **რობერტო მარტინესის** თქმით, პუნქტი მხოლოდ მიმდინარე წლის 31 ივლისამდე იყო ძალაში. ამიერიდან, ვიდრე შეთანხმების ვადის ამოწურვამდე, ფეხბურთელი მთლიანად კლუბის ნებაზე ხდება დამოკიდებული. ლივერპულელები კი მასთან დროზე ადრე გამოთხოვებას არ გეგმავენ. *„უკვე აღარ მაწუხებს დარდი, რომ „ევერტონს“ ვინმე მოულოდნელად დატოვებს,“* - განაცხადა „ევერტონის“ მთავარმა მწვრთნელმა.


მარუან ფელაინი

### მოიესი ტრანსფერებს გვპირდება


დევიდ მოიესი

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი კვირა რჩება. „მანჩესტერ იუნაიტედს“ **გილერმო ვარელას** გარდა ჯერ არავინ უყიდია. ურუგვაელი მარცხენა მცველის გადაბირებას გაძლიერებას ვერ დავარქმევთ, რადგან ყველამ იცის, რომ მას ძირითადში მოხვედრის შანსი პრაქტიკულად არ აქვს. გულშემატკივარი შეშფოთებულია. შოტლანდიელმა მწვრთნელმა **დევიდ მოიესმა** მათი დამშვიდება სცადა: *„დარწმუნებული ვარ, რომ ტრანსფერები ჯერ კიდევ იქნება. „იუნაიტედი“ პარალელურად რამდენიმე ფრონტზე მუშაობს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დაწყებული საქმეები ბოლომდე მივიყვანოთ“.*

### ბენტი ფულჰემში

„გარდიანის“ ცნობით, „ასტონ ვილას“ 29 წლის თავდამსხმელი **დარენ ბენტი** ყველაზე გვიან ამ უქმეებზე „ფულჰემთან“ 1-წლიან საიჯარო ხელშეკრულებას მოაწერს ხელს. **პოლ ლამბერტის** გუნდში ის ვერც შარშან ხვდებოდა ძირითადში და სკამზე კიდევ ერთი წლის გატარებას, ფეხბურთელმა გარემოს შეცვლა ამჯობინა. „ფულჰემამდე“ მას „კრისტალ პალასში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. ბენტს „ქრევეინ კოტეჯზე“ **მარტინ იოლი** დახვდება, ვისი ხელმძღვანელობითაც თავდამსხმელი „ტოტენჰემში“ თამაშობდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ფლორენციელთა ახალი სამიზნე

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ფიორენტინას“ მესვეურებს **ადილ რამის** გადაბირება სურთ და მზად არიან, 27 წლის მცველის სანაცვლოდ „ვალენსიას“ ბიუჯეტში 10 მილიონი ევრო გადარიცხონ. პარალელურად, ფლორენციელები თავად ფეხბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, 4-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ და წელიწადში 2 მილიონ ევროს ჰპირდებიან.

აქვე ვთქვათ, რომ „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, ადილ რამის გადაბირება „ნაპოლის“ მესვეურებსაც სურთ და უახლოეს დღეებში, ესპანელებთან შეხმიანებას აპირებენ. თუმცა, ამ შემთხვევაში ერთი ნაბიჯით წინ „ფიორენტინაა“ და ამ გუნდის შანსებიც უფრო ძვირად ფასობს.


ადილ რამი შესაძლოა „ფიორენტინაში“ გადაბარგდეს

**ლაშა ნიკლაური**

## სავარაუდო ტრანსფერი



ფაბიო კვალიარელამ ყველა შეთავაზებაზე უარი თქვა

# სად ითამაშებს კვალიარელა?

## ფაბიოს მხოლოდ ამბიციური კლუბი აკმაყოფილებს

ახალი სეზონი კარს მოგვადგა, **ფაბიო კვალიარელას** მომავალი კი ჯერ ისევ გაურკვეველია. 30 წლის თავდამსხმელი „იუვენტუსის" საკუთრებაა, თუმცა კლუბის მესვეურები მის სარფიანად გაყიდვას ლამობენ. როგორც კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** განაცხადა, კვალიარელა შავ სიაში მოხვდა და გუნდის გამოცვლაზე თავადაც უნდა იზრუნოს. ზრუნავს კიდეც და ამის შესახებ პრესასთანაც საუბრობს:

*„არაერთი შეთავაზება მქონდა, თუმცა ამ ეტაპზე, არც ერთი არ აღმოჩნდა მისაღები. ძირითადად ინგლისური კლუბები აქტიურობენ და ეს ცოტა მიკვირს კიდეც. უნდა ვაღიარო, რომ პრემიერლიგაში თამაშის პერსპექტივა მხიბლავს, მაგრამ ამბიციურ, მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდში. არ დავმალავ, რომ წინადადებები მივიღე „ნორვიჩისგან", „სანდერლენდისგან", „ვესტ ჰემისგან" და „ვესტ ბრომვიჩისგან", თუმცა როგორც უკვე ვთქვი, თითოეულ მათგანზე უარი განვაცხადე. ზღაპრული შეთავაზება მქონდა ყატარული „ალ გარაფიდან", მაგრამ არც ამ ვარიანტმა მომხიბლა. ჩემთვის ფული არაა მთავარი და წინა პლანზე სპორტულ მოტივაციას ვაყენებ. მომდევნო ზაფხულს მუნდიალი გაიმართება, „ალ გარაფიდან" კი ეროვნულ ნაკრებში ნამდვილად ვერ მოვხვდები. სად ვითამაშებ მომდევნო სეზონში? - ამაზე პასუხი თვის ბოლოს მეცოდინება".*

**ლაშა წიკლაური**

## ამბები

### მურიელი უდინეში რჩება

**ანტონიო დი ნატალესთან** ერთად, „უდინეზეს" მთავარი იმედი და დამრტყმელი ძალა 22 წლის **ლუის მურიელია**. კოლუმბიელი თავდამსხმელი 2010 წლიდან ფრიულურ კლუბს ეკუთვნის, ორი სეზონი „ლეჩესა" და „გრანადაში" იჯარით იყო განათხოვრებული, თუმცა გასულ ჩემპიონატში უკვე „უდინეზეს" ღირსებას იცავდა და იმდენად კარგად წარმოჩნდა, რომ ევროპულ გრანდთა ყურადღება მიიპყრო. ლუისმა „კორიერე დელო სპორტს" სამომავლო გეგმები გაუმხილა:



ლუის მურიელმა პრეზიდენტს ხათრი ვერ გაუტეხა

*„სიმართლე გითხრათ, საინტერესო წინადადებები არ მაკლია და ამ ზაფხულსვე შემიძლია, რომ ევროპის რომელიმე გრანდში გადავბარგდე. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მივიღე და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მომდევნო სეზონსაც „უდინეზეში" გავატარებ. კლუბის პრეზიდენტ ჯამპაოლო პოცოს უკვე ვესაუბრე და მან სურვილი გამოთქვა, რომ მინიმუმ კიდევ ერთი სეზონი მის გუნდში დავრჩე. პოცის დიდი ამაგი აქვს ჩემზე და უარის თქმა არ გამოდიოდა. ვეცდები, ამ ერთ სეზონში კიდევ უფრო გავიზარდო როგორც ფეხბურთელი და შემდეგ, რომელიმე გრანდს შევუერთდე. მჯერა, რომ ეს ასეც იქნება".*

### მაცარი: ჯერ გუნდად უნდა ვიქცეთ



ვალტერ მაცარის თქმით, ევროტურნირებს მიღმა ყოფნა სერია A-ში „ინტერის" პლუსია

იტალიელ ჟურნალისტებთან საუბრისას **ვალტერ მაცარიმ** განმარტა თუ რატომ გადაწყვიტა „ინტერის" მწვრთნელობა და დასძინა, რომ ევროტურნირებს მიღმა ყოფნა მის გუნდს სერია A-ში მაღალი ადგილის დაკავებაში დაეხმარება:

*„პრაქტიკულად გადაწყვეტილი მქონდა, რომ „ნაპოლიში" კიდევ ერთი სეზონი უნდა მემუშავა, მაგრამ მასიმო მორატისთან საუბარმა ჩემი გეგმები მთლიანად შეცვალა. პრეზიდენტმა ცეცხლი აანთო ჩემში და იქვე გადავწყვიტე, რომ „ინტერის" მწვრთნელი უნდა გავმხდარიყავი. ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს, თუმცა მოვლენების დაჩქარება მხოლოდ დაგვაზარალებს. ევროტურნირებს მიღმა ყოფნა სერია A-ში ჩვენი პლუსი იქნება, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ჯერ გუნდად უნდა ვიქცეთ, ევროსაგზური მოვიპოვოთ, შემდეგ კი დიდ მიზნებსაც შევიძლია შევეჭიდოთ".*

**ლაშა წიკლაური**

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. 2013/14 სეზონის გა[illegible]




### ალმერია

**დაარსდა:** 1989
**სტადიონი:** "მედიტერანეო" (22 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ესტებანი | 27.06.1975 |
| 25. ოსკარ უსტარი (არგ) | 03.07.1986 |
| 31. ვიქტორ იბანიესი | 21.04.1989 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. მარკო ტორსილიერი (არგ) | 12.01.1988 |
| 3. მარსელო სილვა (ურუ) | 21.03.1989 |
| 4. ერნან პელერანო (არგ) | 04.06.1984 |
| 5. ანხელ ტრუხილიო | 08.09.1987 |
| 14. რაულ გარსია | 30.11.1988 |
| 18. კრისტიან ფერნანდესი | 15.10.1985 |
| 20. რაფიტა | 18.09.1982 |
| 22. ნელსონი (პორ) | 10.06.1983 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. მარკოს ტებარი | 07.02.1986 |
| 7. ვერსა | 29.09.1986 |
| 12. რამონ აზიზი (ნიგ) | 12.12.1992 |
| 15. კორონა | 12.02.1981 |
| 16. სებასტიან დუბარბიერი (არგ) | 19.02.1986 |
| 17. სუსო | 19.11.1993 |
| 21. რუბენ სუარესი | 19.02.1979 |
| 23. ფერნანდო სორიანო | 24.09.1979 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 8. ალეიქს ვიდალი | 21.08.1989 |
| 9. ოსკარ დიასი | 24.04.1984 |
| 10. როდრი | 06.06.1990 |
| 11. აბელ მოლინერო | 28.04.1989 |
| 19. ჟონათან ზონგო (ბ. ფასო) | 02.12.1992 |
| **მწვრთნელი:** ფრანსისკო | 17.06.1978 |

### ათლეტიკი (ბილბაო)

**დაარსდა:** 1898
**სტადიონი:** "სან მამეს ბარია" (53 332)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. გორკა ირაიზოსი | 06.03.1981 |
| 13. იაგო | 25.01.1988 |
| 30. არისაბალაგა | 03.10.1994 |

| მცველები | |
|---|---|
| 3. იონ აურტენეჩე | 03.01.1992 |
| 4. აიმერიკ ლაპორტი (საფ) | 27.05.1994 |
| 6. მიკელ სან ხოსე | 30.05.1989 |
| 15. ანდონი ირაოლა | 22.06.1982 |
| 16. ჩაბიერ ეჩეიტა | 31.10.19987 |
| 22. ენრიკ საბორიტი | 27.04.1992 |
| 23. ბორხა ეკისა | 06.03.1988 |
| 24. მიკელ ბალენსიაგა | 29.02.1988 |
| უნაი ალბისუა | 18.01.1989 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. ერიკ მორანი | 25.05.1991 |
| 7. ბენიატ ეჩებარია | 19.02.1987 |
| 8. ანდერ იტურასპე | 08.03.1989 |
| 10. ოსკარ დე მარკოსი | 14.04.1989 |
| 14. მარკელ სუსაეტა | 14.12.1987 |
| 17. ინიგო პერესი | 18.01.1988 |
| 18. კარლოს გურპეგი | 19.08.1980 |
| 21. ანდერ ერერა | 14.08.1989 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 2. გაისკა ტოკერო | 09.08.1984 |
| 9. კიკე სოლა | 25.02.1986 |
| 11. იბაი გომესი | 11.11.1989 |
| 19. იკერ მუნიაინი | 19.12.1992 |
| 20. არიც ადურისი | 11.02.1981 |
| **მწვრთნელი:** ერნ. ვალვერდე | 09.02.1964 |

### ათლეტიკო (მადრიდი)

**დაარსდა:** 1903
**სტადიონი:** "ვისენტე კალდერონი" (54 960)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. დანიელ არანსუბია | 18.09.1979 |
| 13. ტიბო კურტუა (ბელ) | 11.05.1992 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. დიეგო გოდინი (ურუ) | 16.02.1986 |
| 3. ფილიპე ლუიში (ბრა) | 09.08.1985 |
| 18. ხოსე ხიმენესი (ურუ) | 20.01.1995 |
| 20. ხუანფრანი | 09.01.1985 |
| 22. ემილიანო ინსუა (არგ) | 07.01.1989 |
| 23. ჟოაო მირანდა (ბრა) | 07.09.1984 |
| 24. მარტინ დემიკელისი (არგ) | 20.12.1980 |
| ლეანდრო კაბრერა (ურუ) | 17.06.1991 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. მარიო სუარესი | 24.02.1987 |
| 5. ტიაგო (პორ) | 02.05.1981 |
| 6. კოკე | 08.01.1992 |
| 8. რაულ გარსია | 11.07.1986 |
| 10. არდა თურანი (თურ) | 30.01.1987 |
| 11. კრ. როდრიგესი (ურუ) | 30.09.1985 |
| 14. გაბი | 10.07.1983 |
| აბდელკადერ უსლატი (საფ) | 07.10.1991 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. ადრიანი | 08.01.1988 |
| 9. დავიდ ვილია | 03.12.1981 |
| 19. დიეგო კოსტა (ბრა) | 07.10.1988 |
| 21. ლეო ბაპტისტაო (ბრა) | 26.08.1992 |
| 27. ბორხა | 25.08.1992 |
| **მწვრთ.:** დიეგო სიმეონე | 28.04.1970 |

### ბარსელონა

**დაარსდა:** 1899
**სტადიონი:** "კამპ ნოუ" (99 786)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ვიქტორ ვალდესი | 14.01.1982 |
| 13. ხოსე პინტო | 08.11.1975 |
| 25. ოიერ ოლასაბალი | 14.09.1989 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. მარტინ მონტოია | 14.04.1991 |
| 3. ჟერარ პიკე | 02.02.1987 |
| 5. კარლეს პუიოლი | 13.04.1978 |
| 14. ხავიერ მასკერანო (არგ) | 08.06.1984 |
| 15. მარკ ბარტრა | 15.01.1991 |
| 18. ჟორდი ალბა | 21.03.1989 |
| 21. ადრიანო კორეია (ბრა) | 26.10.1984 |
| 22. დანი ალვეში (ბრა) | 06.05.1983 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. სესკ ფაბრეგასი | 04.05.1987 |
| 6. ჩავი | 25.01.1980 |
| 8. ანდრეს ინიესტა | 11.05.1984 |
| 12. ჯონ. დოს სანტოსი (მექ) | 26.04.1990 |
| 16. სერხიო ბუსკეტსი | 16.07.1988 |
| 17. ალექს სონგი (კამ) | 09.09.1987 |
| 24. სერხი რობერტო | 07.02.1992 |
| იბრაჰიმ აფელაი (ჰოლ) | 02.04.1986 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. პედრო | 28.07.1987 |
| 9. ალექსის სანჩესი (ჩილ) | 19.12.1988 |
| 10. ლიონელ მესი (არგ) | 24.06.1987 |
| 11. ნეიმარი (ბრა) | 05.02.1992 |
| 20. კრისტიან ტელიო | 11.08.1991 |
| 23. ისააკ კუენკა | 27.04.1991 |
| **მწვრთ.:** ხერ. მარტინო (არგ) | 20.11.1962 |

### ბეტისი (სევილია)

**დაარსდა:** 1907
**სტადიონი:** "ბენიტო ვილიამარინი" (56 432)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. სტეფან ანდერსენი (დან) | 26.11.1981 |
| 13. გილერმო სარა (არგ) | 30.09.1987 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ფრანსისკო ჩიკა | 17.05.1985 |
| 3. პაულაო (ბრა) | 06.05.1982 |
| 4. ანტონიო ამაია | 31.05.1983 |
| 6. ალექს მარტინესი | 12.08.1990 |
| 12. დიდაკ ვილა | 09.06.1989 |
| 15. დამიენ პერკისი (პოლ) | 10.04.1984 |
| 18. მარკუს შტაინჰოფერი (გერ) | 04.03.1986 |
| 23. ნაჩო | 24.06.1980 |
| 25. ხორდი ფიგერასი | 16.05.1987 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. ხავიერ მატილია | 01.01.1988 |
| 7. ალვარო ვადილიო | 30.11.1993 |
| 8. ნონო | 30.03.1993 |
| 10. ჟოან ვერდუ | 05.05.1983 |
| 11. ხუანფრანი | 11.09.1988 |
| 14. სალვა სევილია | 18.03.1984 |
| 17. ხუან კარლოსი | 30.03.1990 |
| 20. ნოსა იგიებორი (ნიგ) | 09.11.1990 |
| 21. ლორენცო რეიესი (ჩილ) | 13.06.1991 |
| 22. სედრიკ მაბვატი (დრ კონ.) | 08.03.1992 |
| ედერ ვილარჩაო | 09.02.1990 |
| ხავი ტორესი | 21.11.1986 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. ჩული | 25.01.1991 |
| 16. ბრ. როდრიგესი (ურუ) | 14.08.1986 |
| 19. ხორხე მოლინა | 22.04.1982 |
| 24. რუბენ კასტრო | 27.06.1981 |
| **მწვრთნელი:** პეპე მელი | 28.02.1963 |

### გრანადა

**დაარსდა:** 1931
**სტადიონი:** "ნუევო ლოს კარმენესი" (22 524)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ორესტის კარნეზისი (საბ) | 11.07.1985 |
| 13. რობერტო ფერნანდესი | 25.01.1979 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ალან-რომეო ნიომი (საფ) | 10.05.1988 |
| 3. დუგლას სანტოსი (ბრა) | 22.03.1994 |
| 5. დიეგო მაინსი | 29.12.1982 |
| 6. გილერმე სიკეირა (ბრა) | 28.04.1986 |
| 15. პაპე დიახატე (სენ) | 21.06.1984 |
| 16. ბრაიან ანგულო (კოლ) | 02.11.1989 |
| 19. ალექსანდრ კოეფი (საფ) | 20.02.1992 |
| 24. ჯეისონ მურილიო (კოლ) | 27.05.1992 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. ფრან რიკო | 03.08.1987 |
| 8. ჰასან იებდა (ალჟ) | 14.05.1984 |
| 10. იასინ ბრაჰიმი (ალჟ) | 08.02.1990 |
| 11. დანი ბენიტესი | 07.04.1987 |
| 12. დიეგო ბუონანოტე (არგ) | 19.04.1988 |
| 14. მიკელ რიკო | 01.11.1984 |
| 18. მანუელ იტურა (ჩილ) | 23.06.1984 |
| ალექს ბერნალი | 03.03.1991 |
| ალექს კრუსი | 17.06.1990 |
| ალვარო გარსია | 27.10.1992 |
| რიჩარდ ბოატენგი (გან) | 10.07.1992 |
| კრისტიან ბრავო (ჩილ) | 01.10.1993 |
| ტოტი | 21.09.1987 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. არანდა | 27.07.1980 |
| 9. იუსეფ ელ-არაბი (მარ) | 03.02.1987 |
| 20. პიტი | 26.05.1981 |
| 21. რიკი | 11.08.1980 |
| ანტონიო პუერტასი | 21.02.1992 |
| დარვინ მაჩისი (ვენ) | 07.02.1993 |
| **მწვრ.:** ლუკას ალკარასი | 21.06.1966 |

### ელჩე

**დაარსდა:** 1923
**სტადიონი:** "მარტინეს ვალერო" (38 750)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. მანუ ერერა | 29.09.1982 |
| 13. ტონიო | 17.12.1979 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. დამიან სუარესი (ურუ) | 27.04.1988 |
| 3. ალბერტო ბოტია | 27.01.1989 |
| 4. დავიდ ლომბანი | 05.06.1987 |
| 12. გრეგორი ბერანჟე (საფ) | 30.08.1981 |
| 18. სერხიო პელეგრინი | 18.04.1979 |
| 21. ედუ ალბაკარი | 16.11.1979 |
| 22. კრისტ. საპუნარუ (რუმ) | 05.04.1984 |
| 23. დომინგო სისმა | 09.02.1982 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. ალბერტო რივერა | 16.02.1978 |
| 6. რუბენ პერესი | 26.04.1989 |
| 7. აარონ ნიგესი | 26.04.1989 |
| 8. სერხიო მანტეკონი | 08.06.1980 |
| 10. ხავი ფლორესი | 09.02.1986 |
| 15. კარლესი ხილი | 22.11.1992 |
| 16. ფიდელი | 27.10.1989 |
| 17. მიროს. სტევანოვიჩი (ბოს) | 29.07.1990 |
| 20. დავიდ ხენერელო | 11.08.1982 |
| კარლოს სანჩესი (კოლ) | 06.02.1986 |
| ხავი მარკესი | 11.05.1986 |




**თავდამსხმელები**
9. მანუ დელ მორალი 25.02.1984
11. კორო 05.01.1983
მწვრ: ფრან ესკრიბა 03.05.1965

## ესპანიოლი (ბარსელონა)

დაარსდა: 1900
სტადიონი: "კორნელია ელ პრატი" (40500)

**მეკარეები**
13. კიკო კასილია 02.10.1986
26. ხერმანი 16.02.1993

**მცველები**
2. ფელიპე მატიონი (ბრა) 15.10.1988
3. რაულ როდრიგესი 22.09.1987
11. ჟოან კაპდევილა 03.02.1978
15. ექტორ მორენო (მექ) 17.01.1988
18. ხუან რაფაელ ფუენტესი 05.01.1990
19. დიეგო კოლოტო (არგ) 10.03.1981
25. სიდნეი 23.06.1989
27. ვიქტორ ალვარესი 14.03.1993

**ნახევარმცველები**
4. ვიქტორ სანჩესი 08.09.1987
5. სერხიო ტეხერა 28.05.1990
6. კრისტიან გომესი 27.07.1989
7. ხუან ალბინი (ურუ) 17.07.1986
12. მანუელ ლანსაროტე 20.01.1984
14. დავიდ ლოპესი 09.10.1989
16. ხავი ლოპესი 21.01.1986
20. სიმაო (პორ) 31.10.1979
22. ვაკასო (გან) 25.07.1990
23. აბრაამ გონსალესი 16.07.1985
24. კრისტიან ალფონსო 02.05.1989

**თავდამსხმელები**
8. კრისტიან სტუანი (ურუ) 12.12.1986
9. სერხიო გარსია 09.06.1983
10. პიცი (პორ) 06.10.1989
17. ტიევი ბიფუმა (საფ) 13.05.1992
ადრიან ლუნა (ურუ) 12.04.1992
მწვრ: ხავიერ აგირე (მექ) 01.12.1958

## ვალენსია

დაარსდა: 1919
სტადიონი: "მესტალია" (55000)

**მეკარეები**
1. დიეგო ალვეში (ბრა) 24.06.1985
13. ვისენტე გუაიტა 18.02.1987

**მცველები**
3. ალი სისოხო (საფ) 15.09.1987
4. ადილ რამი (საფ) 27.12.1985
5. ვიქტორ რუისი 25.01.1989
12. ჟოაო პერეირა (პორ) 25.02.1984
19. ანტონიო ბარაგანი 12.06.1987
20. რიკარდო კოშტა (პორ) 16.05.1981
22. ჟერემი მატიო (საფ) 29.10.1983

**ნახევარმცველები**
6. ორიოლ რომეუ 24.09.1991
8. სოფიან ფეგული (ალჟ) 26.12.1989
10. ევერ ბანეგა (არგ) 29.06.1988
14. ხუან ბერნატი 01.03.1993
15. ხავი ფუეგო 04.01.1984
17. ხონათან ვიერა 21.10.1989
18. ანდრეს გუარდადო (მექ) 28.09.1986
21. დანი პარეხო 16.04.1989
23. სერხიო კანალესი 16.02.1991
24. მიჩელი 29.07.1988
28. ფედე კარტაბია (არგ) 20.01.1993
30. ხოსე ლუის გაია 25.05.1995

**თავდამსხმელები**
7. ჟონასი (ბრა) 01.04.1984
9. ელდერ პოსტიგა (პორ) 02.08.1982
11. პაბლო პიატი (არგ) 31.03.1989
16. პაკო ალკასერი 30.08.1993
მწვრ: მირ. ჯუკიჩი (სერ) 19.02.1966

## ვალიადოლიდი

დაარსდა: 1928
სტადიონი: "ხოსე სორილია" (26512)

**მეკარეები**
1. ხაიმე 10.12.1980
13. დიეგო მარინო 09.05.1990

**მცველები**
2. ანტონიო რუკავინა (სერ) 26.01.1984
3. ჰაინც ბარმეტლერი (დომ) 21.07.1987
4. მარკ ვალიენტე 20.03.1987
6. ხესუს რუედა 19.02.1987
17. პენია 28.07.1983
21. ზაქარია ბერგდიხი (მარ) 07.01.1989
24. გილბერტო გარსია (კოლ) 27.01.1987

**ნახევარმცველები**
5. კარლოს ლასარო 13.11.1990
7. კიკე 16.05.1990
8. ხავიერ ბარახა 24.08.1980
10. ოსკარი 12.11.1982
11. დანიელ ლარსონი (შვე) 25.01.1987
14. ომარ რამოსი 26.01.1988
16. ლუის სასტრე 26.03.1986
18. ალვარო რუბიო 18.04.1979
19. ვალდეტ რამა (ალბ) 20.11.1987
20. პატრიკ ებერტი (გერ) 17.03.1987
22. ვიქტორ პერესი 12.01.1988

**თავდამსხმელები**
9. ხავი გერა 15.03.1983
12. უმბერტო ოსორიო (კოლ) 24.06.1988
23. მანუჩო (ანგ) 07.03.1983
მწვრ: ხუან იგნ. მარტინესი 23.06.1964

## ვილიარეალი

დაარსდა: 1923
სტადიონი: "ელ მადრიგალი" (24890)

**მეკარეები**
1. სერხიო ასენხო 28.06.1989
25. ხუან კარლოსი 27.07.1987
35. აიტორი 03.05.1991

**მცველები**
2. მარიო 24.11.1990
3. ბოიან იოკიჩი (სლო) 17.05.1986
5. მატეო მუსაკიო (არგ) 26.08.1990
6. ალექსანდარ პანტიჩი (სერ) 11.04.1992
16. დორადო 10.07.1982
18. ხაუმე კოსტა 18.03.1988
29. პაბლო ინიგესი 20.01.1994
გაბრიელ პაულისტა (ბრა) 26.12.1990

**ნახევარმცველები**
4. ტომას პინა 14.10.1987
10. კანი 03.08.1981
11. ერნან პერესი (პარ) 25.02.1989
14. ტრიგეროსი 17.10.1991
15. ფარინოსი 29.03.1978
17. ხავიერ აკინო (მექ) 11.02.1990
21. ბრუნო სორიანო 12.06.1984
27. მოისეს "მოი" გომესი 23.06.1994
28. ედუ რამოსი 17.02.1992
ხავიერ კამუნიასი 17.07.1980

**თავდამსხმელები**
7. ჟერემი პერბე (საფ) 12.12.1984
8. იკეჩუკვუ უჩე (ნიგ) 05.01.1984
9. ჯოვანი დოს სანტოსი (მექ) 11.05.1989
24. ხონათან პერეირა 12.05.1987
მწვრთნელი: მარსელინიო 14.08.1965

## ლევანტე (ვალენსია)

დაარსდა: 1909
სტადიონი: "სიუტ. დევალენსია" (25534)

**მეკარეები**
1. კეილორ ნავასი (კ. რიკა) 15.12.1986
25. ხავი ხიმენესი 08.06.1987

**მცველები**
4. დავიდ ნავარო 25.05.1980
5. ექტორ როდასი 07.03.1988
6. ლუკას ვინტრა (საბ) 05.02.1981
12. ხუანფრანი 15.07.1976
15. ნიკოს კარაბელასი (საბ) 20.12.1984
16. ისამ ელ ადუა (მარ) 12.09.1986
19. პედრო ლოპესი 01.11.1983
22. კრისტიან ლელი (გერ) 29.08.1984

**ნახევარმცველები**
8. ნაბილ ელ ჟარი (მარ) 27.08.1986
10. ვისენტე იბორა
11. რუბენ გარსია 14.07.1993
14. მიგელ პალიარდო 05.09.1986
17. ხორდი ჩუმეტრია 24.10.1985
18. სერჟიო პინტუ (პორ) 16.10.1980
20. პედრო რიოსი 12.12.1981
21. ანდრეას ივანშიტცი (ავს) 15.10.1983
23. პაპე დიოპი (სენ) 19.03.1986
24. სიმაო (მოზ) 23.07.1988
26. ხოსე იგონი 22.05.1991

**თავდამსხმელები**
7. დავიდ ბარალი 10.05.1983
9. ანხელი 26.04.1987
ალოის ნონგი (კამ) 16.10.1983
მწვრ: ხოაკინ კაპაროსი 15.10.1955

## მალაგა

დაარსდა: 1904
სტადიონი: "ლაროსალედა" (30044)

**მეკარეები**
1. კარლოს კამენი (კამ) 18.02.1984
13. ვილი კაბალიერო (არგ) 28.09.1981

**მცველები**
2. ხესუს გამესი 10.04.1985
3. ველინგტონი (ბრა) 26.08.1979
4. ფლავიო ფერეირა (პორ) 19.10.1991
5. ვიტორ. ანტუნეში (პორ) 01.04.1987
16. მარკოს ანხელერი (არგ) 7.04.1983
18. ელიზეუ (პორ) 01.10.1983
21. სერხიო სანჩესი 03.04.1986
23. რობერტო ჩენი (პან) 24.05.1994

**ნახევარმცველები**
6. იგნასიო კამაჩო 04.05.1990
8. ფრანსისკო პორტილიო 13.06.1990
10. ბოზლი ანდერს. (კოტ დივ) 03.03.1992
12. ფერნანდო ტისონე (არგ) 24.07.1986
14. პედრო მორალესი (ჩილ) 25.05.1985
17. დუდა (პორ) 27.06.1980
20. რესიო 11.01.1991
სერხი დარდერი 22.12.1993

**თავდამსხმელები**
9. როკე სანტა კრუსი (პარ) 16.08.1981
11. სება ფერნანდესი (ურუ) 23.05.1985
15. ხუანმი 20.05.1993
19. ბარტლ. პავლოვსკი (პოლ) 13.11.1992
24. სამუელ გარსია 13.07.1990
ფაბრის ოლინგა (კამ) 12.05.1996
მწვრ: ბერნდ შუსტერი (გერ) 22.12.1959

## ოსასუნა (პამპლონა)

დაარსდა: 1920
სტადიონი: "ელ სადარი" ("რეინო დე ნავარა", 19553)

**მეკარეები**
1. ასიერ რიესგო 06.10.1983
13. ანდრეს ფერნანდესი 17.12.1986

**მცველები**
2. მარკ ბერტრანი 22.05.1982
3. ჟოან ორიოლი 05.11.1986
4. მიგელ ფლანიო 19.08.1984
5. ლოლო 22.08.1984
6. იონ ეჩაიდე 05.01.1988
12. ენეკო სატრუსტეგი 25.09.1990
14. ალეხანდრო არიბასი 01.05.1989
15. ოიერი 25.05.1986
22. ჟორდან ლოტიე (საფ) 05.08.1984
24. დამია 15.04.1982

**ნახევარმცველები**
8. მიგელ დე ლას კუევასი 19.06.1986
9. ემილ. არმენტეროსი (არგ) 18.01.1986
10. ფრანსისკო პუნიალი 06.09.1975
11. სისი 22.04.1986
16. ალვარო სეხუდო 29.01.1984
20. ფრანსისკო სილვა (ჩილ) 11.02.1986
21. რობერტო ტორესი 07.03.1989
23. რაულ ლოე (კამ) 31.01.1989
რუპერი 04.06.1987

**თავდამსხმელები**
7. ნინო 10.06.1980
17. ხოსე ნუნიესი (პარ) 12.09.1988
18. მანუელ ონვუ 11.01.1988
19. ორიოლ რიერა 03.07.1986
მწვრ: ხ. ლუის მენდილიბარი 14.03.1961

## რაიო ვალეკანო (მადრიდი)

დაარსდა: 1924
სტადიონი: "კამპო დე ფუტბოლ დე ვალეკასი" ("ტერეზა რივერო", 14708)

**მეკარეები**
1. რუბენი 22.06.1984
25. დავიდ კობენიო 06.04.1982

**მცველები**
2. ტიტო 11.07.1985
5. ალეხანდრო გალვესი 06.06.1989
6. როდრი 17.08.1984
14. ანაიც არბილია 15.05.1987
ლეონელ გალეანო (არგ) 02.08.1991
იოჰან მოხიკა (კოლ) 21.08.1992
ნაჩო 07.03.1989

**ნახევარმცველები**
8 ადრიანი 25.05.1988
9. ხოსე კარლოსი 17.07.1987
17. რობერტო ტრაშორასი 28.02.1981
კრისტიან კუევა (პერ) 23.11.1991
რაულ ბაენა 02.03.1989
საულ ნიგესი 21.11.1994

**თავდამსხმელები**
19. ლასანა ზანზურა (გვი) 30.03.1992
33. ალბერტო პერეა 16.05.1990
37. რუბენ რამირო 16.04.1993
ალბერტო ბუენო 20.03.1988
ნერი კასტილიო (მექ) 13.06.1984
ხოაკინ ლარივეი (არგ) 20.08.1984
მწვრთნელი: პაკო ხემესი 18.04.1970

## რეალი (მადრიდი)

დაარსდა: 1902
სტადიონი: "სანტიაგო ბერნაბეუ" (85454)

**მეკარეები**
1. იკერ კასილიასი 20.05.1981
13. ანტონიო ადანი 13.05.1987
25. დიეგო ლოპესი 03.11.1981
35. ხესუს ფერნანდესი 1106.1988

**მცველები**
2. რაფაელ ვარანი (საფ) 2504.1993
3. პეპე (პორ) 26.02.1983
4. სერხიო რამოსი 30.03.1986
5. ფაბიო კოენტრაო (პორ) 11.03.19888
12. მარსელო (ბრა) 12.05.1988
15. დანი კარვახალი 11.01.1992
17. ალვარო არბელოა 17.01.1983
27. ნაჩო 18.01.1990

**ნახევარმცველები**
6. სამი ხედირა (გერ) 04.04.1987
8. კაკა (ბრა) 22.04.1982
10. მესუთ იოზილი (გერ) 15.10.1988
14. ჩაბი ალონსო 25.11.1981
19. ლუკა მოდრიჩი (ხორ) 09.09.1985
22. ანხელ დი მარია (არგ) 14.02.1988
23. ისკო 21.04.1992
24. ასიერ ილიარამენდი 08.03.1990
26. კაზემირო (ბრა) 23.02.1992
29. დენის ჩერიშევი (რუს) 26.12.1990

**თავდამსხმელები**
7. კრიშტიანო რონალდო (პორ) 05.02.1985
9. ქარიმ ბენზემა (საფ) 19.12.1987
20. ხესე როდრიგესი 26.02.1993
21. ალვარო მორატა 23.10.1992
მწვრ: კარლო ანჩელოტი (იტა) 10.06.1959

## სევილია

დაარსდა: 1900
სტადიონი: "რამონ სანჩეს პისხუანი" (45500)

**მეკარეები**
1. ხავი ვარასი 10.09.1982
13. ბეტუ (პორ) 01.05.1982
25. ხულიანი 28.03.1991

**მცველები**
2. ფედერიკო ფასიო (არგ) 17.03.1987
3. ფერნანდო ნავარო 25.06.1982
4. კალა 26.11.1989
5. დიეგო ფიგეირასი (პორ) 01.07.1991
6. დანიელ კარიკო (პორ) 04.08.1988
12. ედვიგეს მადურო (ჰოლ) 13.02.1985
16. ალბერტო მორენო 05.07.1992
21. ნიკოლას პარეხა (არგ) 19.01.1984
23. კოკე 26.04.1987
სისინიო (ბრა) 04.08.1986

**ნახევარმცველები**
7. მარკო მარინი (გერ) 13.03.1989
8. სება. კრისტოფორო (ურუ) 23.08.1993
10. დიეგო პეროტი (არგ) 26.07.1988
11. ივან რაკიტიჩი (ხორ) 10.03.1988
15. პიოტრ ტროხოვსკი (გერ) 22.03.1984
17. ტიბერიო გუარანტე (იტა) 01.11.1985
20. ვიტოლო 02.11.1989
22. ჟოფრი კონდოგბია (საფ) 15.02.1993
25. ხაირო სამპერიო 11.07.1993
27. კოტანი 19.09.1995

**თავდამსხმელები**
9. კარლოს ბაკა (კოლ) 08.09.1986
14. ბრიან რაბელიო (ჩილ) 17.05.1994
18. კევინ გამეირო (საფ) 09.05.1987
19. ხოსე ანტონიო რეიესი 01.09.1983
24. რაულ რუსესკუ (რუმ) 09.07.1988
მწვრთნელი: უნაი ემერი 03.11.1971

## სელტა (ვიგო)

დაარსდა: 1923
სტადიონი: "ბალაიდოსი" (32500)

**მეკარეები**
1. სერხიო ალვარესი 03.08.1986
13. იოელი 28.08.1988
26. რუბენი 25.07.1995

**მცველები**
2. უგო მალიო 30.11.1991
3. ანდრეუ ფონტასი 14.11.1989
5. ანდრეს ტუნიესი (ვენ) 15.03.1987
6. ხონათან ვილა 06.03.1986
16. კარლოს ბელვისი 24.04.1985
19. ხონი 03.03.1994
21. სამუელი 26.04.1985
22. გუსტავო კაბრალი (არგ) 14.10.1985

**ნახევარმცველები**
4. ბორხა ოუბინა 17.05.1982
7. რაფაელ ალკანტარა 12.02.1993
8. ალექს ლოპესი 11.01.1988
14. ფაბიან ორელიანა (ჩილ) 27.01.1986
17. ლევი მადინდა (გაბ) 11.06.1992
20. ტონი 04.04.1990
23. მიკაელ კრონ-დელი (დან) 06.06.1983
24. აუგ. ფერნანდესი (არგ) 10.04.1986

**თავდამსხმელები**
9. მარიო ბერმეხო 07.10.1978
10. ნოლიტო 15.10.1986
11. შარლესი (ბრა) 04.04.1984
18. დავიდ როდრიგესი 14.02.1986
27. სანტი მინა 07.12.1995
მწვრთნელი: ლუის ენრიკე 08.05.1970

## სოსიედადი (სან სებასტიანი)

დაარსდა: 1909
სტადიონი: "ანოეტა" (32200)

**მეკარეები**
1. კლაუდიო ბრავო (ჩილ) 13.04.1983
13. ენო სუბიკარაი 26.02.1984
26. ენრიკე როიო 14.06.1991

**მცველები**
2. კარლოს მარტინესი 09.04.1986
3. მიკელ გონსალესი 24.09.1985
6. ინიგო მარტინესი 17.05.1991
15. იონ ანსოტეგი 13.07.1982
19. ლასინ კადამურო (ალჟ) 05.03.1988
20. ხოსე ანხელი 05.09.1989
22. დანიელ ესტრადა 03.01.1987
24. ალბერტო დე ლა ბელია 02.12.1985

**ნახევარმცველები**
4. გორკა ელუსტონდო 18.03.1987
5. მარკელ ბერგარა 05.05.1986
7. ანტუან გრიზმანი (საფ) 21.03.1991
10. ჩაბი პრიეტო 29.08.1983
14. რუბენ პარდო 22.10.1992
17. დავიდ სურუტუსა 19.07.1986
18. ჩორი კასტრო (ურუ) 14.09.1984
23. ხავი როსი 16.02.1990

**თავდამსხმელები**
8. ჰარის სეფეროვიჩი (შვეიც) 22.02.1992
9. იმანოლ აგირეჩე 24.02.1987
11. კარლოსველა (მექ) 01.03.1989
21. დიეგო იფრანი (ურუ) 08.06.1987
მწვრთნელი: იაგოზა არასატე 22.04.1978

## ხეტაფე (მადრიდი)

დაარსდა: 1983
სტადიონი: "კოლისეუმ ალფონსო პერეს" (17700)

**მეკარეები**
1. მიგელ მოია 02.04.1984
13. ხორდი კოდინა 27.04.1982

**მცველები**
2. ალექსისი 04.08.1985
3. რობერტო ლაგო 30.10.1985
6. ალბერტო ლოპო 05.05.1980
12. ალვარო აროიო 22.07.1988
15. რაფა 09.04.1985
18. სერხიო ესკუდერო 02.09.1989
20. ხუან ვალერა 21.12.1984

**ნახევარმცველები**
5. მეჰდი ლასენი (ალჟ) 15.03.1984
7. ანხელ ლაფიტა 07.08.1984
8. პაბლო სარაბია 11.05.1992
10. ხაიმე გავილანი 12.05.1985
14. პედრო ლეონი 24.11.1986
17. დიეგო კასტრო 02.07.1982
21. მიჩელი 09.11.1985
22. ხუან როდრიგესი 01.04.1982
23. ბორხა 14.01.1981
24. პედრო მოსკერა 21.04.1988

**თავდამსხმელები**
9. ალვარო ვასკესი 27.04.1991
11. ადრიან კოლუნგა 17.11.1984
19. მიკუ (ვენ) 19.08.1985
მწვრთნელი: ლუის გარსია პლასა 01.12.1972

ტატო ბაციკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები. გამოხმაურება

# მოთელვა მსოფლიოს ჩემპიონატამდე

## საოცნებო დებიუტი ინგლისის ნაკრებში 31 წლის ასაკში



რიკი ლამბერტს ნაკრებში პირველი გოლის გასატანად წუთ-ნახევარი ეყო

როდესაც ლაპარაკია ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებებზე, პირველი, რაც გულშემატკივარს შეიძლება გაახსენდეს არის ის, რომ ფეხბურთის ისტორიაში პირველი თამაში ეროვნულ გუნდებს შორის სწორედ ამ ორ ქვეყანას შორის შედგა შორეულ 1872 წელს და ნულოვანი ფრით დასრულდა. პრინციპული მეტოქეები 14 აგვისტოს 111-ედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ სტატისტიკა ინგლისელების უპირატესობაზე მეტყველებს - 46 მოგება, 41 ფრე და 24 მარცხი.

**როი ჰოჯსონის** გუნდმა სკოტებთან 14-წლიანი პაუზის შემდეგ ითამაშა და ლოგიკური გამარჯვება მოიპოვა. „სამი ლომის" ძირითადში გამოჩნდა **უეინ რუნი**, ვისაც, **დევიდ მოიესის** მტკიცების მიუხედავად, ტრავმირებულისა არაფერი ეტყობოდა. „იუნაიტედის" თავდამსხმელმა პირველ ტაიმში შეძლო კიდეც გატანა, თუმცა გერმანელმა არბიტრმა **ფელიქს ბრიხმა** ერთ-ერთ ინგლისელზე პასიური თამაშგარე დააფიქსირა და უეინს გარჯა წყალში ჩაუყარა. არადა, ეფექტური მომენტი კი იყო. როგორც ყოველთვის, არადამაჯერებლად გამოიყურებოდა ინგლისის უკანა ხაზი. პირველ გოლზე ერთბაშად ოთხმა ინგლისელმა ვერ შეძლო **ჯეიმს მორისონის** დაბლოკვა, სამაგიეროდ, მათ იმდენი მოახერხეს, რომ **ჯო ჰარტს** ეპიზოდი გამოეპარა და ნახტომი დაუგვიანდა, ბურთი მასვე მოხვდა და გავიდა. შემდეგ კი **გარი კეჰილმა** იკადრა უკადრებელი, კარისკენ ზურგით მდგომ **კენი მილერს** შემოტრიალება და დარტყმა დაანება. ჰარტი ამჯერადაც უმწეო იყო რამე ელონა.

მატჩში გადამწყვეტი დებიუტანტი **რიკი ლამბერტის** გამოსვლა გამოდგა, რომელმაც უეინ რუნი შეცვალა. სწორედ ლამბერტმა გაიტანა შოტლანდიელთა კარში გადამწყვეტი გოლი. 31 წლის ლამბერტმა **ბეინესის** კუთხური თავით გოლად აქცია.

მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე ჰოჯსონმა ბრძანა: *„დაცვაში ჩვენი პრობლემები აშკარაა და ის როგორმე უნდა გადავჭრათ. შოტლანდიელებმა ჩვენი სუსტი წერტილები ნათლად დაგვანახვეს, ასე რომ, მეტოქე ზუსტად აგვირჩევია. ის, რომ ორჯერ მოვახერხეთ ჩამორჩენის აღმოფხვრა, გამარჯვებას კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს. ფეხბურთელები ბევრს და გაუმართლებლად რისკავდნენ, თუმცა ამის წყალობით მეტოქის კართან იმაზე მეტი მომენტი შევქმენით, ვიდრე წინა შეხვედრებში. კონკრეტულ ფეხბურთელებზე კი იმას ვიტყვი, რომ რუნი უკვე საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. ცალკე თემაა ლამბერტი. მოედანზე მისი გასვლის წინ გარი ნევილი მარწმუნებდა, რომ ის აუცილებლად გაიტანდა. ბედნიერი ვარ, რომ მისი წინათგრძნობა გამართლდა. რიკი სხვებისგან შეკრების პირველივე დღიდანვე გამოირჩეოდა ენთუზიაზმით. ისეთ ბავშვს ჰგავდა, რომელსაც ახალი სათამაშო უყიდეს. ჩვენ გვჯერა მისი"*.

### ლიოვი სიმშვიდეს კარგავს

გერმანიამ უკანასკნელ სამ ამხანაგურ შეხვედრაში (ეკვადორი 4:2, აშშ 3:4, პარაგვაი 3:3) ცხრა გოლი გაუშვა. ამის შემდეგ ალბათ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ბუნდესგუნდს კრიზისი აქვს და რომ მომავალ წელს ასეთი ხარისხის ფეხბურთი მას მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ფავორიტის სახელისთვის ეყოფა. წარმატებისთვის **იოახიმ ლიოვმა** და მისმა შეგირდებმა რადიკალურად უნდა გამოასწორონ ვითარება. დარჩა თუ არა საკმარისი დრო ამისთვის ბუნდესმწვრთნელს, მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს. ლიოვზე ამბობენ, რომ ის იოგას მასწავლებელივით მშვიდი და გაწონასწორებულია. პარაგვაისთან შეხვედრის შემდეგ მას, ეტყობა, ნერვებმაც უღალატა. აი, რა თქვა მან: *„ასეთ თამაშში გუნდის შეფასება ძალიან რთულია. პირველ ტაიმში რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დავუშვით, თუმცა მეორეში უკვე არა გვიშავდა. უკანა ხაზის ფეხბურთელების თამაშში ნერვიული ფონი აშკარა იყო, რისი წყალობითაც მეტოქეს ჩვენს საჯარიმოში დიდი სივრცე გამოუთავისუფლდა. შეცდომების გამოსწორების დრო ჯერ კიდევ გვაქვს. შესარჩევ მატჩში ავსტრიასთან ამის უფლებას საკუთარ თავს უკვე ველარ მივცემთ. სექტემბრის დასაწყისში ფეხბურთელები უკეთეს ფორმაშიც იქნებიან"*. კომენტარი გააკეთა კაპიტანმა **ფილიპ ლამმაც**. 30 წლის ფეხბურთელმა უკანა ხაზის კოშმარული თამაში მოსამზადებელ ეტაპზე არასაკმარის დროს დააბრალა, თუმცა იქვე დაამატა, რომ ნერვიულობის საბაბს უბრალოდ ვერ ხედავს.

### კატასტროფა ალპებში

ივნისში ბრაზილიის ნაკრებმა კონფედერაციის თასზე იდეალური ფეხბურთი ითამაშა და დამსახურებულად იმარჯვა ტურნირში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფინალი ესპანეთის წინააღმდეგ (3:0), სადაც პენტაკამპეონებმა მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონებს პირველივე ტაიმში წაართვეს წარმატებაზე ფიქრის უფლება. ორითვის თავზე **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდმა ბაზელში „სენტ იაკობს პარკზე" ითამაშა და დამარცხდა, რადგან აშკარად იღბალმა უღალატა. მასპინძლები ძირითადად შორეული დარტყმების იმედად იყვნენ, თუმცა კი გოლი კონტრშეტევაზე გაიტანეს. უფრო სწორად, **დანი ალვეშს** გაატანინეს. „ბარსას" მარჯვენა მცველმა ბოტაფოგოელ **ჟეფერსონს ბლერიმ ჯემაილის** ჩაწოდების შემდეგ აულებელი თავური დაურტყა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ლუიშ ფელიპე სკოლარიმ თამაშის შედეგს სამართლიანი უწოდა: *„ჩემი ფეხბურთელები დამძიმებული ფეხებით თამაშობდნენ. მათ ჩემპიონატი ჯერ არ დაუწყიათ და ბუნებრივია, რომ კონფედერაციის თასზე ნაჩვენებს დღეს ვერ გავიმეორებდით. შედეგი ლოგიკურია, რადგან შვეიცარიელები უკეთესად იყვნენ ფიზიკურად მომზადებულები. ვინმეს ჩვენს პოტენციალში თუ ეჭვი ეპარება, მისი საქმეა. ამავეს ლაპარაკობდნენ თებერვალში, როცა ინგლისთან წავაგეთ (1:2), თუმცა მერე ჩვენ კონფედერაციის თასი მოვიგეთ"*.

**ლევან ბიბილაშვილი**

# იტალიამ წააგო, მაგრამ ნაპოლიმ მოიგო

## სკუადრა აძურა ამხანაგურებში ისევ ვერ ყოჩაღობს

„მატჩი, რომელიც გუნდებმა რომის პაპს და ღმერთს უნდა მიუძღვნან; მატჩი, რომელიც მთელი გულით უნდა ითამაშონ" - ასეთი განცხადება გააკეთა იტალია-არგენტინის პაექრობის წინ ლეგენდარულმა **დიეგო მარადონამ** და დასძინა, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან შეხვედრაში დიდი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას. სინამდვილეში, ეს იყო ამხანაგური შეხვედრა, რომლის დაწყებამდე გუნდებს რომის პაპმა უმასპინძლა...

### ლიდერების გარეშე

ორივე ნაკრებს მთავარი ვარსკვლავი აკლდა - არგენტინას **ლიონელ მესი**, ხოლო იტალიას **მარიო ბალოტელი**. მიუხედავად ამისა, თამაში სანახაობრივი გამოდგა და „სტადიო ოლიმპიკოს" ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალათ. მატჩი ორმხრივ იერიშებში წარიმართა, იტალია უფრო უტევდა, არგენტინა კი კონტრიერიშებზე ქმნიდა სახიფათო მომენტებს. მომენტების აღწერას აღარ მოვყვებით და პირდაპირ გოლებზე გავამახვილებთ ყურადღებას...

პირველი შედეგიანი დარტყმა **გონსალო იგუაინის** ანგარიშზეა, რომელმაც ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო, ერთი გახედა კარს და უზუსტესად დაარტყა, 0:1. მეორე გოლი არგენტინელებმა ანტრაქტის შემდეგ გაიტანეს, კონტრშეტევაზე დაიჭირეს მეტოქე, მარცხენა ფრთიდან განვითარებული იერიში კი **ევერ ბანეგას** შესანიშნავი დარტყმით დაგვირგვინდა, 0:2. იტალიელებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს, როდესაც **ლორენცო ინსინიემ** მოჭრილი დარტყმით გაგზავნა ბურთი და ბადეში გაახვია, 1:2. დარჩენილი წუთები იტალიელებმა შეტევებში გალიეს, მაგრამ ანგარიშის გაქვითვა ველარ მოახერხეს.

### საუკეთესოები

არგენტინელთაგან გოლების ავტორები უნდა გამოვარჩიოთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტოქის დამწუხრება შეძლეს... გონსალო იგუაინმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და ისე ითამაშა, სტუმრებს ლეო მესის არყოფნა არ დასტყობიათ. გონსალო სიღრმიდანაც იწყებდა იერიშებს და აგვირგვინებდა კიდეც, რამაც იტალიელ მცველებს უამრავი პრობლემა შეუქმნა. რაც შეეხება ბანეგას, თანაბრად ნაყოფიერი იყო როგორც დაცვითი, ისე შეტევითი ფუნქციების შესრულებისას. ბანეგა ვერაფრით გააჩერეს იტალიელებმა და შედეგად, მისგან გოლიც მიიღეს.

რაც შეეხება იტალიის ნაკრებს, ახალგაზრდა ფეხბურთელები: ლორენცო ინსინიე და **მარკო ვერატი** უნდა გამოვყოთ... როგორც „გაძეტა დელო სპორტში" ეწერა: „პატარა პესკარელებმა" არგენტინელებს ყველაზე მეტი პრობლემა შეუქმნეს და დაამტკიცეს, რომ მათი ადგილი ეროვნულ ნაკრებშია. უნდა გამოვარჩიოთ **ფედერიკო მარკეტი**, რომელიც მეორე ტაიმში, 0:2-ზე გამოჩნდა მინდორზე და არაერთხელ გადაარჩინა „აძურა" მესამე გოლის გაშვებას.

### მატჩის შემდგომ

**ჩეზარე პრანდელი** (იტალიის ნაკრების მწვრთნელი): *„ბოლო დროს, ამხანაგურ მატჩებში არ გვიმართლებს, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. არგენტინასთან მატჩმა ბევრი საფიქრალი მოგვცა და სწორი დაკვნები უნდა გამოვიტანოთ. ფეხბურთელთა ნაწილი შორსაა ოპტიმალური ფორმისგან, რაც მეორე ტაიმში აშკარად დაგვეტყო. მთლიანობაში, არგენტინამ ალბათ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, მეტოქე ერთი ნაბიჯით მაღლა იდგა და გაიმარჯვა კიდეც"*.

**ლორენცო ინსინიე**: *„ეროვნულ ნაკრებში პირველი გოლი გავიტანე და როდესაც ბურთი ბადეში გაეხვია, ენით აუწერელი გრძნობა დამეუფლა. ძალიან კარგი თამაში გამოვიდა და საგანგაშო არაა, რომ მარცხი ვიწვნიეთ. იტალიის ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს და ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. თავიდან ცოტა გამიჭირდა, თუმცა შემდეგ გავუშინაურდი გარემოს და უკეთესად ავთამაშდი. მინდოდა მაისური ლიონელ მესისთვის გამეცვალა, მაგრამ სამწუხაროდ, არგენტინელთა ლიდერს შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. შედეგად, მაისური ახლო მეგობარსა და თანაგუნდელს, ფედერიკო ფერნანდესს გავუცვალე"*.



გონსალო იგუაინმა იტალიას შესანიშნავი გოლი გაუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოტმარ ჰიტცფელდმა ლუიშ ფელიპე სკოლარის დუელი მოუგო

## გაიმარჯვა... ნაპოლიმ

იტალია-არგენტინის შეხვედრაში „ნაპოლის" ფეხბურთელებმა შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს. არგენტინელთა დაცვაში საიმედოდ იდგა **ფედერიკო ფერნანდესი**, იტალიელთა რიგებში კი ერთ-ერთი გამორჩეული **კრისტიან მაჯო** იყო... აღარაფერს ვამბობთ გოლების ავტორებზე, გონსალო იგუაინსა და ლორენცო ინსინიეზე - ამ ყველაფერმა „ნაპოლის" პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** აალაპარაკა:

*„სამწუხაროდ, იტალიის ნაკრებმა წააგო, მაგრამ სამაგიეროდ, გაიმარჯვა „ნაპოლიმ". ჩვენმა ფეხბურთელებმა თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეს, რამაც ძალიან გამახარა. გონსალო იგუაინმა საჩემპიონო შეხვედრა ჩაატარა და ჩემში აღფრთოვანება გამოიწვია. რაც შეეხება ლორენცო ინსინიეს, ნამდვილი ფენომენია, რომელიც წლიდან წლამდე უმატებს. კარგად წარმოჩნდნენ ფერნანდესი და მაჯო, რომლებზეც ასევე დიდ იმედებს ვამყარებთ".*

**ლაშა წიკლაური**

## ნეგრედოს ქუსლურით

**ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდი ეკვადორს ესტუმრა და იქაურ ნაკრებს 2:0 მოუგო. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს, ორივე ინგლისში მოასპარეზე ლეგიონერმა გაიტანა - 24-ე წუთზე „მანჩესტერ სიტის" ახალწვეულმა **ალვარო ნეგრედომ** ეფექტურად, ქუსლით გაიტანა, ხოლო 62-ე წუთზე „არსენალის" ლიდერმა **სანტი კასორლამ** ანგარიშს წერტილი დაუსვა.

მე-11 წუთზე შეხვედრა დროებით შეწყდა - მაყურებელმა და ფეხბურთელებმა პატივი მიაგეს ახლახან გარდაცვლილი ეკვადოროს ნაკრების ფორვარდის, **კრისტიან ბენიტესის** ხსოვნას, რომელიც მე-11 ნომრით თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში ბენიტესი 27 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

გუაიაკილში განსაკუთრებით ლამაზი პირველი გოლი გამოდგა, მეორეში კი კასორლას შესანიშნავი პასი ბარსელონელმა **კრისტიან ტელიომ** მიაწოდა.

აღსანიშნავია, კრისტიანის კარგი თამაში - დებიუტანტი ისე შეერწყა მსოფლიოს ჩემპიონებს, თითქოს, სულ მათ გვერდში თამაშობდა. ნაკრებში დებიუტი ჰქონდათ მცველ **ინიგო მარტინესსა** და ნახევარმცველ **კოკესაც**. მადრიდის „რეალის" ახალწვეული **ისკო** კი სათადარიგო იყო.

**ალვარო ნეგრედო** (ესპანეთი): *„დავინახე, ბურთი ისეთი ტრაექტორიით მოფრინავდა, რომ ყველაზე ოპტიმალური ასეთი დარტყმა იქნებოდა, გადაწყვეტილება სპონტანურად არ მიმიღია, უკვე ველოდი, რომ ქუსლით დამერტყა მეტოქის კარში. იმედი მაქვს, ესპანეთის ნაკრებში ადგილს შევინარჩუნებ, ახლა ყველაფერი ჩემს ხელშია".*

**კრისტიან ტელიო** (ესპანეთი): *„თამაშის შემდეგ მეტოქეებს მიასურა არ გავუცვალე, რისთვისაც ბოდიში მოვიხადე - ეს მაისურა სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან დარჩება, როგორც სუვენირი".*

**ვისენტე დელ ბოსკე** (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): *„ალვარო ნეგრედო ძალიან კარგი ფეხბურთელია, გოლის ალღოთი. ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია. ჩვენ ბევრს ველით ნეგრედოსგან მომავალში".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ესპანეთის ნაკრები ალვარო ნეგრედოს ფანტასტიკურ გოლს აღნიშნავს

ტრანსფერი

# ტოტენჰემის ფრანგული შენაძენი

გუშინ ინგლისურმა მასმედიამ საფრანგეთის ნაკრებისა და „ტულუზის" 25 წლის საყრდენი ნახევარმცველის **ეტიენ კაპუს** „ტოტენჰემში" ტრანსფერის შესახებ გაავრცელა ცნობა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ჩრდილოლონდონელებს ტრანსფერი 8.6 მილიონი ფუნტი (10 მლნ ევრო) დაუჯდათ. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ ეტიენმა „დეზებთან" 2017 წლის ზაფხულამდე გათვლილ კონტრაქტზე მოაწერა ხელი. შეგახსენებთ, რომ **ანდრე ვილაშ ბოაშმა** ამ დღეებში „ჰალ სიტიში" ორი ცენტრალური ნახევარმცველი **ტომას ჰადლსტოუნი** და **ჯეიკ ლივერმორი** გაუშვა. კაპუს მათი შეცვლა დაევალება. ლაპარაკია „უაით ჰართ ლეინიდან" 32 წლის **სკოტ პარკერის** გაშვებაზეც. პორტუგალიელს შეუძლია საკუთარ თავს ამის უფლებაც მისცეს, რადგან მას განკარგულებაში კაპუს გარდა **მუსა დემბელე** და **პაულინიოც** ჰყავს. *„ხვალ (ესე იგი, დღეისთვის. რედ) უკვე ახალ თანაგუნდელებთან ერთად ვივარჯიშებ. „ტოტენჰემი" ის კლუბია, რომელმაც ყველაზე მომხიბლავი წინადადება შემომთავაზა კარიერის გასაგრძელებლად,"* – განაცხადა ფეხბურთელმა.



ეტიენ კაპუმ „ტოტენჰემთან" 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი

გეტყვით იმასაც, რომ ამა წლის იანვარში კაპუმ კინაღამ „ზენიტთან" კონტრაქტზე მოაწერა ხელი, მთელი ივლისის განმავლობაში კი ყველაზე მეტს „კარდიფ სიტიზე" წერდნენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ტოტენჰემი

# უკვე ოფიციალურად: ბეილი პრემიერლიგის I ტურში არ ითამაშებს!

## ჯერ არაოფიციალურად: ტოტენჰემი მის რეალში გადასვლას დათანხმდა!

გუშინ ლონდონური „ტოტენჰემის" პორტუგალიელმა თავკაცმა **ანდრე ვილაშ ბოაშმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ ინგლისური პრემიერლიგის პირველ ტურში მის გუნდს 23 წლის უელსელი ვარსკვლავი **გარეთ ბეილი** დააკლდება.

„ტოტენჰემი" „კრისტალ პალასს" ეთამაშება. ბეილის უთამაშებლობის ოფიციალური მიზეზი „მცირე ტრავმაა", რომელიც დაახლოებით ისეთია, როგორიც **უეინ რუნის** „ტრავმა" „მანჩესტერ იუნაიტედში".

*„მან თითქმის მთელი წინასასეზონო შეკრება გამოტოვა, ამიტომაც ვერც „კრისტალ პალასთან" ითამაშებს. მან კუნთი დაიჭიმა და ფეხში ტკივილს უჩიოდა - ლოგიკურია, რომ ის პირველ ტურს გამოტოვებს"*, - განაცხადა ვილაშ ბოაშმა.

შეგახსენებთ, რომ „კრისტალ პალასის" შემდეგ „ტოტენჰემი" თბილისს ეწვევა და 22 აგვისტოს „დინამოს" ეთამაშება.



გარეთ ბეილი ჯერ არ თამაშობს

### 110 მილიონი, პლუს კოენტრაო

ამასობაში ესპანური პრესა იუწყება, რომ ინგლისური კლუბი მზადაა „რეალში" გაუშვას ბეილი, თუკი მის სანაცვლოდ 110 მილიონ ევროს და **ფაბიო კოენტრაოს** მიიღებს. შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემს" უფრო ალვარო მორატას დამატება სურდა, მაგრამ მადრიდელები ტოპ-ტალანტს ვერ შეელივნენ. კოენტრაოს კი თავად სურს მადრიდიდან აბარგება, რის შესახებაც **კარლო ანჩელოტიმ** თავად განაცხადა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლივერპული

# ბრენდან როჯერსი: დაივიწყეთ 6 კვირით ლუის სუარესი!

„ლივერპულის" მთავარ მწვრთნელ **ბრენდან როჯერსს** უკვე მოსწყინდა 26 წლის **ლუის სუარესის** შესახებ კომენტარების გაკეთება და განაცხადა, რომ მისგან ამ თემაზე ჟურნალისტები ვეღარაფერს გაიგებენ... უახლოესი 6 კვირის განმავლობაში.

შეგახსენებთ, რომ სუარესი, მნიშვნელობა არა აქვს დატოვებს თუ არა „ლივერპულს", პრემიერლიგის 6 ტურს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს, რომელიც მან „ჩელსის" მცველ **ბრანისლავ ივანოვიჩის** კბენისთვის მიიღო.



ლუის სუარესმა ნაკრებში ყოფნისას „ლივერპულში" დარჩენა გამოაცხადა, ინგლისში კი გადათქვა

*„მეტჯერ აღარ ვილაპარაკებ სუარესის მომავლის შესახებ, მით უფრო, რომ უახლოესი 6 კვირა მისი გამოყენება ჩვენ მაინც არ შეგვიძლია. ახლა მთელი ყურადღებით იმ ბიჭებზე ვარ გადართული, რომელთაც შეიძლება ამ უქმეებზე დავეყრდნო"*, - განაცხადა ბრენდან როჯერსმა.

ლუის სუარესმა ეროვნულ ნაკრებში შეკრებაზე ყოფნისას განაცხადა (ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებდნენ ურუგვაელი ჟურნალისტები), რომ „ლივერპულში" დარჩენა გადაწყვიტა, თუმცა მეორე დღეს მან კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია. მოდი და გაიგე...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ლუის გუსტავო არსენალის ნაცვლად ვოლფსბურგში გადადის

„ვოლფსბურგმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ მიუნხენის „ბაიერნთან" 26 წლის ბრაზილიელი **ლუის გუსტავოს** ტრანსფერზე მართავს მოლაპარაკებას.

ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც **ხოსეპ გვარდიოლას** არაფერში სჭირდება, ძალიან ახლოსაა „მგლებში" გადასვლასთან.

შეგახსენებთ, რომ ლუის გუსტავოს ყიდვა ძალიან სურდა **არსენ ვენგერს**, კლუბი 18 მილიონ ევროსაც იხდიდა, თუმცა ისევე როგორც სხვა სავარაუდო ტრანსფერი, „არსენალს" არც ეს გამოუვიდა.

შეგახსენებთ, რომ ახლახან ლუის გუსტავო ნაკრებში იყო გამოძახებული შვეიცარიის ნაკრებთან მატჩისთვის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლუის გუსტავო ეროვნულ ნაკრებში

მემკვიდრეები. ინტერვიუ ლაშა ფხაკაძესთან

# ოლიმპიადაზე მეოცნებე ჩუბინი

**მშვილდოსნობაში** ერთადერთი ევროპელი ოლიმპიური ჩემპიონი ქალის - ქეთევან ლოსაბერიძის სამშობლოში რატომღაც განებივრებულნი არ ვყოფილვართ მშვილდოსანი მამაკაცებით, თუმცა, შესაძლოა, ეს ხარვეზი გამოსწორდეს. ყოველ შემთხვევაში, ლაშა ფხაკაძე ნამდვილად იძლევა ამის იმედს. მას უკვე შეეძლო ისტორიაში შესვლა, როცა შარშან, ყველასათვის უცნობს სულ ცოტა დააკლდა ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებამდე. ფხაკაძეს ხასიათიც ხელს უწყობს - მებრძოლია, თამამი, არ იცის მეტოქის რიდი, ხოლო საკუთარი თავის გაბრაზება, ანუ განწყობა მისი სტრატეგიული ჩვევაა. მან სულ რალაც 3-4 წელიწადში მოასწრო ჩვენი ნაკრების ლიდერად ჩამოყალიბება. არადა, ჯერ მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ რამდენჯერმე გააუმჯობესა ქვეყნის რეკორდი. ჯერჯერობით მისი პირადი მიღწევა 1304 ქულაა, რაც არაა ურიგო მაჩვენებელი. რაც მთავარია, ამ ნიშნულიდან უკვე შეიძლება ფიქრი ისეთ ნახტომზე, კვარცხლბეკამდე რომ აიყვანს. მისი მიზანიც ესაა - მოხვედრა ოლიმპიადაზე და იქ წარმატების მოპოვება.

**დოსიე:** დაიბადა 1994 წლის 24 მაისს თბილისში. საქართველოს თასის მფლობელი (2010, 2011 წწ.), საქართველოს ჩემპიონი უფროსებში (2012) და ახალგაზრდებში (2013). ქვეყნის რამდენიმეგზის რეკორდსმენი.

**- როდის და როგორ დაიწყო მშვილდოსნობასთან თქვენი ურთიერთობა?**

- 2009 წლის იანვარში სკოლაში მოვიდა ჩემი პირადი მწვრთნელი გია მაკიევი, რომელიც მშვილდოსნობის კლუბს ხსნიდა და მსურველებს ეძებდა. თავიდან სკოლაშივე ვისროდით - თემქაზე, 138-ე საჯარო სკოლის 3-მეტრიან დარბაზში, რადგან მეტის საშუალება არ იყო. მანამდე მამაჩემმა ტყვიის სროლაში მეცადინეობა თვითონვე შემომთავაზა - ის ყოფილი ძალოვანია, ერთხელ გამომცადა სროლაში და შედეგებიც მოეწონა, მაგრამ მერე მითხრა, რომ სროლაზე ფიზიკურად იმდენად ვერ დავიტვირთებოდი. მშვილდოსნობაზე მისვლა მშობლებთან არც შემითანხმებია, პირველი ვარჯიში ისე ჩავატარე. მომეწონა და მხოლოდ ამის შემდეგ ვთქვი სახლში. იმათაც, თუ მოგწონს, კი ბატონო - იარეო. მით უფრო, გადასახადი არ იყო.

ერთი თვე ისე ვივარჯიშე, მხოლოდ პირადი სიამოვნებისთვის ვისროდი, თორემ შეჯიბრებებზე არც ვფიქრობდი. არადა, მწვრთნელი თურმე ტურნირისთვის მამზადებდა. როცა მითხრა, შეჯიბრებაზე უნდა გაგიყვანოო, ძალიან გამიკვირდა. ეს იყო ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული ქვეყნის ახალგაზრდული პირველობა, მე კი 15 წლისა ვიყავი. მართალია, იქ არც ისე კარგად გამოვედი, მაგრამ ყველა აღნიშნავდა, რომ დებიუტისთვის არ იყო ცუდი. მას შემდეგ მშვილდი არც გამიგდია ხელიდან, ერთ წელიწადში კი უცხოეთშიც ვიასპარეზე - 2010 წელს გერმანიაში, ევროპის პირველობაზე ახალგაზრდებში. კარგად არც იქ გამოვსულვარ, რაც, ალბათ, სადებიუტო ფაქტორის ბრალია. ეტყობა, ემოციური დატვირთვა დიდი იყო, თორემ შიდა ტურნირებზე იმაზე უკეთეს შედეგებს ვაღწევდი.

**- სპორტის სხვა სახეობები თუ გაინტერესებდათ?**

- სპორტული გადაცემების, ოლიმპიადების თუ სხვა დიდი ტურნირების ცქერა ყოველთვის მიყვარდა და მუდამ ვოცნებობდი მედალზე, კვარცხლბეკზე, წარმატებაზე, ჰიმნზე. ძალიან მომწონდა ორთაბრძოლების სახეობები, მაგრამ 8 წლისა ავარიაში მოვყევი, ფეხზე ახლაც მაქვს მაშინდელი ტრავმა. მშვილდოსნობა ყველანაირად აკმაყოფილებდა ჩემს მოთხოვნებს და ამიტომ დავრჩი, თუმცა სპორტის ბევრი სახეობა მიზიდავდა. ერთი წამითაც არ მინანია არჩევანი. მშვილდოსნობა ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა და მისთვის ბევრი რამეც გადავდე გვერდით. მათ შორის - სწავლაც.

**- სწავლაც? პირიქით მეგონა, რადგან ქართულის გარდა, ინგლისურადაც თავისუფლად, გამართულად საუბრობთ. პირადად ვიცი, რომ ნაკრებში კორეელი მწვრთნელის თარჯიმანიც იყავით.**

- უცხო ენების შესწავლა ყოველთვის მიზიდავდა. ინგლისურში კარგა ხანს ვემზადებოდი - 6 წელიწადი, თუმცა ბოლოს მასწავლებელმა სპორტის გამო, პირდაპირ ვიტყვი - გამომაგდო, რადგან ძალიან ხშირად მიწევდა გაცდენა ტურნირებისა თუ შეკრებების გამო და ძალიან ჩამოვრჩი პროგრამას. ინგლისურს ცუდად არ ვფლობ და კორეელს მართლაც ვეხმარებოდი გუნდთან ურთიერთობაში. ახლაც უცხოეთში სულ მე ვასრულებ თარჯიმნის როლს. ამერიკაში ერთხელ სასტუმროში ადმინისტრატორმა მითხრა, თავიდან ამერიკელი მეგონე, სანამ შენიანებს თქვენს ენაზე არ დაელაპარაკეო.

სხვა ენებიდან რუსულს ვსწავლობ, ოღონდ ეს თავისთავად ხდება, ტურნირებზე კონტაქტების შედეგად, თორემ საგანგებოდ არ ვემზადებოდი. ამის მიუხედავად, რუსულენოვან სპორტსმენებთან ურთიერთობა არ მიჭირს. ენებს იოლად ვითვისებ, თუმცა ტექნიკური საგნები მეძნელებოდა. სამომავლოდ ვგეგმავ, კიდევ შევისწავლო რომელიმე ენა - ფრანგული, იტალიური, ესპანური ან სხვა. სკოლა დავამთავრე, მაგრამ ჯერჯერობით სწავლა არ გამიგრძელებია - სპორტიც ხელს მიშლის და ფინანსურადაც ბევრია საჭირო. არადა, ძმაც სტუდენტია, გადასახადი მასაც სჭირდება და ოჯახს ამდენის საშუალება არ აქვს. ამბობენ, რომ გაისად სპორტის აკადემია იხსნება და იქ მინდა ჩავაბარო. ვფიქრობ, მსაჯობას დავეუფლო, როგორც პროფესიას. სამომავლოდ მწვრთნელობასაც ვაპირებ, ბარემ ბოლომდე ამ სპორტში დავრჩები.

**- ალბათ, ყველაზე დასამახსოვრებელი ტურნირი შარშანდელი სალიცენზიო შეჯიბრება იქნება, სადაც სრულიად უცნობ მშვილდოსანს ძალიან ცოტა დაგაკლდათ ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებამდე?**

- ის შეჯიბრება ძალიან მტკივნეულად დამამახსოვრდა, რადგან ლიცენზია ხელში მეჭირა და ისევ გამოუცდელობამ დამაკარგვინა. ოღონდ ნერვიულობა არაფერ შუაშია, იქ უფრო ქართან მუშაობის გამოუცდელობა იყო. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. იმ დღეს ამერიკულ ოგდენში ძალიან ცვალებადი ქარი იყო - ერთი გასროლისას მარჯვნიდან მარცხნივ თუ ქროდა, შეიძლება, მეორეზე საპირისპირო მიმართულებით ყოფილიყო. მსგავსი რამ მანამდე არასოდეს მენახა. შეჯიბრების წინ კორეელმა მწვრთნელმა თათბირზე მე მთხოვა ამინდის პროგნოზის გადამოწმება. შედეგი დიდად არ მოეწონა და გაგვაფრთხილა, ძლიერი ქარი გველოდება და მზად იყავითო. ქარიან ამინდში სროლის მეტი გამოცდილება რომ მქონოდა, ვფიქრობ, თავისუფლად შეიძლებოდა, შვეიცარიელი აქსელ მიულერიც გამომეგდო. ვფიქრობ, მაშინ მაქსიმუმი გავაკეთე - იმ წუთებში მეტისთვის არ ვიყავი მზად. მოგვიანებით მომივიდა ხმები, რომ ჰოლანდიის, იტალიის გუნდების კორეელ მწვრთნელებს, რუს ევსეევს ალუნიშნავთ ჩემი ბრძოლისუნარიანობა. ახლახან გავიგე, ევსეევს ისიც კი უთქვამს, მასში მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს ვხედავო.


ლაშა ფხაკაძე

**- კორეელი მწვრთნელი თუ გია მაკიევი - ვინ იქონია უფრო დიდი გავლენა თქვენს ალმასვლაზე?**

- როცა კორეელი ჩამოიყვანეს - 2010 წელს, მაშინ ერთ-ერთ ტურნირზე თანხის ეკონომიის მიზნით არ წამიყვანეს, მაგრამ ვივარჯიშე და იმავე წლის ბოლოს საქართველოს პირველობაზე უფროსებში 16 წლისამ ყველას მოვუგე. მათ შორის - კორეელის ნავარჯიშებ ხალხსაც. კორეელიც მას შემდეგ დაინტერესდა ჩემით და შეკრებაზეც წამიყვანა, თუმცა მას ტექნიკურად ზუსტად იგივე შენიშვნები ჰქონდა, რაც - მაკიევს. უბრალოდ, მასთან მეტი ყურადღება იყო - ისრებს თითქმის ყველა შეჯიბრებაზე ვიცვლიდით, შეკრებებზე დავდიოდით. მათ შორის - ესპანეთსა და ამერიკაშიც კი წავედით. ვფიქრობ, ასეთი რეჟიმი ოდნავ ხეირიან ნებისმიერ სპორტსმენს წაადგება. ტექნიკურად უფრო მაკიევმა მომამზადა. მართალია, 2012 წელს სულ სხვანაირად დამაწყებინა გამოსვლა, მაგრამ საფუძვლები, რაზეც სროლაა დამოკიდებული, უცვლელი დატოვა. ხარვეზები ნამდვილად მქონდა, კორეელსაც დიდი წვლილი მიუძღვის, მაგრამ საფუძველი მაკიევმა ჩაყარა. ამას კორეელსაც ვეუბნებოდი და წინააღმდეგი არც ის ყოფილა. უბრალოდ, მან წარმატების გზა გვიჩვენა - საამისოდ საჭიროა შრომა და პირობები. კარგი იქნებოდა, ახლაც მეტი შეკრებები გვქონდეს, თუმცა ვერც ფედერაციას გავამტყუნებ, როცა აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს. კარგი იქნება, ფედერაციას თუ გაუზრდიან დაფინანსებას.

**- ბოლო ტურნირებში არასტაბილური გამოსვლა რისი ბრალია?**

- ამას ტექნიკურ მხარეს ვაბრალებ - ისრების ახალი კომპლექტი მქონდა და მორგება ვერ მოვასწარი. შესაბამისად, თავდაჯერებაც მაკლდა. შეჯიბრება საუკეთესო ვარჯიშია და პლეი ოფში თავს ძალას ვატანდი, რომ კარგად მესროლა. მგონი, გამომივიდა კიდეც - რუმინეთში უნგრელ არპაბ ბანდას მოვუგე, ვინც სლოვენიაში ევროპის ახალგაზრდულ თასზე ჩემპიონი გახდა, მერე კი რუსი გალსან ბაზარზაპოვიც გავაგდე, ვინც საკვალიფიკაციოში მეორე იყო. ორივე შეხვედრაში კარგად ვიბრძოლეთ - უნგრელს დამატებით სროლაში მოვუგე, რუსმა კი 1-2 გასროლა მაჩუქა ანუ დაბალი შედეგი აჩვენა, მაგრამ საჩუქარსაც გამოყენება უნდა.

**- თქვენი ყველა მიღწევა საქართველოს ახალი რეკორდია. ამაზე როგორ რეაგირებთ - დიდ ყურადღებას აქცევთ?**

- კარგი შედეგის მიღწევის სურვილი ყოველთვის მამოძრავებს, თუმცა, ვფიქრობ, წაგება უფრო კარგი გაკვეთილია. შეიძლება, წარმატებამ გარკვეული ხარვეზები გადაფაროს, არ მივაქციო მათ ყურადღება, მაგრამ წაგების ნებისმიერ შემთხვევაში ვაანალიზებ ჩემს გამოსვლას. ტურნირებზეც ყოველთვის ვეკითხები ცნობილ სპორტსმენებს - არ მერიდება, მივიდე თუნდაც ოლიმპიურ ან მსოფლიოს ჩემპიონთან და ვკითხო აზრი. იქნებ თავს ვაბეზრებ, მაგრამ მაინტერესებს ყველას აზრი და არასოდეს არავის უთქვამს, რომ სტაბილურად კარგად ისვრის. მშვილდოსნობაში ალმასვლას შეიძლება, მალევე მოჰყვეს დალმასვლა და პირიქითო. აქ სტაბილურობის შენარჩუნება ძნელია და ამიტომ მგონია, რომ ჩავარდნა არაა კატასტროფა, რადგან ვიცი - ამას ალმასვლა მოჰყვება.

საქართველოს რეკორდი პირველად რომ დავამყარე, 17 წლისა ვიყავი და ძალიან გამიხარდა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მივეჩვიე შედეგის ზრდას - ვიცი, რომ მაღალ მაჩვენებელზე უნდა ვიყო ორიენტირებული და ჩავარდნა არ უნდა მეპატიოს. არც ვპატიობ ჩემს თავს, მაგრამ ჩვეულებრივი ამბავია. ახლანდელ შედეგზე გაჩერებას არ ვაპირებ და მინდა, დავეწიო ლიდერებს. არ მიმაჩნია, რომ ეს შეუძლებელია - მთავარია, მონდომება და... ცოტა ხელშეწყობა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# მეფარიძე ნახევარფინალშია


შოთა მეფარიძე

**ერევანში** დასასრულს უახლოვდება "პრეზიდენტის თასის" გათამაშება ჩოგბურთში. შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მათგან მეოთხედფინალს მხოლოდ ორმა უწია. ისევ შეუპოვრად მიიწევს წინ ერევნის წინა ტურნირის გამარჯვებული **შოთა მეფარიძე** - სახელოვანი ქართველი ჩოგბურთელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის-**გურამ თოხაძის** შვილიშვილი. ტურნირის რეიტინგფავორიტმა გუშინ მეოთხედფინალში მე-10 ნომრად განთესილი მიხეილ ვოვკანეტი (რუსეთი) ჩამოიშორა გზიდან - ორ სეტში ერთნაირი ანგარიშით 6:2, 6:2 აჯობა.

მოსალოდნელი იყო, რომ ერევნის კორტებზე ქართული ნახევარფინალი ეხილათ, მით უმეტეს, რომ **გიორგი დათაშვილმა** მასპინძელ სურენ ბალდასარიანთან პირველ ხელში 3:6 მარცხის შემდეგ მეორე სეტი მშრალი ანგარიშით მოიგო - 6:0, თუმცა მესამეში 2:6 დანებდა მეტოქეს და მაყურებლებში გადაინაცვლა. მე-2 ნახევარფინალურ წყვილში მე-4 ნომრად განთესილი იანკელ ზემელი (ისრაელი) და ბოლათ მამირი (ყაზახეთი) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მათ გუშინ, შესაბამისად, რუსები - რომან ბლოხინი (0:6, 6:4, 6:4) და ტურნირის მე-2 ნომერი იაროსლავ პროსტაკოვი (6:3, 6:3) დაამარცხეს. გოგონები ნახევარფინალში ასე დაწყვილდნენ: კარინე მარქაროვა-სოფია ესტერმანი, ანა მახორკინა-პოლინა პახომოვა (ოთხივე - რუსეთი).

**ვაჟა დანელია**

თარიღები და მოვლენები

## 16-18 აგვისტო

**16. 08. 1926.** დაიბადა **ევგენი გაგუა** - მძლეოსნობა, მწვრთნელი. გარდაიცვალა **2000 წელს**

**16. 08. 1928.** დაიბადა **ლევან სანაძე** - მძლეოსნობა. გარდაიცვალა 1998 წელს

**16. 08. 1950.** დაიბადა **გია აბესაძე** - ხელბურთი

**16. 08. 1969.** დაიბადა **აკაკი ჩაჩუა** - ბ\რ ჭიდაობა

**16. 08. 1975.** დაიბადა **ემზარ ბედინეიშვილი** - თ\ჭიდაობა

**17. 08. 1939.** დაიბადა **რამაზ ურუშაძე** – ფეხბურთი, მეკარე. გარდაიცვალა 2012 წელს

**17. 08. 08. 2010.** სინგაპურის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე **ირაკლი მოსიძემ** (თ\ჭ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

**17-22. 08. 2012.** ბ\რ და თ\ ჭიდაობა. პოლონეთში კადეტთა ევროპის ჩემპიონატში "კლასიკოსებში" ჩემპიონი გახდნენ **რამაზ ზოიძე** და **ირაკლი შავაძე.** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **ნიკა გავაშელმა.** თავისუფლებში „ბრინჯაო" ხვდათ წილად **ომარ გურჯიძეს, ტარზან მაისურაძეს და ბექა კახეთელიძეს.**

**18. 08. 1939-2008.** დაიბადა **ვლადიმერ უგრეხელიძე** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2008 წელს

**18. 08. 1966.** დაიბადა ვლადიმერ **გოგოლაძე** - ტანვარჯიში

**18. 08. 2012.** ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა შინ რუმინეთს მოუგო - 80:64.

● კალათბურთი. მზადება ევრობასკეტისთვის

# ფავორიტებში

## დღეს სერბეთთან, ხვალ საფრანგეთთან

საქართველოს ნაკრები სლოვენიიდან საფრანგეთში გადავიდა და ანტიბში გასამართი ტურნირისთვის ემზადება. შეჯიბრებაში საქართველოს გარდა საფრანგეთი და სერბეთი მონაწილეობენ.

პირველი ტური გუშინ გაიმართა, მასპინძლებმა სერბების წინაალმდეგ ითამაშეს. ქართველებმა დაისვენეს. დღეს, 22:30 საათზე (თბილისის დროით) ჩვენი გუნდი ბალკანელებს დაუპირისპირდება, ხოლო ხვალ, 17 აგვისტოს, ამავე დროს ფრანგებს ვეთამაშებით.

საქართველოს ნაკრებში მცირე ტრავმები ჰქონდათ **მანუჩარ მარკოიშვილსა და რიკი ჰიკმანს**. კაპიტანმა მანუმ ბოსნიასთან 14 აგვისტოს შეხედრა გამოტოვა, ხოლო ჰიკმანს ფეხი ამავე მატჩში გადაუბრუნდა და როგორც საფრანგეთიდან იტყობინებიან, უშუალოდ სერბეთთან მატჩის წინ გადაწყდება, ითამაშებს თუ არა ჰიკმანი. ასევე დღეს გაირკვევა მარკოიშვილის მოედანზე გასვლის საკითხიც.

სერბეთის ნაკრებს არაერთი ვარსკვლავი აკლია: **ვლადიმირ მიცოვი, მილან მაჩვანი, დუშკო სავანოვიჩი, ალექსანდრ რაშიჩი...** ტრავმას მკურნალობს **მილოშ ტეოდოშიჩი** და მწვრთნელ **დუშან ივკოვიჩს** ჯერაც არ დაუკარგავს მილოშის ევრობასკეტზე დახმარების იმედი (საქართველოსთან არ იქნება). სერიოზული დანაკლისის მიუხედავად, სერბეთი მაინც კარგი გუნდია. საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე გვარი: **ნენად კრსტიჩი, ნემანია ბიელიცა, ნემანია ნედოვიჩი...** როგორც ფრანგები იუწყებიან, ტურნირის ყველა მატჩს გადასცემს Sport+. ქართულ არხებზე ჩვენს თამაშებს ვერ ვიხილავთ და მხოლოდ ინტერნეტის იმედად უნდა ვიყოთ.






თუ საქართველო სერბეთს აქამდე არასოდეს შეხვედრია, საფრანგეთთან ამხანაგურად ნათამაშები გვაქვს: 2008 წელს ლატვიის საერთაშორისო ტურნირზე 69:90 დავმარცხდით. ფრანგებს დღესაც ძლიერი გუნდი ჰყავთ, **ტონი პარკერის** წინამძღოლობით ევროპის ჩემპიონატის მოგებას აპირებენ. ასეთ გუნდთან პაექრობით ჩვენი გუნდი დიდ გამოცდილებას მიიღებს.

დაველოდოთ 22:30-ს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● კალათბურთი. 16-წლამდელთა ნაკრები

# დავრჩით B-ში

**საქართველო–დანია 62:74**

19:21, 11:18, 13:20, 19:15

**საქართველო:** ალიევი, კერესელიძე, ქვარაია, გოგალაძე (7ქ, 3პ, 3ჩ), ცქიფურიშვილი (6ქ), აფხაზავა (1ქ, 3პ), ლომიძე (7ქ), თვალაბეიშვილი (2ქ), ცირეკიძე (18ქ, 3ჩ), გოგობერიშვილი (4პ), ისიანი (15ქ, 12მ), გიორგაძე (6ქ).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე ჯგუფურ ტურში საქართველოს კადეტთა ნაკრები დანიასთან მატჩის წინ ნახევარფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებდა. თუ მეტოქეს 16 ქულის სხვაობით დავამარცხებდით, დანიას, ჩვენ და ჩეხეთს თითო მოგება მოგვიგროვდებოდა და მომდევნო ეტაპზე ბურთების უკეთესი შეფარდებით გავიდოდით.

...მაგრამ კარგად დაწყებული საქმე ქართველმა კადეტებმა ბოლომდე ვერ მიიყვანეს და 62:74 დამარცხდნენ. პირველ ტაიმში **გიორგი ცირეკიძე** შეუჩერებელი იყო (18-დან 17 ქულა საწყის 20 წუთში მოაგროვა), ორმაგი დუბლი შეასრულა **ვილი ისიანმა** - 15 ქულა, 12 მოხსნა.

მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ბრძოლაში საქართველოს პირველი მეტოქე ინგლისი იქნება.



**ვაჟა სიმონიშვილი**

● წყალბურთი

# მალტაში ჩერნოგორიის გავლით



1996-1997 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს წლეულს 8 სექტემბრიდან მალტა უმასპინძლებს. შეჯიბრებაში კონტინენტის 16 გუნდი იბრძოლებს მედლებისთვის. მათ შორის იქნება საქართველოს ნაკრები სერბი სპეციალისტის **იოვან პოპოვიჩის** ხელმძღვანელობით. ჩვენმა ბიჭებმა გადამწყვეტ ტურნირში მონაწილეობის უფლება შესარჩევ ეტაპზე მიღწეული წარმატებით მოიპოვეს. ამ ასპარეზობას წლეულს გაზაფხულზე თბილისმა უმასპინძლა. პოპოვიჩის შეგირდებმა სლოვაკეთს, ჰოლანდიას და მოლდოვას მოუგეს, ხოლო გერმანელებს დაუზავდნენ და 10 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. ფინალური ეტაპის წილისყრის შემდეგ ჩვენები D ჯგუფში მოხვდნენ და უნგრეთს, იტალიას და გერმანიას გაუწევენ მეტოქეობას.

ევროპის ჩემპიონატის სხვა ჯგუფებში გუნდები ასე განაწილდნენ:

**A ჯგუფი.** ხორვატია, სერბეთი, რუსეთი, ბელარუსი.

**B ჯგუფი.** ესპანეთი, მალტა, საფრანგეთი, თურქეთი.

**C ჯგუფი.** საბერძნეთი, რუმინეთი, ჩერნოგორია, უკრაინა.

ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ გადიან მეოთხედფინალში, ხოლო მეორე-მესამეადგილოსნები მომდევნო ოთხი საგზურის ვინაობას გაარკვევენ. საქართველოს წყალბურთელებს სხვადასხვა დროს პირველობის მონაწილე ბევრ გუნდთან უთამაშიათ, ამიტომ იოვან პოპოვიჩს მალტაზე წარმატების იმედი აქვს. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადების მიზნით, ჩვენი ბიჭები ამჟამად თბილისში ვარჯიშობენ, 28 აგვისტოდან ჩერნოგორიაში გამართავენ საწვრთნელ შეკრებას და ტესტმატჩებს, იქიდან კი მალტას მიაშურებენ.

■ ■ ■

წლეულს საქართველოს პირველობის დამთავრების შემდეგ **ირაკლი კიკალიშვილის** ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა 18-წლამდელთა ნაკრები, რომელიც თურქეთის წყალბურთის ფედერაციამ საკუთარი სახსრებით სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე მიიწვია. იქ კი მთავარი პრიზისთვის მასპინძლებისა და ქართველების გარდა, სერბები და რუსებიც იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# ბაადურ ჯობავამ წონასწორობა აღადგინა

ტრომსოში მოჭადრაკეთა მსოფლიოს თასის გათამაშებაზე გუშინ მე-2 რაუნდის განმეორებითი შეხვედრები გაიმართა. ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** უკრაინელ ანტონ კორობოვთან პირველი პარტია შავი ფიგურებით წააგო, გუშინ კი თეთრებით მე-19 სვლიდან ხელთ იგდო ინიციატივა, 37-ე სვლაზე შავები გამოუვალ მდგომარეობასი ჩააყენა და საათი გააჩერებინა. საქართველოს ვაჟთა ნაკრების ლიდერმა კლასიკურ პარტიებში წონასწორობა აღადგინა და დღეს მათ შორის უძლიერესს ტაიბრეიკები გამოავლენს: ჯერ 25-წუთიან ორ პარტიას (ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) ითამაშებენ, წარმატებისთვის თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ 10-10 და 5-5-წუთიან პარტიებში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

გუშინ მსოფლიოს თასზე ორ-ორი პარტიის ჯამში მე-3 რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვეს ევგენი ტომაშევსკიმ (რუსეთი), ალექსანდრ მოროზევიჩმა (რუსეთი), ნიკიტა ვიტიუგოვმა (რუსეთი), ველ იიმ (ჩინეთი), ალექსანდრ გრიშჩუკმა (რუსეთი), დმიტრი ანდრეიკინმა (რუსეთი), ფაბიანო კარუანამ (იტალია), გრანდა ზუნიგამ (პერუ), ბორის გელფანდმა (ისრაელი), პერეს დომინგუშმა (კუბა), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა (საფრანგეთი), ალექსანდრ არეშჩენკომ (უკრაინა), ვასილი ივანჩუკმა (უკრაინა), ჰიკარუ ნაკამურამ (აშშ) და ადჰიბანმა (ინდოეთი). დანარჩენ წყვილებში გამარჯვებულთა ვინაობას დღეს შევიტყობთ.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# ორმა ბრინჯაო გაინაღდა

როტერდამში ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის პირველობაზე გუშინ მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. შეჯიბრებაში საქართველოს ექვსი წარმომადგენელი ჩაება, მათგან მხოლოდ ორმა გაიმარჯვა: წარმატებით იასპარეზა ფოთელმა **დათო ნანავამ** (49 კგ), რომელმაც აზერბაიჯანელი მუნასიბ მამამადოვი დაამარცხა და სულ მცირე ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ნახევარფინალში იგი ბულგარელ ზდრავკო მიხაილოვს შეხვდება. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, უნგრელი პატრიკ ჰორვატი ჩამოიშორა გზიდან.

ნანავას მხარი აუბა 69 კილოში **კონსტანტინე ხვისტანმა**: გიდაიათ მუსაევისა (აზერბაიჯანი) და ჰუგო სილვას (პორტუგალია) გზას გუშინ ბელარუსი ილის აძინაიეუ გაუყენა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ტამერლან მაგომედოვს (რუსეთი) გაუწევს მეტოქეობას. ხვისტანსაც ბრინჯაო განაღდებული აქვს.

64 კილოში პირველ ნომრად იყო განთესილი **ჯემალ შალამბერიძე**. იგი სტარტზე თავისუფალი იყო, მეორე წრეში ბერნარდ ბარშონი (უნგრეთი) დაამარცხა, მაგრამ გუშინ მეოთხედფინალში ალიაქსანდრ ვაშილკასთან (ბელარუსი) წააგო და საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავიდა. 75 კილოში ირაკლი ქათამაძე კრისტიან ასომო მბილს (საფრანგეთი) ვერ გასცდა, გიორგი ურჯუმელაშვილი ალბონ პერვიზაჯს (გერმანია) დანებდა, დემურ მაჭარაშვილი კი ვიტალი ჰორინთან (ბელარუსი) შეხვედრისას ტრავმის გამო პირველსავე რაუნდში მოხსნეს შეჯიბრებიდან მწვრთნელებმა.

გუშინ ჰოლანდიაში საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან **ვლადიმერ ახალკაცს** შევეხმიანეთ.

- სასიამოვნოა, რომ ორმა ქართველმა მოკრივემ ნახევარფინალში გააღწია და სულ მცირე ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს, თუმცა მათ მეტის მიღწევა შეუძლიათ, თუ არბიტრები გზას არ გადაუღობავენ, როგორც ეს სომეხმა მსაჯმა გაუკეთა შალამბერიძეს, რომელიც, ასევე, მედლის კანდიდატი იყო. რაც შეეხება მძიმეწონოსან მაჭარაშვილს, მან პირველსავე რაუნდში ბეჭი ამოიგდო და ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. იმედია, ჩვენი ნახევარფინალისტები დღესაც გაგვახარებენ.

**ვაჟა დანელია**

**საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 76 წლისა უეცრად გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" ცნობილი ვეტერანი კალათბურთელი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ორგზის მეორე პრიზიორი, ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, ღირსების ორდენის კავალერი, ბრწყინვალე პიროვნება**

**ილარიონ ხაზარაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, სრულიად საქართველოს საკალათბურთო თემს.**

***პანაშვიდი:*** 16.08. მისამართი: ქ. თბილისი, ზანდუკელის, 38.
***გამოსვენება:*** 17.08; 14 საათზე, ვაკის სამების ეკლესიიდან.

**საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თბილისის „დინამოს" ვეტერანი კალათბურთელის, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის, სსრ კავშირის ორგზის მეორე პრიზიორის და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორის, ღირსების ორდენის კავალერის, საუკეთესო ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნების**

**ილარიონ ხაზარაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



**საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, ვეტერანი დინამოელის, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის, ხალხთა სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართველ კალათბურთელთა თაობების უსაყვარლესი პიროვნების**

**ილარიონ ხაზარაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, საკალათბურთო საზოგადოებას.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი ერი

# ვოლაბებმა ხუთ დებიუტანტს უხმეს

**ავსტრალიის ნაკრების ახალმა თავკაცმა ევან მაკკენზიმ გუნდის საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელიც ოთხი ერის გათამაშების პირველი ტურის მატჩში, სიდნეიში ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება.**

„ვოლაბების“ თავკაცმა გუნდი საგრძნობლად გადაახალისა და არც ექსპერიმენტებს შეუშინდა. **ევან მაკკენზიმ** მატჩის განაცხადში რვა ისეთი მოთამაშე შეიყვანა, რომლებსაც ბოლო მატჩში „ბრიტანელ ლომებთან“ არ უთამაშიათ. ამათგან ხუთი სულაც დებიუტანტია.

მიუხედავად იმისა, რომ მაკკენზიმ ნაკრებში მგეზავი **ქუადე კუპერი** დააბრუნა, მას ძირითადში ადგილი მაინც არ ანდო. მგეზავის ფუნქციას „ოლ ბლექსთან“ დაპირისპირებაში „ბრამბიზის“ ათი ნომერი **მეთ ტოომუა** შეასრულებს, რომელიც ეროვნული ნაკრების კვართს პირველად მოირგებს. მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ ასეთი ნაბიჯის გადადგმა სარისკო საქმეა, თუმცა მაკკენზი თავის გადაწყვეტილებაში შეუვალია.

**ჯეიმზ ოკონორი**, რომელიც „ბრიტანელ ლომებთან“ სერიაში მგეზავად თამაშობდა, „ვოლაბების“ მთავარმა მწვრთნელმა გარემარბად გაამწესა. მას უკანა ხაზში პარტნიორობას **იზრაელ ფოლაუ** და ფულბეკი **ჯესი მოგი** გაუწევენ. მესამე ხაზში ვეტერანი **ჯორჯ სმითი მაიკლ ჰუპერმა** შეცვალა.

მაკკენზიმ სათადარიგოთა შორის გაამწესა დებიუტანტები **სიო სკოტი, ნიკ ვაითი, სკოტ ფერდი** და **ტევიტა კურიდრანი.**



ბურთით მეთ ტოომუა

*„როდესაც გუნდის შემადგენლობას ვადგენდით, წამითაც არ მიგვიქცევია ყურადღება იმისთვის, ვის რამდენი კეპი აქვს ეროვნულ გუნდში მოხვეჭილი. ის, რომ ხუთი მორაგბე დებიუტანტია, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. მათ ოდესმე ხომ უნდა დაიწყონ ნაკრებში თამაში. ისინი მხოლოდ ერთი მატჩისთვის არ შეგვირჩევია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც პროვინციების ნაკრებში შესანიშნავად წარმოაჩინეს თავი, ისინი საერთაშორისო კარიერას იწყებენ*

*რეალობა ასეთია, ზე რაგბი იქნება თუ ოთხი ერის გათამაშება, ამ ბიჭებს მეტოქე გუნდის მორაგბეებთან თამაშის გამოცდილება უკვე აქვთ. ამიტომ, რაიმე კატასტროფულს არ ველოდები. პირიქით, ისინი შესანიშნავ ფორმაში არიან და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს ილონებენ, რათა ეროვნულ გუნდში დაიმკვიდრონ ადგილი“* - თქვა ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ევან მაკკენზიმ.

შეგახსენებთ, რომ სიდნეიში ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებებს შორის მატჩში, „ბლედისლოუს თასიც“ გათამაშდება, რომელიც ამ გუნდების დაპირისპირებაში გამარჯვებულისთვის ტრადიციული ჯილდოა.

## ავსტრალია

**15. ჯესი მოგი, 14. იზრაელ ფოლაუ, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. კრისტიან ლეალიიფანო, 11. ჯეიმზ ოკონორი, 10. მეთ ტოომუა, 9. ვილი გენია. 1. ჯეიმზ სლიპეი, 2. სტივენ მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. რობ საიმონსი, 5. ჯეიმზ ჰორვილი, 6. ჰუგ მაკმენიმანი, 7. მაიკლ ჰუპერი, 8. ბენ მოვენი.**

**16. საია ფაინგაა, 17. სიო სკოტი, 18. სეკოპე კეპუ, 19. სკოტ ფარდი, 20. ლიამ გილი, 21. ნიკ ვაითი, 22. ქუადე კუპერი, 23. ტევიტა კურიდრანი.**

# რიჩი მაქოა ოლ ბლექსში დაბრუნდა

**ავსტრალიის ნაკრების მსგავსად, ძირითადი მგეზავის გარეშე ითამაშებს ოთხი ერის პირველ მატჩში ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდიც. მაკკენზისგან განსხვავებით, „ოლ ბლექსის“ თავკაც სტივ ჰანსენს არჩევანის გაკეთების საშუალება არ ჰქონდა.**

ახალი ზელანდიის ნაკრების წამყვანი მორაგბე **დენ კარტერი** ვარჯიშისას დაშავდა და ჰანსენს წამითაც არ უფიქრია, მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში, ზე რაგბის წლევანდელი გათამაშების გამარჯვებულის, „ჰემილტონის ჩიფსის“ მგეზავი **აარონ კრადენი** დაეყენებინა.

ამ მორაგბის მზარდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კარტერის დაშავების შემდეგ ახალზელანდიელებს ვაი-ვიში არ აუტეხავთ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ კრადენი კარტერს ღირსეულად შეცვლის. 24 წლის მორაგბისთვის ავსტრალიელებთან დაპირისპირება მე-11 კეპი იქნება ეროვნულ გუნდში. მისი დებიუტი „ოლ ბლექსში“ 2010 წელს სწორედ ავსტრალიელებთან სიდნეიში შედგა.

*„მაშინ ძალიან ვნერვიულობდი. როგორია, ოცნება ამიხდა და „ოლ ბლექსის“ კვართი მოვირგე. მერედა ვის წინააღმდეგ? თვით ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში, რომელიც ჩვენი ნაკრების ტრადიციული და ყველაზე ძლიერი მეტოქეა. თამაში ძალიან გამიჭირდა. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში ვისწავლე, რომ ემოციებს არ უნდა ავყვე. საჭიროა გამოვიდე და უბრალოდ ჩემი საქმე გავაკეთო.*

*მიხარია, რომ ისევ სიდნეიში ვბრუნდები. გუნდში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. დენის ტრავმამ შანსი მომცა, ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინო და ყველაფერი ვილონო საიმისოდ, რომ „ბლედისლოუს თასი“ მოვიგოთ“* - თქვა აარონ კრადენმა.

მართალია „ოლ ბლექსმა“ ერთი წამყვანი მორაგბე დაკარგა, მაგრამ მეორე დაიბრუნა. ექვსთვიანი შვებულების შემდეგ, ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს კაპიტანი **რიჩი მაქოა.** მან უკვე მოასწრო ივლისში ზე რაგბის გათამაშების პლეი ოფში ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზში“ თამაში და სტივ ჰანსენს მიაჩნია, რომ ის სასურველ ფიზიკურ ფორმაშია.

„ოლ ბლექსის“ შემადგენლობაში ერთი დებიუტანტია. **რაიან კროტი** სათადარიგოთა შორის დაიკავებს ადგილს. სხვა ყველა ძველი და კარგად ნაცადი მორაგბეები არიან.

## ახალი ზელანდია

**15. იზრაელ დაგი, 14. ბენ სმითი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჯულიან სავეა, 10. აარონ კადენი, 9. აარონ სმითი. 1. ტონი ვუდკოქი, 2. ენდრიუ ჰორი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სემ ვაითლოქი, 6. ლიამ მესამი, 7. რიჩი მაქოა, 8. კირან რიდი.**

**16. კევინ მეალამუ. 17. ბენ ფრენქსი, 18. ჩარლი ფაუმუნია, 19. ბრედი რეტალეკი, 20. სემ კენი, 21. ტავერა კერ-ბარლოუ, 22. ბოდენ ბარიტი, 23. რაიან კროტი.**



რიჩი მაქოა თასით ხელში

ლეგიონერები



მამუკა გორგოძე

# კიდევ ერთი ნაბიჯი ტიტულისკენ

**რუმინეთის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. პლეი ოფში, ანუ საუკეთესო ოთხეულში, ქართველ მორაგბეთა გუნდი, ბიძინა სამხარაძის, გიორგი ხოსიტაშვილისა და ოთარ ტურაშვილის „ტიმიშოარა“ იბრძვის.**

ჩვენებურთა ეს გუნდი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია და რეალური შანსი აქვს ტიტული შეინარჩუნოს. „ტიმიშოარა“ პლეი ოფის მეორე ტურის მატჩში შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ „ბაია მარეს“ დაუპირისპირდა და 26:6 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონების მეოთხე ლელო **გიორგი ხოსიტაშვილმა** გაიტანა, რითაც გუნდს ერთი პრემიალური ქულა მოუტანა.

„ტიმიშოარა“ ახლა 10 ქულით პირველ ადგილზეა და მომდევნო ტურში ბუქარესტის „სტიაუას“ დაუპირისპირდება. სამწუხაროდ ხოსიტაშვილი განაცხადში არ არის. ბიძინა სამხარაძე და ოთარ ტურაშვილი კი თადარიგში იქნებიან.

საინტერესოა, რომ რუმინეთის ეროვნულმა ბანკმა ახლახან საიუბილეო მონეტა გამოუშვა, რომელიც ამ ქვეყნის მორაგბეთა ნაკრების პირველი მატჩის ას წლისთავს ეძღვნება. 10 ლეის ღირებულების ვერცხლის მონეტის საბაზრო ფასი 290 ევროა.

ამასობაში, საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ტურს დღეს **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“ საკუთარ მოედანზე გახსნის. მეტოქე „ჰაინეკენის თასის“ მფლობელი, **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“ იქნება.

ტულონელები ნაბიჯ-ნაბიჯ ფრანგული და ევროპული რაგბის გიგანტებად გადაიქცნენ. ამ გუნდის თამაშის მანერა ღონესა და სისწრაფის სინთეზზეა დაფუძნებული. „ტულონი“ შეიძლება გიყვარდეთ ან არა, თუმცა მისი აუცილებლად უნდა გეშინოდეთ.

შარშანდელი სეზონი ტულონელებმა შესანიშნავად დაიწყეს - 17 მატჩში 15 მოგება უმაღლესი რანგის გუნდის შედეგია. „ტულონმა“ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში გაიმარჯვა, თუმცა საფრანგეთის ჩემპიონატში ხელი მოეცარა. ამიტომ, ახალ სეზონში „ტულონის“ მულტიმილიონერ პრეზიდენტს **მურად ბურჯელალს** მხოლოდ დუბლის შესრულება აქვს მიზნად დასახული.

ბურჯელალმა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ბერნარ ლაპორტმა** სატრანსფერო ბაზარზე სარფიანად ივაჭრეს. მათ რამდენიმე კაშკაშა ვარსკვლავი შეიძინეს. სამხრეთ ნახევარსფეროდან: **დრიუ მიტჩელი, ბრაიან ჰაბანა, ალი ვილიამსი.** ევროპიდან: **მარტინ კასტროჯოვანი, მაიკლ კლასენი** და ფრანგი **ბენჟამინ ნუარო.**

საგულისხმოა, რომ გუნდი რამდენიმე ფრანგმა მორაგბემ დატოვა. „ტულონიდან“ პარიზულ „სტად ფრანსეში“ გადაბარგდა საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი.** „მონპელიესთან“ მატჩში საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი **კონსტანტინე მიქაუტაძე** ითამაშებს, პირველხაზელი **ლევან ჩილაჩავა** კი, განაცხადში არ არის.

წლიდან წლამდე პროგრესირებს „მონპელიეც“. ამ გუნდს ფრანგული რაგბის კოჰორტას მალე შეუძლია შეუერთდეს და ისეთი კლუბების გვერდით დადგეს, „კლერმონი“, „ტულონი“ და „ტულუზი“ რომ არიან. „მონპელიეს“ მესვეურებს უკვე აქვთ იმდენი ფული, რომ ცნობილი მორაგბეები შეიძინონ.

სატრანსფერო ფანჯრისას გუნდი შემდეგმა უცხოელმა მოთამაშეებმა გააძლიერეს: **ჯიმი ჰამილთონი, რენე რენჯერი, ვინანდ ულიფიე, სიტალეკი ტიმანი** და **რობერტ ებერსონი.** ფრანგებიდან კი, მომავალი სეზონიდან „მონპელიეს“ კვართს მოირგებენ **ენტონი ფლოში** და **ნიკოლა მასი.** ეს უკანასკნელი საფრანგეთის ნაკრების შერკინების ბურჯია და ის „მონპელიემ“ „პერპინიანს“ **გიორგი ჟღენტში** გაუცვალა.

განვლილ სეზონში მონპელიემ „ჰაინეკენის თასის“ მეოთხედფინალში გააღწია. ეს ამ გუნდის ისტორიაში პირველად მოხდა, რაც მის პროგრესს კიდევ ერთხელ ადასტურებს. ამჯერად მას ჯგუფურ ტურნირში საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჰყავს. ესენია: „ლესტერ ტაიგერზი“ (ინგლისი), „ოლსტერი“ (ირლანდია) და „ბენეტონი“ (იტალია). ამიტომ, მონპელიელთა თავკაც **ფაბიენ გალტიეს** არჩევანის გაკეთება მოუწევს - რომელ ტურნირს მიანიჭოს უპირატესობა, საფრანგეთის ჩემპიონატს თუ „ჰაინეკენის თასს“?

მართალია, „მონპელიემ“ ხარისხიანი მოთამაშეები აიყვანა, მაგრამ მორაგბეთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. გუნდმა ცხრამეტი მორაგბე დაკარგა. განსაკუთრებით მტკივნეული შეიძლება გახდეს, ავგუსტინ **კრევის, ალი ფაკატესა** და **ჟულიენ ტომას** გუნდიდან წასვლა.

„ტულონთან“ პირველი ტურის მატჩში საქართველოს ნაკრების პირველხაზელი **მიხეილ ნარიაშვილი** ითამაშებს. გუნდის ლიდერი, მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** ტრავმირებულია და თამაშს ოქტომბრის დასაწყისამდე ვერ შეძლებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ცინცინატი

# ამჯერად უსენსაციო დღე

გუშინ, ცინცინატის მასტერსზე მეორე წრე დასრულდა და ყველა მერვედფინალისტი გაირკვა. მორიგმა სათამაშო დღემ სენსაციების გარეშე ჩაიარა და ფავორიტებმა იოლ გამარჯვებებს მიაღწიეს.

აგრძელებს კარგი ფორმის დემონსტრირებას **რაფაელ ნადალი**, რომელმაც გასულ კვირას მონრეალის მასტერსი მოიგო. ესპანელმა საათსა და 16 წუთში გაიარა გერმანელი **ბენჯამინ ბეკერის** ბარიერი - 6:2, 6:2. რაფამ თითო სეტში ორ-ორი ბრეიკი გააკეთა და მოიგერია მეტოქის ორივე ბრეიკ-პოინტი. ნადალმა ამ სეზონში მე-11 მატჩი ჩაატარა ჰარდზე და ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს. ესპანელი მერვედფინალში ბულგარელ **გრიგორ დიმიტროვს** შეხვდება, რომელთანაც ორიდან ორი მოგება აქვს, მათ შორის ერთი წელს, მონტე კარლოს მასტერსის მეოთხედფინალში.

პირველი ნაბიჯი გადადგა ტიტულისკენ სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. ცინცინატის ტურნირი ერთადერთია მასტერსის სერიის შეჯიბრებებიდან, რომელიც ჯოკოვიჩს არასოდეს მოუგია, არადა, ბოლო ხუთ წელიწადში ოთხჯერ იყო აქ გასული ფინალში. სერბს პირველმა მატჩმა არგენტინელი **ხუან მონაკოს** წინააღმდეგ მოუწია და როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება გაიფორმა - 7:5, 6:2. ეს ჩოგბურთელები მეშვიდედ შეხვდნენ ერთმანეთს და სერბმა მეშვიდედ დაამარცხა სამხრეთამერიკელი.

გარდა იმისა, რომ ცინცინატის მოგება ჯოკოვიჩი ისტორიაში შევა (გახდება ერთადერთი ჩოგბურთელი, ვისაც ყველა მასტერსის ტიტული ექნება მოგებული), ამას სერბისთვის ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს, რადგან მას აპრილის შემდეგ არ მოუგია ტურნირი, როცა მონტე კარლოს მასტერსის ფინალში სძლია რაფაელ ნადალს.

ამერიკის ღია პირველობისთვის ფორმის აკრეფას ცდილობს **ენდი მარეი**, რომელმაც გასულ კვირას, მონრეალის მასტერსზე მეოთხედფინალამდე ვერ მიაღწია. ამჯერად, ბრიტანელმა ძალიან დამაჯერებელი თამაში აჩვენა რუსი **მიხაილ იუჟნის** წინააღმდეგ და მასთან ურთიერთშეხვედრებში გაზარდა უპირატესობა - 4:0. მარეიმ ხუთჯერ აიღო მეტოქის მოწოდება და 70 წუთში გაანადგურა მოწინააღმდეგე - 6:2, 6:3.

მეორე წრიდან ბრძოლას გამოეთიშა კიდევ ერთი რუსი - **ნიკოლაი დავიდენკო**, რომელიც ბევრს ეცადა არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროს** წინააღმდეგ, მაგრამ მაინც წააგო. დავიდენკო უშანსოდ არ ყოფილა, არგენტინელს სამი ბრეიკი აართვა, თუმცა საკუთარ მოწოდებაზე ცუდად ითამაშა. დელ პოტრომ ბრეიკ-პოინტების რეალიზაციია მაღალი პროცენტის (ცხრიდან ხუთი) წყალობით 7:5, 7:5 მოიგო. ამისთვის მას საათი და 42 წუთი დასჭირდა.

საინტერესო მერვედფინალური წყვილი შეადგინეს **მილოშ რაონიჩმა** და **ჯონ ისნერმა**. კანადელმა **იანკო ტიპსარევიჩი** 6:4, 7:6(4) დაამარცხა. მილოშს შვიდი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი შანსი გამოიყენა, რის ხარჯზეც პირველი პარტია მოიგო, მეორე უბრეიკო სეტში კი კანადელმა ტაი-ბრეიკზე მიაღწია წარმატებას. რაონიჩის ანგარიშზე 13 ეისი მოდის. უფრო ნაკლები - ცხრა ეისი დააგროვა ისნერმა, სამაგიეროდ, მას უფრო რთული მეტოქე ჰყავდა **რიშარ გასკეს** სახით, რომელსაც ასევე ორ სეტში მოუგო - 7:6(6), 6:2.

ასევე დიდ ინტერესს იწვევს მერვედფინალში **როჯერ ფედერერისა** და **ტომი ჰაასის** შეხვედრა. 35 წლის გერმანელმა იოლად მოუგო ესპანელ **მარსელ გრანოლერსს** - 6:4, 6:1 და შეეცდება თავის ძველ მეგობართან ურთიერთშეხვედრათა ბალანსის ოდნავ გამოსწორებას. ფედერერი და ჰაასი აქამდე 14-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და როჯერი წინ არის - 11:3. თანაც, ბოლო 11 წელიწადში ტომიმ მხოლოდ ერთხელ დაამარცხა ლეგენდარული შვეიცარიელი.

**Western & Southern Open**

**ცინცინატი (აშშ). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი: $3 720 000**

**II წრე**

**ტომი რობრედო (ესპ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 9) 7:5, 3:6, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ხუან მონაკო (არგ) 7:5, 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ)**-რიშარ გასკე (საფ, 8) 7:6(6), 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 7)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 7:5, 7:5; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 6:2; **ენდი მარეი (ბრიტ, 2)**-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:2, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:2, 6:2; **დავიდ გოფენი (ბელ)**-ვაშეკ პოსპიშილი (კან) 7:5, 1:6, 7:6(6); **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:4, 2:2 უარი; **მილოშ რაონიჩი (კან, 12)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:4, 7:6(4); **ტომი ჰაასი (გერ, 11)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:4, 6:1.

**1/8 ფინალი**

ჯოკოვიჩი (1)-გოფენი; რაონიჩი (12)-ისნერი; ფერერი (3)-ტურსუნოვი; ლოპესი-დელ პოტრო (7); ფედერერი (5)-ჰაასი (11); დიმიტროვი-ნადალი (2); ბერდიხი (6)-რობრედო; ბენეტო-მარეი (2).



ბარტოლი პრესკონფერენციაზე

# უიმბლდონი მოიგო და წავიდა

## მარიონ ბარტოლიმ მოულოდნელად კარიერა დაასრულა

ფრანგმა ჩოგბურთელმა **მარიონ ბარტოლიმ** პროფესიული კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ, 27 წლის მოთამაშემ ჟურნალისტებს ცინცინატიში აცნობა, სადაც ის იქ მიმდინარე ტურნირის მეორე წრეში რუმინელ **სიმონა ჰალეპთან** დამარცხდა - 6:3, 4:6, 1:6.

*„ჩემთვის ეს ბოლო მატჩი იყო პროფესიულ კარიერაში. მოვიდა დრო, დავასრულო ტურში გამოსვლა. ვგრძნობ, რომ წასვლის დრო მოვიდა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთული იყო, მაგრამ ჩემთვის ეს მართლაც ბოლო მატჩია.*

*კარიერის განმავლობაში ბევრი ტრავმა მივიღე. ახლა ვგრძნობ, რომ უიმბლდონმა ბოლო ძალები გამომაცალა. ამ მომენტისთვის კორტზე 45 წუთი ან ერთი საათის გატარების შემდეგ, მთელი სხეული მტკივა. ახლა, ორგანიზმი კატეგორიულ უარს მეუბნება.*

*არც კი ვიცი, რას გავაკეთებ მომავალში. ცხოვრებაში ბევრი საინტერესო რამ არსებობს, ასე რომ, აუცილებლად ვიპოვი ჩემთვის ახალ საქმეს. ამ მომენტისთვის უბრალოდ დამშვიდება და კარგად დაფიქრება მჭირდება“*, - განაცხადა ბარტოლიმ.

ფრანგმა იუნიორთა დონეზე 2001 წელს მოიგო ამერიკის ღია პირველობა, ორი წლის შემდეგ კი WTA-ის რეიტინგის საუკეთესო ასეულში შეაღწია. პროფესიულ ტურში პირველი ტურნირი მან 2006 წელს, ამერიკის ქალაქ ოკლენდში მოიგო, სულ კი კარიერაში რვა გამარჯვება აქვს მოპოვებული.

ბარტოლის მთავარი ტრიუმფი წელს, უიმბლდონზე დაფიქსირდა, როცა მან სეტის წაუგებლად მოიპოვა მთავარი პრიზი. ამით მან ერთგვარი რეკორდი დაამყარა - „დიდი სლემის“ ტურნირი 47-ე ცდაზე მოიგო. წინა რეკორდი ჩეხ იანა ნოვოტნას ეკუთვნოდა, რომელსაც 45 ტურნირის ჩატარება დასჭირდა ამ სერიაში გასამარჯვებლად.

28 წლის მარიონ ბარტოლის კორტზე ჯამში 11 042 914 დოლარი აქვს გამომუშავებული.



ენდი მარეი

# სერენას სეტი მოუგეს

ცინცინატის ქალთა ტურნირზე გუშინ ჩაატარა თავისი პირველი შეხვედრა მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა **სერენა უილიამსმა**. ის ბრწყინვალე სერიით შეხვდა კანადელ **ეჟენი ბუშართან** მატჩს - ამერიკელს ზედიზედ 20 სეტი ჰქონდა მოგებული და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს სერია სწორედ ამ თამაშში შეწყდებოდა. მაგრამ ბუშარმა ბოლომდე შეინარჩუნა პირველ გეიმში აღებული ბრეიკი და საწყისი სეტი 6:4 მოიგო.

კანადელის მხრიდან ეს უკვე დიდი გმირობა იყო, მეორე და მესამე პარტიებში კი ის თავიდანვე დიდი მანძილით (1:4 და 0:4) ჩამორჩა სერენას და 6:4, 2:6, 2:6 დამარცხდა.

უილიამსი მერვედფინალში გერმანელ **მონა ბარტელს** შეხვდება, რომელმაც ცხრა ეისის დახმარებით მოუგო **მარია კირილენკოს** - 6:4, 6:4. სხვათა შორის, ბარტელს აქვს პირველი ჩოგნის დამარცხების გამოცდილება - შარშან, მან ორჯერ მოუგო **ვიქტორია აზარენკას** იმ დროს, როცა ბელარუსი პირველ ადგილს იკავებდა კლასიფიკაციაში.

მამაკაცთა ტურნირის მსგავსად, გუშინ არც ქალებში მომხდარა სენსაცია, თუმცა განთესილებს სერიოზული ბრძოლა დასჭირდათ მერვედფინალის საგზურის მოსაპოვებლად. **სარა ერანი** კომფორტული ანგარიშით (6:4, 4:2) უგებდა **პოლონა ჰერცოგს**, მაგრამ მესამე სეტის თამაში მოუწია, რომელიც 6:4 მოიგო. **ელენა იანკოვიჩმა** 29 წუთში წააგო პირველი სეტი რუს **ეკატერინა მაკაროვასთან**, მაგრამ მომდევნო ორი პარტია ერთნაირი ანგარიშით - 6:3 მოიგო. ჩინელმა **ნა ლიმ** პირველი სეტი დაუთმო ამერიკელ თინეიჯერს **ლორენ დევისს**, თუმცა მეორე და მესამე პარტიებში მხოლოდ ორი გეიმი გაიმეტა მასპინძლისთვის.

სამი მატჩი თითქმის ერთნაირი სცენარით წარიმართა. **აგნიეშკა რადვანსკა** 2:4 ჩამორჩა პირველ სეტში **ვარვარა ლეპჩენკოს** და შემდეგ ზედიზედ ათი გეიმი მოიგო; **ანჟელიკ კერბერმა** 3:5-დან შემოაბრუნა საწყისი პარტია **ალისა კლეიბანოვასთან** და მანაც ორ სეტში მოიგო, ხოლო **კაროლინ ვოზნიაცკიმ** რუმინელ **მონიკა ნიკულესკუსთან** 2:4-დან მოიგო მატჩი - 6:4, 6:3.

ყველაზე დიდი უცნაურობა კი **ალიზ კორნეს** შეემთხვა. შეგახსენებთ, რომ წინადლეს, მან წაგებული მატჩი გადაარჩინა სერბ **ანა ივანოვიჩთან** - 2:6, 2:5-ის შემდეგ შემოატრიალა შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ. ამჯერად კი ფრანგი თავად იგებდა **მაგდალენა რიბარიკოვასთან** 6:3, 5:2-ს, მაგრამ მეტოქეს ზედიზედ ცხრა გეიმი აალებინა და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მესამე სეტში 0:4 იყო ჩამორჩენილი.

■ ■ ■

დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ, მესამე ტურნირში მიიღო მონაწილეობა **მარტინა ჰინგისმა**. შვეიცარიელმა სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან** წყვილში, სამივეგან ერთნაირი შედეგი აჩვენა - გაიარა პირველი რაუნდი და მეორე წრეში დამარცხდა. ამჯერად, შვეიცარიულ-სლოვაკურ დუეტს გზა გადაუღობა ტურის ერთ-ერთმა საუკეთესო წყვილმა **სარა ერანისა** და **რობერტა ვინჩის** შემადგენლობით. იტალიელებმა 6:4, 6:4 მოიგეს. არადა, პირველ სეტში ჰინგისი და ჰანტუხოვა 4:2 იყვნენ დაწინაურებულნი, მაგრამ ზედიზედ ოთხი გეიმი წააგეს.

**ცინცინატი (აშშ). ჰარდი**

**საპრიზო ფონდი: $2 210 000**

**II წრე**

**სარა ერანი (იტა, 6)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:4, 5:7, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ეჟენი ბუშარი (კან) 4:6, 6:2, 6:2; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)**-ალიზ კორნე (საფ) 3:6, 7:5, 7:5; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 14)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 2:6, 6:3, 6:3; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:4, 6:3; **სიმონა ჰალეპი (რუმ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 8) 3:6, 6:4, 6:1; **ნა ლი (ჩინ, 5)**-ლორენ დევისი (აშშ) 4:6, 6:1, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 7)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 6:4, 6:7(7), 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 11)**-ჯეიმი ჰემპტონი (აშშ) 6:3, 7:6(3); **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 7:6(3), 6:2; **რობერტა ვინჩი (იტა, 12)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:4, 6:7(3), 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:4, 6:0; **ელენა ვესნინა (რუს)**-ვენუს უილიამსი (აშშ) 6:2, 5:7, 6:2; **მონა ბარტელი (გერ)**-მარია კირილენკო (რუს, 16) 6:4, 6:4.

**1/8 ფინალი**

ს. უილიამსი (1)-ბარტელი; სტოსური (11)-ჰალეპი; ა. რადვანსკა (4)-ვესნინა; კერბერი-ნა ლი (5); ერანი (6)-ვინჩი (12); იანკოვიჩი (14)-სტივენსი; კვიტოვა (7)-ვოზნიაცკი (10); რიბარიკოვა-აზარენკა (2).

# ცონგა აშშ-ის ღიას გამოტოვებს

ATP-ის რეიტინგის მერვე ნომერმა, ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** გადაწყვიტა გამოტოვოს სეზონის ბოლო „დიდი სლემის“ ტურნირი - ამერიკის ღია პირველობა. როგორც ფრანგული გამოცემა „ეკიპი“ წერს, ჟო კვლავაც მუხლის ტრავმას მკურნალობს, რომელიც მან უიმბლდონზე მიიღო.

*„სისულელე იქნება აშშ-ის ღია პირველობაზე გამოსვლა, როცა ვიცი, რომ იქ არანაირი შანსი არ მექნება. მე არ ვარ მზად სათამაშოდ ასი პროცენტით. უბრალოდ ერთი ან ორი მატჩის ჩასატარებლად ნიუ იორკში ჩასვლა არ მინდა. ჩემთვის ეს საინტერესო არ არის“*, - განაცხადა ცონგამ.



ჟო-ვილფრიდ ცონგა

„ეკიპის“ ინფორმაციით, ცონგა კორტზე დაბრუნებას სექტემბერის შუა რიცხვებში აპირებს, როცა ტურნირი გაიმართება საფრანგეთის ქალაქ მეცში.

# ამერიკას გადახურავენ

ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციამ გამოაცხადა თავისი სამომავლო გეგმების შესახებ, კერძოდ, „ფრეშინგ მედოუს“ საჩოგბურთო არენის მთავარ კორტზე მოძრავ სახურავს დაამონტაჟებენ. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ კორტებზე იმართება აშშ-ის ღია პირველობა.



ფლეშინგ მედოუს ცენტრალური კორტი

ბოლო რამდენიმე წელია, აშშ-ის ღიას ორგანიზატორები უამინდობის გამო ვერ ახერხებდნენ ტურნირის დროულად დასრულებას. მაგალითად, გასულ წელს, ფინალი **ენდი მარეისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შორის, კვირის ნაცვლად ორშაბათს გაიმართა. ასე მოხდა წინა ორ სეზონშიც.

გარდა ამისა, ასოციაცია „ფლეშინგ მედოუზე“ ორი ახალი კორტის აშენებას აპირებს.

როგორც იცით, უიმბლდონისა და ავსტრალიის ღიას ცენტრალურ კორტებზე უკვე არსებობს მოძრავი სახურავი, როლან გაროსზე კი ამ პროექტის განხორციელება ძალიან მალე დაიწყება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# დაარტყი მას, ის იაპონელია

## როგორ ავარჯიშებენ აზიელი მწვრთნელები თავიანთ შეგირდებს

ადრე ვწერდით იმის შესახებ, რომ ძიუდოში იაპონიის ქალთა ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რიუიძი სონოდა** რეგულარულად სცემდა თავის შეგირდებს ბამბუკის ჯოხით. ფედერაციის გაფრთხილებაზე პასუხად, სპეციალისტმა განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ გრძნობს, თუმცა მაინც გადაწყვიტა გადადგომა. მუშაობის მაქსიმალურად მკაცრი სტილი – ტიპური მოვლენაა აზიურ ქვეყნებში. დღეს ჩვენ გავიხსენებთ მწვრთელების მიერ იაპონელი, ჩინელი და კორეელი სპორტსმენების ცემის ისტორიებს

### იაპონიაში

ქალმა ძიუდოისტებმა ლონდონის თამაშებზე სამი მედალი მოიპოვეს. **კაორი მაცუმოტო**, რომელიც 57-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ჩემპიონი გახდა, კიდევ ორმა სპორტსმენმა ვერცხლი და ბრინჯაო აიღო. ოლიმპიადის დასრულებიდან ნახევარი წელი ძიუდოისტები დუმილს ინარჩუნებდნენ, შემდეგ კი სარჩელი შეიტანეს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. ისინი ჰყვებოდნენ ისტორიებს იმის შესახებ, თუ როგორ აყენებდა მათ შეურაცხყოფას სონოდა, სახეში ურტყამდა და ასახიჩრებდა სამურაის ხმლებით. მწვრთნელის შიშით, სპორტსმენები ტრავმითაც კი გადიოდნენ ტურნირებზე.

გამოძიებისას დადასტურდა ცემის მინიმუმ ხუთი ფაქტი, რაც იაპონიაში 1947 წლიდან აკრძალულია. ამ დარღვევისთვის კონკრეტული სასჯელი გათვალისწინებული არ არის, ამიტომაც, მწვრთნელები ხშირ შემთხვევაში დაუსჯელები რჩებიან. სერიოზულ სასჯელს სონოდაც გადაურჩა. მას ნაკრებშიც კი ტოვებდნენ, მაგრამ საკუთარი სურვილით წავიდა გუნდიდან.

ძიუდოში ეს სკანდალი – პირველი შემთხვევა არ არის იაპონურ სპორტში. ყველაზე საშინელი შემთხვევა 2007 წელს მოხდა, როცა ვარჯიშის შემდეგ დაიღუპა 17 წლის სუმოისტი **ტაკასი საიტო**. როგორც გაირკვა, მწვრთნელი არა მარტო თავად სცემდა მას (კერძოდ, სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, მწვრთნელმა შეგირდს თავში ჩაარტყა ლუდის ქილა), არამედ სხვა სუმოისტებს აიძულებდა ფიზიკურად გასწორებოდნენ საიტოს. ერთ-ერთმა სპორტსმენმა, მწვრთნელის ბრძანებით, ბეისბოლის რკინის ჯოხი გამოიყენა საიტოს წინააღმდეგ. საქმე სასამართლომდე მივიდა. სუმოისტებმა პირობითი სასჯელი მიიღეს, მწვრთნელს კი ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

იაპონიაში წვრთნის ამგვარი მეთოდი არა მხოლოდ პროფესიულ სპორტში, არამედ უფრო დაბალ დონეზეც გამოიყენება. 2012 წლის დეკემბერში თავი მოიკლა სკოლის საკალათბურთო გუნდის 17 წლის კაპიტანმა, რომელსაც მწვრთნელი სცემდა. ამ ისტორიების შემდეგ, იაპონიის სპორტულმა მთავრობამ ომი გამოუცხადა სპორტში ძალადობას, მაგრამ ჯერ მხოლოდ სიტყვებითა და დაპირებებით.

### ჩინეთში

ცნობილია, რომ ჩინელი მწვრთნელები თავიანთ შეგირდებს ძალიან მკაცრად ეპყრობიან – მუდმივად უშვერი სიტყვებით აგინებენ, პირველი შესაძლებლობისთანავე თავში კეტს უშენენ... მაგრამ, ჩინელი სპორტსმენების ცემის მხოლოდ რამდენიმე ფაქტი თუ გახდება ხოლმე პუბლიკისთვის ცნობილი – ან იმის გამო, რომ ჩინეთი და კერძოდ, იქაური სპორტი დახურულია, ან იმ მიზეზით, რომ ადგილობრივი მწვრთნელები არც ისე სასტიკები არიან, როგორც მსოფლიოში მიაჩნიათ.

ფიზიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული სკანდალები ჩინურ ფეხბურთში ჩნდებოდა, ასე მაგალითად, 2009 წელს, "გუანგჯოუს" მწვრთნელმა მატჩის შესვენებაზე გალახა მოთამაშე. შემდეგ დამრიგებელმა თავად აღიარა, რომ ფიზიკურად გაუსწორდა ფეხბურთელს, თან ადასტურებდა – "ძალიან ძლიერად" ვურტყამდიო. ამ ინციდენტის შემდეგ, მწვრთნელმა გუნდი დატოვა.

იმავე 2009 წელს, გარკვეული წარმოდგენა შეიქმნა ტანვარჯიშში ჩინელი მწვრთნელების მუშაობის შესახებ. ჩინეთის 12 წლის ჩემპიონმა **გაო შუაიმ** მშობლებთან ერთად სასამართლოში უჩივლა თავის მწვრთნელებს, რომლებიც სცემდნენ ბიჭს, ან სხვა ხერხით სჯიდნენ მას. მაგალითად, აიძულებდნენ რამდენიმე საათი ხელებზე მდგარიყო ან დიდხანს ტოვებდნენ დაჩოქილს. გაოს მშობლებმა მოიგეს სასამართლოში საქმე: სპორტსკოლამ ოჯახს რვა ათასი დოლარი გადაუხადა. ტანვარჯიშს კი ბიჭმა თავი დაანება.

### კორეაში

სამხრეთ კორეაში სპორტსმენების წინააღმდეგ მწვრთნელთა ძალადობის ისტორიები , უამრავი და მრავალფეროვანია. სახელმწიფო ცდილობს, ამ სენს ებრძოლოს, მაგრამ ნაკლებად წარმატებით გამოსდის ეს. ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის შედეგად, კორეელ სპორტსმენთა 30 პროცენტი გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, ყოველი მეათეს კი სექსუალური ძალადობაც შეეხო.

კორეულ სპორტში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა რთულია, რადგან "დისციპლინას" თავად სპორტსმენები ამართლებენ. უფრო მეტიც, მწვრთნელებს მხარს უჭერენ სპორტული სკოლების მოსწავლეთა მშობლები. მათ ნახევარს მიაჩნია, რომელიც მათი შვილები ფიზიკურად უნდა დაისაჯონ.

90-იან წლებში, სანამ სამხრეთ კორეის საფეხბურთო ნაკრებში უცხოელი მწვრთნელები მივიდოდნენ, გუნდში ფიზიკური ძალადობა იყო გამეფებული. მაგალითად, შესვენებაზე მწვრთნელმა მოთამაშეს ბუცი თავში ურტყა. ეს ფეხბურთელი მეორე ტაიმში საუკეთესო იყო.

საფეხბურთო მწვრთნელები ბევრის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს. ერთხელ, მატჩის შემდეგ, სასტუმროში მწვრთნელმა საკუთარ ნომერში დაიბარა ფეხბურთელი, აიძულა, ზურგს უკან შემოეწყო ხელები და სახეში ცემა დაუწყო იქამდე, სანამ მოთამაშე ბოლომდე არ დაასისხლიანა.

ძირითადად, კორეულ ფეხბურთში ადგილობრივ ფეხბურთელებს სცემენ, მაგრამ, ხანდახან, მწვრთნელები ლეგიონერებზეც გადადიან. უკრაინელ **ვიტალი პარახნევიჩს** დამრიგებელმა თავში ჯოხი ჩაარტყა. შემდეგ მწვრთნელს უკრაინელისთვის 10 ათასი დოლარის გადახდა დაავალდებულეს.

კორეაში სცემენ არა მხოლოდ ფეხბურთელებს. 2004 წელს სკანდალი მოხდა შორტ-ტრეკის ეროვნული გუნდის რიგებში. ცემის შესახებ დაიჩივლა ექვსმა სპორტსმენმა და ორ მწვრთნელს გადადგომამ მოუწია. 2009 წელს, ფრენბურთში ეროვნული გუნდის მწვრთნელმა თავის ერთ-ერთ შეგირდს სცემა დანარჩენი მოთამაშეების თანდასწრებით. ამ შემთხვევის შემდეგ, მწვრთნელი თანამდებობიდან დაითხოვეს.

კორეულ სპორტში ძალადობა პარალიმპიელებზეც კი ვრცელდება: ლონდონის პარალიმპიური თამაშების ერთ-ერთმა მონაწილემ აღიარა, რომ მწვრთნელი მას რეგულარულად სცემდა ექვსი წლის განმავლობაში. ეს სპეციალისტი სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

სამხრეთკორეული მეთოდები, ჩრდილოეთ კორეაშიც მიღებულია. თუმცა ამ ქვეყნიდან სპორტსმენების ძალადობის შესახებ ინფორაცია პრესაში არ ხვდება. თუ ოდესმე იქაური საიდუმლოებები გამჟღავნდება, მის მოსაყოლად, ალბათ, მთელი წიგნის დაწერა გახდება საჭირო.



კაორი მაცუმოტო და რიუიძი სონოდა ლონდონის ოლიმპიადაზე

კალათბურთი

# ბარნიანი თითქმის გამოირიცხა...

ევროპასკეტისთვის იტალიის ნაკრებმა, შესაძლოა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა დაკარგოს. იტალიური პრესის ინფორმაციით, **ანდრეა ბარნიანის** ავადმყოფობა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავდაპირველად ეგონათ. "სკუადრა აძურას" ფორვარდს დაახლოებით ერთი კვირის წინ პნევმონია აღმოუჩინეს. ახლა ირკვევა, რომ ბარნიანი, როგორც მინიმუმ, 20 აგვისტომდე გაივლის მკურნალობის კურსს და ამ დროში, ბუნებრივია, მისთვის ფიზიკური დატვირთვა აკრძალული იქნება.

მომდევნო კვირას ბარნიანი კიდევ ერთ სამედიცინო შემოწმებას გაივლის, მაგრამ მისი შედეგების მიუხედავად, ანდრეას მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატზე პრაქტიკულად გამორიცხულია.

ეს არ არის იტალიის პირველი დანაკლისი ევროპის ჩემპიონატისთვის. უფრო ადრე, ტრავმების გამო გუნდს გამოაკლდნენ მცველი **დენიელ ჰეკეტი** და ფორვარდი **დანილო გალინარი**.

შესაძლოა, ევრობასკეტზე თავისი ერთ-ერთი ლიდერის გარეშე დარჩეს თურქეთის ნაკრები. ეს არის გამთამაშებელი **ენდერ არსლანი**. 30 წლის კალათბურთელმა აქილევსის მყესის ტრავმა უკრაინასთან საკონტროლო მატჩში მიიღო და უკვე გადის მკურნალობის კურსს, თუმცა სიარულისას ტკივილი მაინც აწუხებს.

არსლანი ნამდვილად არ ითამაშებს ამხანაგურ მატჩებს ჩეხეთთან 16-17 აგვისტოს, მისი მომავალი ბედი ეროვნულ გუნდში კი განმეორებითი სამედიცინო შემოწმების შემდეგ გახდება ცნობილი.

კიდევ ერთმა ვეტერანმა გამთამაშებელმა, 34 წლის **ქერემ თუნჩერიმ** უკვე დაასრულა კარიერა თურქეთის ნაკრებში და სავარაუდოდ, სასტარტო ხუთეულში ადგილი ერგება 18 წლის **ქენან სიპაჰის**, რომელიც ამას წინათ, ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის MVP გახდა.




ანდრეა ბარნიანი

ამბები

## მგლებმა პეკოვიჩი შეინარჩუნეს

"მინესოტა ტიმბერვულვზის" ცენტრმა **ნიკოლა პეკოვიჩმა** ახალი კონტრაქტის პირობები შეათანხმა ამ კლუბთან. ხელშეკრულება ხუთწლიანი იქნება და ამ დროის განმავლობაში, ჩერნოგორიელი კალათბურთელი 60 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

პეკოვიჩთან მიღწეული შეთანხმება თავის "ტვიტერზე" დაადასტურა "მინესოტას" მთავარმა მწვრთნელმა **ფლიპ სონდერსმა**.

## დედაქალაქელთა ახალი ცენტრი

"ვაშინგტონ უიზარდსმა" კონტრაქტი გააფორმა ცენტრ **ელ ჰარინგტონთან**. გარიგების დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ ადრე იტყობინებოდნენ, რომ ჰარინგტონის კონტრაქტი ერთწლიანი იქნება და 33 წლის კალათბურთელი ვეტერანის მინიმალურ ხელფასს მიიღებს.

გასულ სეზონში ჰარინგტონმა ათი მატჩი ჩაატარა "ორლანდოს" შემადგენლობაში. სეზონის ბოლოს, ფლორიდულმა კლუბმა ცენტრი ტრანსფერზე დააყენა. ჰარინგტონი კარიერაში 13.7 ქულასა და 5.7 მოხსნას აგროვებდა. მომავალი სეზონი მეთექვსმეტე იქნება მისთვის NBA-ში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# შეტევა სოტომაიორზე

მოსკოვში გაგრძელდა მსოფლიოს ჩემპიონატი. თუ წინადლეს მედლების მხოლოდ ერთი კომპლექტი გათამაშდა, ახლა ექვსი ახალი გამარჯვებული გავიცანით.

ყველაზე საინტერესოდ მოვლენები მამაკაცებს შორის სიმაღლეზე ხტომაში განვითარდა, სადაც ბრწყინვალე დუელი გაიმართა სეზონის ლიდერებს - უკრაინელ **ბოგდან ბონდარენკოსა** და კატარელ **მუთაზ ბარშიმს** შორის, რომლებსაც წელს შესრულებული ჰქონდათ 2,41 და 2,40 მეტრი ნახტომები.

ბონდარენკომ გამოტოვა პირველი ორი სიმაღლე და 2,29 მეტრიდან დაიწყო. მან იოლად აილო ეს სიმაღლე. მეტოქეები არ ნებდებოდნენ. შედეგების დონე ძალიან მაღალი იყო. ექვსმა სპორტსმენმა აილო 2,32 მეტრი. არადა, წინა ჩემპიონატზე ამერიკელ **ჯესი უილიამსს** 2,35 მეტრი ეყო გამარჯვებისთვის. ამჯერად კი ეს შედეგი საკმარისი არ აღმოჩნდა პოდიუმზე ასავლელად. ბარშიმმა და კანადელმა **დერეკ დრუინმა** 2,38 მეტრი აილეს.

ბონდარენკომ გამოტოვა 2,38, რაც დიდ "თავხედობად" მოჩანდა. მაგრამ ის თავის თავში დარწმუნებული იყო. პირველი ცდა 2,41-ზე მას არ გამოუვიდა, სამაგიეროდ, მეორე ცდაზე ბრწყინვალე ნახტომი შეასრულა – ისე გადაევლო თამასას, რომ ოდნავადაც არ შეხებია მას. უკრაინელმა ამით მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა.

ბარშიმმა თავისი ორი ცდა 2,44 მეტრზე გადაიტანა. მისი ნახტომები ცუდი არ ყოფილა, მაგრამ ეს მაჩვენებელი ძალიან მაღალი აღმოჩნდა. ბონდარენკო უკვე ჩემპიონის რანგში მსოფლიოს რეკორდზე წავიდა და 2,46 მეტრი შეუკვეთა. და მეორე ცდაზე ძალიან ახლოს იყო ლეგენდარული **ხავიერ სოტომაიორის** შედეგის გაუმჯობესებასთან, მაგრამ, ამჯერად, არ გამოუვიდა.

■ ■ ■

ქალებს შორის სამხტომში ფავორიტის სტატუსი გაამართლა კოლუმბიელმა **კატრინ იბარგუენმა**, რომელმაც მხოლოდ ერთხელ დაკარგა ლიდერობა - მეორე ცდის შემდეგ, როცა 14,81 მეტრზე გადახტა რუსი **ეკატერინა კონევა**. თუმცა იბარგუენმა მალე გადაფარა მასპინძლის შედეგი (14,85) და პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მესამეზე გავიდა წინა ჩემპიონი, უკრაინელი **ოლგა სალადუხა**.

1500 მეტრზე მოლოდინისამებრ გაიმარჯვა **აბება არეგავიმ**. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ის ლონდონის ოლიმპიადაზე ეთიოპიის სახელით გამოდიოდა, მოსკოვში კი შვედეთს წარმოადგენდა. არაგავიმ ტაქტიკურად ძალიან გამართულად წარმართა ბრძოლა და დაამარცხა **ჯენიფერ სიმპსონი**, რომელმაც ვერ დაიცვა ჩემპიონატის ტიტული – ამერიკელმა მეორე ადგილი დაიკავა.

მამაკაცთა სტიპლჩეზში კენიელებს შორის წარიმართა ბრძოლა. ევროპელთაგან მედლებისთვის ბრძოლაში მხოლოდ ფრანგი **მაჰიედინ მეჰისი-ბენაბადი** ჩაერია და მესამე ადგილი დაიკავა. ოქროზე კი პრეტენზიას აცხადებდნენ გამოცდილი **კემბოი** და ახალგაზრდა **კიპრუტო**. 18 წლის მორბენალმა მძლავრი სპურტი შემოგვთავაზა, მაგრამ ძალიან შორს გაუშვა კემბოი და ვეღარ დაეწია მას. კემბოიმ ზედიზედ მესამე ჩემპიონატი მოიგო.

ქალებს შორის 400 მეტრზე თარჯრბენში ფინალში ვერ გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი **ნატალია ანტიუხი**. წლევანდელი სეზონის აშკარა ლიდერი გახლდათ **სიუზანა გეინოვა**, რომელმაც წელს, "ბრილიანტის ლიგის" ყველა ეტაპი მოიგო. ის მსოფლიოს ჩემპიონატსაც ბრწყინვალე ფორმაში შეხვდა. ფინალი მან, ჩვეულებრივ, არც ისე სწრაფად დაიწყო, მაგრამ საფინიშო სწორ მონაკვეთზე ლიდერობა მოიპოვა და ისეთი ტემპი განავითარა, რომ დიდი მანძილით მოუგო კონკურენტებს. სიუზანას ამ სახეობის ისტორიაში მე-12 შედეგი აჩვენა – 52,83 წამი.

იმავე დისციპლინაში მამაკაცებს შორის გამარჯვებულის გამოსავლენად ფოტოფინიში გახდა საჭირო. სტატუსის მიხედვით, ფავორიტის როლი **ფელიქს სანჩესს** ეკუთვნოდა, მაგრამ მან ჩააგდო წლევანდელი სეზონი. ფინალში ის თავიდანვე ჩამორჩა **მაიკლ ტინსლის**. ამერიკელი დიდი ხანი ლიდერობდა, მაგრამ ბოლო 50 მეტრზე ტემპი დააგდო და მას **ჯეჰიუ გორდონი** წამოეწია. ტინსლი და გორდონი ერთად მივიდნენ ფინიშთან და ტრინიდადელმა წამის მეასედი მოუგო ამერიკელს.


ბოგდან ბონდარენკო

| კაცები | |
|---|---|
| **სიმაღლეზე ხტომა** | |
| 1. ბოგდან ბონდარენკო (უკრ) | 2,41 |
| 2. მუთაზ ბარშიმი (კატ) | 2,38 |
| 3. დერეკ დრუინი (კან) | 2,38 |
| **3000 მ/სტიპლჩეზი** | |
| 1. ეზეკილ კემბოი (კენ) | 8.06,01 |
| 2. კონსესლუს კიპრუტო (კენ) | 8.06,37 |
| 3. მ. მეჰისი-ბენაბადი (საფ) | 8.07,86 |
| **400 მ/თარჯრბენი** | |
| 1. ჯეჰიუ გორდონი (ტრი) | 47,69 |
| 2. მაიკლ ტინსლი (აშშ) | 47,70 |
| 3. ემირ ბეკრიჩი (სერ) | 48,05 |
| **ქალები** | |
| **სამხტომი** | |
| 1. კატერინე იბარგუენი (კოლ) | 14,85 |
| 2. ეკატერინა კონევა (რუს) | 14,81 |
| 3. ოლგა სალადუხა (უკრ) | 14,65 |
| **400 მ/თარჯრბენი** | |
| 1. სიუზანა გეინოვა (ჩეხ) | 52,83 |
| 2. დალიიდა მუჰამედი (აშშ) | 54,09 |
| 3. ლაშინდა დემუსი (აშშ) | 54,27 |
| **1500 მ.** | |
| 1. აბება არეგავი (შვედ) | 4.02,67 |
| 2. ჯენიფერ სიმპსონი (აშშ) | 4.02,99 |
| 3. ჰელენ ობირი (კენ) | 4.03,86 |

● ამბები

**მძლეოსნობა**

## არაპატრიოტი ეთიოპიელები

ეთიოპიის სპორტის სამინისტრომ წერილობითი ახსნა-განმარტება მოსთხოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალთა შორის მარათონული გარბენის ორ მონაწილეს. კერძოდ, 2012 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ტიკი გელანამ** და ბოსტონის წლევანდელი მარათონის პრიზიორმა **მესეტერ ჰაილმა** მტკიცე არგუმენტები უნდა წარმოადგინონ იმის საპასუხოდ, თუ რატომ ჩამოშორდნენ ისინი მარათონს მეხუთე კილომეტრზე.

ამ დისციპლინაში მოსალოდნელი მედლების ნაცვლად, ეთიოპიის ნაკრებმა მე-13 ადგილი დაიკავა. თუ დასახელებულ მძლეოსნებს ბრძოლისადმი გულგრილობას დაუმტკიცებენ, ამ შემთხვევაში მათ ეროვნულ გუნდში სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრებათ.

**ფორმულა 1**

## ფერარი კიმის უარყოფს

როგორც უკვე ვწერდით, ფინურმა პრესამ გაავრცელა არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **კიმი რაიკონენი** მომავალ სეზონში "ფერარიში" დაბრუნდება. ორი დღის შემდეგ, "სკუდერიას" ხელმძღვანელობა გამოეხმაურა ფინელი ჟურნალისტების ჭორს და განაცხადა, რომ არ არსებობს არანაირი საფუძველი იმის მტკიცებისთვის, რომ იტალიელები განიხილავენ კიმი რაიკონენის კანდიდატურას.

*"ამ მომენტში ჩვენ არ ვადევნებთ თვალს პილოტთა ბაზარს, - ამბობს BBC-თან კომენტარში "ფერარის" წარმომადგენელი. - ჩვენი პრიორიტეტია - ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა. პილოტების პოვნა ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფელიპეს შეცვლა მოგვიწევს"*

● ავტომოტოსპორტი


მარკ მარკესი

# მოტომრბოლები არდადეგებიდან გამოვიდნენ

მომავალ უქმეებზე, ავტომოტოსპორტის სამყაროში მთავარი მოვლენა მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპია. მოტომრბოლები ინდიანაპოლისში მიემგზავრებიან ამავე სახელწოდების გრანპრიში მონაწილეობის მისაღებად.

ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს **ხორხე ლორენსოსა** და **დანი პედროსას** ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებმაც წინა ეტაპებზე ტრავმები მიიღეს და მათი შედეგებიც, მკვეთრად დაეცა. ამით კარგად ისარგებლა **მარკ მარკესმა**, რომელიც დროებით კონკურენციის გარეშე დარჩა და გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი გახდა.

**ინდიანაპოლისის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** ინდიანაპოლისი (აშშ)

**წრის სიგრძე:** 4216 მ

**წრის რეკორდი:** 1:39,088 (დანი პედროსა, 2012)

| საერთო ჩათვლა | | |
|---|---|---|
| 1. მარკესი (Honda) | | 163 ქულა |
| 2. პედროსა (Honda) | | 147 |
| 3. ლორენსო (Yamaha) | | 137 |
| 4. როსი (Yamaha) | | 117 |
| 5. კრატჩლოუ (Yamaha) | | 116 |
| 6. ბრადლი (Honda) | | 84 |
| 7. დოვიციოზო (Ducati) | | 81 |
| 8. ბაუტისტა (Honda) | | 71 |

**უქმეების განრიგი**

16 აგვისტო, 17:55 - I პრაქტიკა
16 აგვისტო, 22:05 - II პრაქტიკა
17 აგვისტო, 17:55 - III პრაქტიკა
17 აგვისტო, 22:10 - კვალიფიკაცია
18 აგვისტო, 22:00 - რბოლა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვიზეუ-ბრაგა B | 0:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სილკებორგი-ლუნგბიუ | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-დეგერფორსი | 4:1 |
| გაის-ანგელჰოლმი | 2:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ცინცინატი** | |
| ფ. ლოპესი-**დელ პოტრო** | 4:6, 6:1, 4:6 |
| ფერერი-**ტურსუნოვი** | 2:6, 4:6 |
| **ჯოკოვიჩი**-გოფენი | 6:2, 6:0 |
| რაონიჩი-**ისნერი** | 6:7, 4:6 |
| **ფედერერი**-ჰაასი | 1:6, 7:5, 6:3 |
| ბენეტო-**მარეი** | 2:6, 2:6 |
| **WTA. ცინცინატი** | |
| რიბარიკოვა-**აზარენკა** | 3:6, 4:6 |
| **იანკოვიჩი**-სტივენსი | 3:6, 7:5, 7:5 |
| ერანი-**ვინჩი** | 4:6, 3:6 |
| კერბერი-**ნა ლი** | 4:6, 4:6 |
| **ა. რადვანსკა**-ვესნინა | 6:0, 6:2 |

● TV პროგრამა

**16 აგვისტო. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. მილანი-ზენიტი.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. ბოკა ხუნიორსი-ატლეტიკო რაფაელა.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. აუგსბურგი-დორტმუნდი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-კლუჟი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
19:00 ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-ბენფიკა.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:15 პორტუგალიის ჩემპიონატი. I ტური. ფერეირა-ბრაგა (LIVE).
01:15 ჩემპიონთა ლიგა. რეალი-აიაქსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. სელტიკი-ბარსელონა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ლეიკერსი.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
17:15 რაგბი. ჰაინეკენის თასი. კლერმონი-ლენსტერი.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1983-84 წლები.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. გალასათარაი-მანჩესტერ იუნ.
22:00 NBA ACTION.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
14:00 სპორტ-NEWS.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ. მიმოხილვა.
18:30 სპორტ-NEWS.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 33 | (მზე) |
| ქუთაისი | 22 | 31 | (მზე) |
| ბათუმი | 23 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ძოგულეთი | 21 | 29 | (მზე) |
| ფოთი | 21 | 30 | (მზე) |
| ზუგდიდი | 21 | 31 | (მზე) |
| გორი | 19 | 32 | (მზე) |
| თელავი | 18 | 33 | (მზე) |
| სიღნაღი | 19 | 31 | (მზე) |
| ბაკურიანი | 12 | 25 | (მზე) |
| ბორჯომი | 14 | 31 | (მზე) |
| მესტია | 12 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2110 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6643 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5933 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0433 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მართლა ქართველი ვარ!!!!

### RICKY HICKMAN basketball profile



VISIT MY BLOG

- Uniform #: 7
- Height: 189cm / 6'3"
- Position: Point Guard
- Born: 1985
- Weight: 88kg / 193.6lbs
- Team: Maccabi T-A (Israel) (2012-14)
- Nationality: USA-Georgian
- Agency: TNG

ავტორის კარიკატურა




საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ახალწვეულმა, ამერიკელმა რიკი ჰიკმანმა სოციალურ ქსელ „ინსტაგრამზე" ატვირთა ფოტო, რომელზეც მისი დოსიე აღბეჭდილიყო და ამერიკულის გვერდით საქართველოს დროშა იყო გამოსახული. სწორედ ამ შეტყობინებას წააწერა რიკიმ: „მართლა ნამდვილი ქართველი ვარ!!!!"

ეს იყო 25 ივლისს. სწორედ ამ დღეს დაიწყო საქართველოს ნაკრების სლოვენიური შეკრება. თუმცა მაშინ ჰიკმანი ამერიკაში იყო და საქართველოს ნაკრებს ოდნავ მოგვიანებით შეუერთდა. რატომ დაიგვიანა? ასეთი კითხვა სკოლიდან გემახსოვრებათ. ვაი იმის ბრალი, ვინც მასწავლებელს არასაპატიო მიზეზს დაუსახელებდა (დამეძინაო, ან სხვა)... ჰიკმანს საპატიო მიზეზი აღმოაჩნდა - დაოჯახდა, მცირე წვეულება გამართა და ამის შემდეგ გამოფრინდა საქართველოს ნაკრებისკენ, რომელიც სლოვენიაში იყო დაბანაკებული.

„ფეისბუკზე" ერთმა მეგობარმა ჰკითხა: ამერიკაში როდის ბრუნდებიო? ჰიკმანმა უპასუხა: სექტემბრის მეორე, ან მესამე კვირის შემდეგო... პირველი კვირა 7-ში მთავრდება, მეორე - 14-ში, მესამე - 21-ში. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატს 4 სექტემბერს იწყებს, პირველი ეტაპი 9-ში მთავრდება, ხოლო მეორე ჯგუფური ეტაპის შეხვედრები - 16 სექტემბერს, ევრობასკეტის ფინალი კი 22-შია დაგეგმილი. როგორც ჩანს, ჰიკმანმა „უხეში" გამოთვლით მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში ივარაუდა და არც პლეი ოფში გასვლა გამორიცხა. ვნახოთ, გამართლდება თუ არა მისი ვარაუდი.

რიკი ჰიკმანმა სლოვენიაში ჩაფრენისთანავე „ტვიტერზე" დაწერა: დილა მშვიდობისა, სლოვენია. ცოტა ხანში კი მიამატა - საოცარია, სლოვენიაში ყველა ყველას იცნობს. ეს პატარა ქვეყნების ერთ-ერთი მახასიათებელია. რიკიმ „ინსტაგრამზე" საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაც დააფიქსირა, გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც ჩვენი გუნდის წევრებთან პირველი სადილია აღბეჭდილი. თუ თეფშებისა და ბოთლების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჰიკმანმა ფოტო სადილის ბოლოსკენ გადაიღო.

ქორწილს უნდა დავუბრუნდეთ. „ფეისბუკზე" წვეულების ამსახველი არაერთი საინტერესო ფოტო გამოქვეყნდა. სხვა სტუმრებს შორის ერთი ნაცნობი სახე აღმოჩნდა - ჯო ჯონსონი. NBA-ის გუნდის, „ბრუკლინ ნეთსის" ვარსკვლავი ჰიკმანის მეგობარია და, ცხადია, ქორწილსაც არ გამოაკლდა. გემახსოვრებათ, ჯონსონი 2005-დან 2012 წლამდე ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი იყო („ატლანტაში"), გასულ ზაფხულს „ბრუკლინში" გადავიდა, სადაც კიდევ ერთ ქართველ თორნიკე შენგელიას შეხვდა, ახლა კი შეიტყო, რომ მისი მეგობარი რიკი ჰიკმანიც ქართველია...



საქართველოს ნაკრების სადილი. რიკი ჰიკმანის ფოტო



ჯო ჯონსონი მეუღლესთან ერთად










რიკი ჰიკმანის ქორწილი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

## მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608